ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

ხატია დოლიძე

# საქართველოს საგარეო სავაჭრო ურთიერთობები

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია ბიზნესის ადმინისტრირების
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

მეცნიერ - ხელმძღვანელი: ემდ, ასოცირებული პროფესორი

უშანგი სამადაშვილი

თბილისი 2019

# ანოტაცია


დღეს, როცა ასე აქტიურად მიმდინარეობს და უფრო მეტად ღრმავდება საქართველოს ეკონომიკის მსოფლიო ეკონომიკურ სივრცეში ინტეგრაციის პროცესი, საგარეო სავაჭრო ურთიერთობების არსისა და თავისებურებების შესწავლა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საგარეო სავაჭრო მოვლენებისა და პროცესების დონის, დინამიკისა და განვითარების ტენდენციების დადგენაში, ასევე არსებული მდგომარეობის ანალიზისა და შეფასების საკითხებში.

საგარეო ვაჭრობა ექსპორტ - იმპორტის წესით ქვეყნებს შორის საქონლის ურთიერთგაცვლაა, ურთიერთხელსაყრელ პირობებში ყიდვა - გაყიდვის გზით. საგარეო ვაჭრობა სპეციფიკური სფეროა, რომლის მიმდინარეობა და განვითარების პერსპექტივები დამოკიდებულია არა მხოლოდ ქვეყნის შიდა ეკონომიკურ პოლიტიკაზე, არამედ მსოფლიოს წამყვანი სავაჭრო ქვეყნების საგარეო პოლიტიკურ - ეკონომიკურ კურსზე და აქედან გამომდინარე, მიღებულ გადაწყვეტილებებზე.

საქართველოს საგარეო პოლიტიკის ერთ - ერთ მთავარ ამოცანას ევროპის ქვეყნებთან მჭიდრო, ურთიერთსასარგებლო პარტნიორული თანამშრომლობის ჩამოყალიბება/გაღრმავება წარმოადგენს, რომელსაც ქვეყნისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. ყურადღება ეთმობა ევროპის ქვეყნებთან ორმხრივი პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული, ჰუმანიტარული და სოციალური ურთიერთობების კიდევ უფრო გაღრმავებას.

საქართველოს უარყოფითი სავაჭრო სალდოს (დეფიციტის) დაძლევისთვის მიზანშეწონილია სამამულო პროდუქციის საშინაო და საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის ამაღლება და ამით მასზე საშინაო და საგარეო მოთხოვნის ზრდა, ანუ მეტი: ექსპორტი, დივერსიფიკაცია, ოპტიმიზაცია, რეექსპორტი, გონივრული იმპორტი, ასევე, მეტი: პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, ფულადი გზავნილები და საერთაშორისო ტურისტი. სავაჭრო ბალანსის გაჯანსაღების ეს რეცეფტი უნდა კორექტირდეს ყოველი პარტნიორი ქვეყნის სპეციფიკის გათვალისწინებით. ყოველივე ამის შედეგად, ვფიქრობთ, ეტაპობრივად შემცირდება უარყოფითი სალდო და მივიღებთ დადებით სავაჭრო ბალანსს.

# Annotation

## Foreign trade relations of Georgia

**Khatia Dolidze**

Today, as the process of Georgian economic integration into the global economics is getting more and more active, it's even more important to study how the specifications of the foreign trade relations correlate with how we define foreign trade trends, how the dynamics of the economic relations are shaped between countries.

Foreign trade can be defined as "exchanging goods between countries by exporting and importing those goods, which is beneficial for all sides involved in the process." All of the above means, that foreign trade has its own specifics and depends not only on one country's inner economic policy, but rather on decisions and what kind of policies do leading world trade countries have.

Important things for Georgia to consider for integration into the world of global economics: Deepening economic relationships with foreign partner countries; maintaining bilateral, regional, versatile trade relations while at the same time, having preferential and free trade regime. By doing so, stabilizing trade relations with nearby countries, producing goods and services corresponding to those of European Union and minimizing all the possible barriers between them;

Today one of the most strategically main tasks for Georgia's foreign policy is to establish mutually beneficial and useful partnership cooperation with European countries. That includes bilateral political, economic, cultural, humanitarian and social relationships. By intensifying partnership cooperation with European countries, we show the whole world that we're in for Euro Atlantic integration by developing democratic and economically stable country, hoping that it will be de occupied and united as before.

# შინაარსი


შესავალი.....5

1. საგარეო ვაჭრობის კვლევის თეორიული საფუძვლები.....8

1.1. საგარეო ვაჭრობის არსი და თავისებურებანი .....8

1.2. საერთაშორისო ვაჭრობის თეორიები და ძირითადი მახასიათებლები.....11

1.3. საქართველოს სავაჭრო - ეკონომიკური ურთიერთობების მიმოხილვა.....16

1.3.1.ურთიერთობები რეგიონის ქვეყნებთან.....16

1.3.2. ურთიერთობები ჩრდილოეთ ამერიკის ქვეყნებთან.....20

1.3.3. ურთიერთობები აზიისა და ევროპის ქვეყნებთან.....21

2. საქართველოს საგარეო ვაჭრობის თანამედროვე მდგომარეობის ანალიზი.....30

2.1. საქართველოს საგარეო ვაჭრობის გეოგრაფია.....30

2.2.საქართველოში მოქმედი სავაჭრო რეჟიმები და საერთაშორისო ხელშეკრულებები.....33

2.3.საქართველოს საგარეო ვაჭრობის ანალიზი.....37

3. საქართველოს საგარეო ვაჭრობის განვითარების ტენდენციები და პერსპექტივები.....46

3.1. საქართველოს საგარეო ვაჭრობის დინამიკა.....46

3.2. საქართველო - ევროკავშირის სავაჭრო ურთიერთობები.....50

3.3.საქართველოს საგარეო ვაჭრობის დეფიციტი და მისი დაძლევის გზები.....57

დასკვნა.....82

გამოყენებული ლიტერატურა.....88

# შესავალი

**თემის აქტუალობა.** მსოფლიო ეკონომიკის განვითარების თანამედროვე ტემპებმა და განსაკუთრებით ეროვნული ეკონომიკების აქტიურმა სწრაფვამ გლობალიზაციისაკენ, რომელიც აძლიერებს სხვადასხვა ქვეყნების ეკონომიკის ურთიერთდამოკიდებულებას, აჩქარებს გლობალური სასაქონლო და საფინანსო ბაზრების ფორმირებას, გამოიწვია განსაკუთრებული ინტერესი საგარეო ვაჭრობის მეცნიერული შესწავლისადმი.

საგარეო ვაჭრობის თეორიული და პრაქტიკული საკითხებისადმი მზარდი ინტერესი, გარდა ქვეყნის ეკონომიკის მსოფლიო ეკონომიკურ სივრცეში სწრაფი ინტეგრაციის შეუქცევადი პროცესისა, განპირობებულია ასევე, ხელისუფლების მიერ მრავალ ქვეყანასთან სამთავრობო დონეზე გაფორმებული ორმხრივი შეთანხმებებით. მხარეების მიერ წარმოდგენილი პროტოკოლიც სტატისტიკური ინფორმაციის გაცვლითა და სავაჭრო ურთიერთობების გაღრმავების ინიციატივით იწყება. ის პირველ რიგში ითვალისწინებს აქტიური სავაჭრო-ეკონომიკური კავშირების დამყარებას და ეროვნული წარმოების საქონლის ექსპორტის სტიმულირებას.

დღეს საერთაშორისო ვაჭრობაში მსოფლიოს ყველა ქვეყანაა ჩართული, ვინაიდან ვერც ერთი მათგანი ვერ შეძლებს იყოს თვითკმარი და მხოლოდ თავისი წარმოების პროდუქციით უზრუნველყოს საკუთარი წარმოება და მოსახლეობა. შრომის საერთაშორისო დანაწილების პირობებში ქვეყანას ყოველთვის სჭირდება რესურსების, სამომხმარებლო პროდუქციებისა და მომსახურების იმპორტირება, ხოლო საიმპორტო ხარჯების დაფარვის ძირითადი წყაროა ექსპორტიდან მიღებული შემოსავლით.

საქართველოს აქტიური ჩართულობა საერთაშორისო ინტეგრაციულ პროცესებში, ჩვენი ქვეყნის წინაშე პერმანენტულად აყენებს ეროვნული სტანდარტების საერთაშორისო სტანდარტებთან ჰარმონიზაციის საკითხს. საქართველოს აქტიური ჩართულობა საერთაშორისო ინტეგრაციულ პროცესებში, ჩვენი ქვეყნის წინაშე პერმანენტულად აყენებს ეროვნული სტანდარტების საერთაშორისო სტანდარტებთან ჰარმონიზაციის საკითხს.

უკანასკნელი პერიოდის საქართველოში განსაკუთრებით მწვავედ დგას მთელი რიგი ეკონომიკური პრობლემები, რაც ქვეყანაში მძიმე სოციალურ ფონს ქმნის. ესენია: ინფლაცია, ფასების ზრდა, ლარის კურსის ვარდნა და ა.შ. ამ და სხვა პრობლემების

მოგვარების გზების საძიებლად საჭიროა გავაანალიზოთ, რა ახდენდა გავლენას საქართველოში დოლარის კურსის მოცულობაზე. რა თქმა უნდა, დოლარზე პირველ რიგში გავლენას ახდენს ექსპორტ-იმპორტის ბალანსი (რაც უფრო მატულობს ექსპორტი, მით უფრო მეტი ვალუტა შემოდის ქვეყანაში) და პირიქით, რაც უფრო მეტია იმპორტი - ქვეყანაში ნაკლები ვალუტა რჩება.

საქართველოს საგარეო ვაჭრობის მრავალწლიანი დინამიკა გვიჩვენებს, რომ იმპორტი რამდენჯერმე სჭარბობს ექსპორტს, რის გამოც ჩვენი ქვეყნის საგარეო ვაჭრობა უარყოფითი სავაჭრო სალდოთი ხასიათდება.

ბოლო წლების განმავლობაში საქართველოს ექსპორტ-იმპორტის სხვაობა ანუ სავაჭრო დეფიციტი საგრძნობლად გაიზარდა, რაც, რა თქმა უნდა, უარყოფითად აისახა ლარის კურსზე და ზოგადად ქვეყნის ყოველდღიურობაზე [1].[1]

მსოფლიო მეურნეობაში საქართველოს ეკონომიკის ინტეგრირების პროცესი ატარებს ინტენსიურ ხასიათს, რაც საგარეო ვაჭრობის ლიბერალიზაციის სტრატეგიული კურსის თანმიმდევრული განხორციელებით არის განპირობებული. წლითიწლობით მატულობს საგარეო სავაჭრო ბრუნვა, ფართოვდება ვაჭრობის გეოგრაფია და იზრდება უცხოური ინვესტიციების მასშტაბები. ქვეყანამ პრაქტიკულად დაიბრუნა თავისი ისტორიული გეოპოლიტიკური ფუნქცია და გახდა ევრაზიის სახელმწიფოთა სტრატეგიული ეკონომიკური პარტნიორი.

მოცემული სამაგისტრო ნაშრომის **ძირითადი მიზანია** საქართველოს საგარეო ვაჭრობის ისეთი მნიშვნელოვანი და აქტუალური პრობლემის შესწავლა და ანალიზი, როგორიცაა საქართველოს საგარეო ვაჭრობის განვითარების ტენდენციები და პერსპექტივები. მიზნიდან გამომდინარე, **ნაშრომის ამოცანებია:** საქართველოს საგარეო ვაჭრობის თანამედროვე მდგომარეობის ანალიზი, საქართველო ევროკავშირის ურთიერთობების დადებითი და უარყოფითი შედეგების ანალიზი შეფასება და ეფექტიანი რეალიზებისათვის წინადადებების შემუშავება.

---

[1] თეა ბიძინაშვილი, საქართველოს საექსპორტო პოტენციალის ამაღლების გზები მსოფლიო მეურნეობრივი კავშირების გლობალიზაციის პირობებში, დისერტაციის ავტორეფერატი, თბილისი 2016 წ;

საქართველოს საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი ძირითადი პრიორიტეტი ევროკავშირში ინტეგრაციაა. ევროკავშირი XXI საუკუნის დასაწყისში მსოფლიოში ყველაზე განვითარებული ინტეგრაციული რეგიონია თავისი სავაჭრო-ეკონომიკური და პოლიტიკური (და არა მარტო) პოტენციალით. საქართველოს ეროვნული და სავაჭრო-ეკონომიკური ინტერესები ქვეყანას ევროპული ინტეგრაციისაკენ უბიძგებს. საერთაშორისო ბიზნესის გლობალიზაციის პირობებში სტრატეგიული თვალსაზრისით საქართველოსათვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს ევროკავშირთან სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების შემდგომ გაღრმავებას, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვას, რაც ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების, ექსპორტის გაზრდისა და მსოფლიო ეკონომიკაში ინტეგრაციის ერთ-ერთი მთავარი პირობაა, ასე რომ, საქართველოს ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება ევროკავშირის ქვეყნებთან სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების გაზრდა და ევროკავშირის ქვეყნებიდან ინვესტიციების მოზიდვაა [2].[2]

ნაშრომის მიზან-ამოცანებიდან გამომდინარე, პირველ თავში მოცემულია: საგარეო ვაჭრობის არსი, თავისებურებანი, თეორიები და ძირითადი მახასიათებლები. აქვეა საქართველოს სავაჭრო - ეკონომიკური ურთიერთობების მიმოხილვა, როგორც რეგიონის ქვეყნებთან ისე ჩრდილოეთ ამერიკის, აზიისა და ევროპის ქვეყნებთან. განხილულია თითოეულ მათგანთან რა სახის სავაჭრო ურთიერთობა აქვს ჩვენს ქვეყანას და როგორია მომავლის პერსპექტივები.

მეორე თავში მოყვანილია საქართველოს საგარეო ვაჭრობის თანამედროვე მდგომარეობის ანალიზი. მოკლედ მიმოხილულია ჩვენი ქვეყნის საგარეო ვაჭრობის გეოგრაფია. ასევე დეტალურად არის ჩამოთვლილი და განხილული საქართველოში მოქმედი სავაჭრო რეჟიმები და საერთაშორისო ხელშეკრულებები. აქვეა საქართველოს საგარეო ვაჭრობის 2017/3-2018/3 წლის და 2019 წლის იანვარ - მარტის (წინასწარი) მონაცემების ანალიზი.

---

[2] ნატო ზავრადაშვილი, საქართველო-ევროკავშირის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები, სამაგისტრო ნაშრომი, თბილისი 2018 წ;

ბოლო მესამე თავი ერთგვარ შეჯამებას წარმოადგენ. იგი დაეთმო საქართველოს საგარეო ვაჭრობის განვითარების ტენდენციებისა და პერსპექტივები განხილვას. განხილულია საქართველო - ევროკავშირის სავაჭრო ურთიერთობები ასევე საქართველოს საგარეო ვაჭრობის დეფიციტი და მისი დაძლევის გზები. დეტალურადაა განხილული სავაჭრო დეფიციტის მიზეზები და ასევე იმ დარგების დახასიათება, რომელთა განვითარებაც დაზრდის ექსპორტს და შეამცირებს უარყოფით სავაჭრო სალდოს.

საბოლოოდ დასკვნაში მოყვანილია თუ რა გავლენა იქონია საბჭოთა კავშირმა საქართველოს, როგორც ცალკე აღებული ქვეყნის  სავაჭრო ურთიერთობების წარმოების უნარების დაქვეითებასა და  ეკონომიკის დამუხრუჭებაზე.

# 1.საგარეო ვაჭრობის კვლევის თეორიული საფუძვლები

## 1.1.საგარეო ვაჭრობის არსი და თავისებურებანი.

დღეს, როცა ასე აქტიურად მიმდინარეობს და უფრო მეტად ღრმავდება საქართველოს ეკონომიკის მსოფლიო ეკონომიკურ სივრცეში ინტეგრაციის პროცესი, საგარეო სავაჭრო ურთიერთობების არსისა და თავისებურებების შესწავლა განსაკუთრებული მნიშვნელოვანია საგარეო სავაჭრო მოვლენებისა და პროცესების დონის, დინამიკისა და განვითარების ტენდენციების დადგენაში, ასევე არსებული მდგომარეობის ანალიზისა და შეფასების საკითხებში.

ვაჭრობა ქუჩაა - ქუჩა ორმხრივი მოძრაობით, იმპორტის გადახდისათვის ქვეყნებს არ შეუძლიათ უსასრულოდ აიღონ სესხი ან გაყიდონ თავისი აქტივები. იმისათვის, რომ გვქონდეს იმპორტირების შესაძლებლობა, ქვეყანამ უნდა განახორციელოს ექსპორტი.

მსოფლიოში ეკონომიკური და საფინანსო ცხოვრების ინტერნაციონალიზაციამ, კაპიტალისა და საქონლის გადაადგილებისათვის სახელმწიფო საზღვრების გახსნამ ახალი პირობები და პერსპექტივები შექმნა მსხვილი ეროვნული საწარმოებისა და კორპორაციების პოლიტიკის დარგში, მნიშვნელოვნად გააფართოვა მათი მოქმედების სფერო და საერთაშორისო ხასიათი მიანიჭა. ამიტომ, XXI საუკუნეში უკვე თითქმის

აღარ არსებობს ქვეყანა, რომელიც ეკონომიკურად დაკავშირებული არ არის დანარჩენ მსოფლიოსთან.

კონკურენტული ბრძოლის შედეგად ქვეყნებს შორის განვითარდა შრომის საერთაშორისო დანაწილების პროცესი. მოხდა მთელი რიგი ქვეყნების სპეციალიზაცია მათთვის ეკონომიკურად მომგებიანი და მაღალხარისხოვანი პროდუქციის (მომსახურების) წარმოებაზე, რომელიც მნიშვნელოვნად სჭარბობდა საშინაო მოთხოვნას და საერთაშორისო ბაზრებზე რეალიზაციისათვის იყო გათვლილი. ქვეყნებს შორის საქონლის (მომსახურების) მოძრაობა ეროვნულ ბაზრებს ერთიანი ბაზრის სისტემაში აკავშირებს და შედეგად, ქვეყნებს შორის ეკონომიკურ ურთიერთდამოკიდებულებას აღრმავებს.

წარმოების ინტერნაციონალიზაცია, შრომის საერთაშორისო დანაწილება და ინტეგრაციულ პროცესთა გაღრმავება იწვევს იმ ტენდენციას, რომ ამა თუ იმ ქვეყნის ეკონომიკური განვითარება მხოლოდ ეროვნულ ჩარჩოებში შეუძლებელი ხდება.

საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები მსოფლიო მეურნეობის განვითარებასთან ერთად აფართოებს და აღრმავებს თავისი არსებობის სფეროს, იძენს გლობალურ ხასიათს. თანამედროვე მსოფლიო მეურნეობა გლობალური ეკონომიკური ორგანიზმია, ეროვნული ეკონომიკების ერთობლიობა, რომლებიც მჭიდრო ურთიერთკავშირსა და ურთიერთდამოკიდებულებაში იმყოფება და ექვემდებარება საბაზრო ეკონომიკის ობიექტურ კანონებს.

საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების ტრადიციულ და უფრო განვითარებულ ფორმას წარმოადგენს საგარეო ვაჭრობა. მსოფლიო მეურნეობის ინტერნაციონალიზაცია პრაქტიკულად ვაჭრობით დაიწყო. ჯ. საკსის განმარტებით, ,,მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკური წარმატება დამოკიდებულია საგარეო ვაჭრობაზე. ჯერ არც ერთ ქვეყანას არ შეუქმნია ჯანსაღი ეკონომიკა, მსოფლიო ეკონომიკური სისტემისაგან დამოუკიდებლად''.

საგარეო ვაჭრობა ექსპორტ - იმპორტის წესით ქვეყნებს შორის საქონლის ურთიერთგაცვლაა, ურთიერთხელსაყრელ პირობებში ყიდვა - გაყიდვის გზით. საგარეო ვაჭრობა სპეციფიკური სფეროა, რომლის მიმდინარეობა და განვითარების პერსპექტივები დამოკიდებულია არა მხოლოდ ქვეყნის შიდა ეკონომიკურ

პოლიტიკაზე, არამედ მსოფლიოს წამყვანი სავაჭრო ქვეყნების საგარეო პოლიტიკურ - ეკონომიკურ კურსზე და აქედან გამომდინარე, მიღებულ გადაწყვეტილებებზე.

საგარეო ვაჭრობის მნიშვნელოვანი თავისებურებებია:

- განსხვავება მობილურობაში. ქვეყნებს შორის რესურსების გადაადგილება უფრო რთულია, ვიდრე ქვეყნის შიგნით;
- თითოეული ქვეყანა განსხვავებულ ვალუტას იყენებს და იმისათვის, რომ სხვა ქვეყნიდან იმპორტირებული საქონლისთვის ანგარიშსწორება მოახდინოს, ამ ქვეყნის ვალუტა უნდა შეიძინოს. ე.ი. თავისი ვალუტა სხვა ქვეყნის ვალუტაზე უნდა გაცვალოს;
- საგარეო ვაჭრობა ისეთ პოლიტიკურ ჩარევასა და კონტროლს ექვემდებარება, რომელიც თავისი ხარისხითა და ხასიათით მნიშვნელოვნად განსხვავდება იმისგან, რასაც საშინაო ვაჭრობაში იყენებენ და სხვა.

საგარეო ვაჭრობის ანალიზის საგანი არის იმ საქონლის მოცულობა და სახეები, რომლებიც კვეთენ საზღვარს, ასევე, ვაჭრობის ზოგიერთი პირობები, მაგალითად ფასები.

საზღვარზე საქონლის მოძრაობა აუცილებლად არ გულისხმობს სავაჭრო გარიგების არსებობას. საქონლით საგარეო სავაჭრო ბრუნვაში არ აისახება მომსახურების ყიდვა - გაიდვა, შემოსავლები კაპიტალიდან და კაპიტალის ბრუნვა, მაგრამ მასში ჩაირთვება საქონლის უსასყიდლოდ გადაცემა (მაგალითად, გრანტები, ჰუმანიტარული და ტექნიკური დახმარება).

საგარეო ვაჭრობის შესწავლისას საქმე გვაქვს საქონლის ისეთ მახასიათებლებთან, როგორებიცაა: ღირებულება, რაოდენობა, ფასი.

საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების, კერძოდ კი, საგარეო ვაჭრობის მეცნიერული კვლევის პროცესში მრავალი მეტოდი გამოიყენება. მათ შორის ფილოსოფიის ზოგადი ანუ დიალექტიკური მეტოდი, რომელიც ეკონომიკურ მოვლენებს განიხილავს მუდმივ მოძრაობაში, ურთიერთკავშირსა და განუწყვეტელ განვითარებაში. გარდა ამისა, გამოიყენება შემდეგი მეთოდებიც: ინდუქცია და დედუქცია (ჰიპოთეზის), მეცნიერული აბსტრაქცია, ანალიზი და სინთეზი.

საგარეო სავაჭრო - ეკონომიკური ურთიერთობები ხასიათდებიან გარკვეულ მაჩვენებელთა სისტემით, რომელთა შორის გამოიყოფა როგორც რაოდენობრივი, ისე

ხარისხობრივი მახასიათებლები. მათ მიეკუთვნება: ექსპორტი, იმპორტი, ექსპორტ - იმპორტის ანუ საგარეო ვაჭრობის სალდო, საგარეო ვაჭრობის ერთიანი სასაქონლო ნომენკლატურა (ესნ), დემპინგი, გენერალური ვაჭრობა, საგარეო ვაჭრობის საქონელბრუნვის ეკონომიკური ეფექტიანობა, ეკონომიკის გახსნილობის რაოდენობრივი ინდიკატორები და სხვა.

საქონლის ექსპორტი და იმპორტი არის კომერციული საქმიანობა, რომელიც დაკავშირებულია მატერიალურ - ნივთობრივი ფორმით საქონლის ყიდვა - გაყიდვასთან. იმის გამო, რომ ერთი ქვეყნიდან მეორეში საქონლის გადაადგილება მხედველობით აღიქმება, ზოგჯერ მათ ,,ხილულ'' ექსპორტს და იმპორტს უწოდებენ [3].[3]

## 1.2.საგარეო ვაჭრობის თეორიები და ძირითადი მახასიათებლები

საერთაშორისო ვაჭრობა საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობის ყველაზე ადრეული და შედარებით გავრცელებული ფორმაა. მასზე მოდის მსოფლიო ეკონომიკური ბრუნვის 80%.

საერთაშორისო ვაჭრობაში იგულისხმება ქვეყნებს შორის ანაზღაურებული საქონელბრუნვის ერთობლივი მოცულობა. „საერთაშორისო ვაჭრობის“ ცნება განსხვავდება „საგარეო ვაჭრობის“ ცნებისაგან. ეს უკანასკნელი არის ერთი ქვეყნის მიერ მეორე ქვეყანასთან რეალიზებული ექსპორტ-იმპორტის მოცულობა.

**საერთაშორისო ვაჭრობის ობიექტია:**

**მატერიალური ნივთები** (მზა პროდუქცია, მანქანა-მოწყობილობები, ნედლეული);

**მომსახურება** (სატრანსპორტო, კომუნალური, ტურისტული, საფინანსო-საკრედიტო, სადაზღვევო, საინფორმაციო-გამოთვლითი, სამეცნიერო-ტექნიკური და სხვ.)

---

[3] ლია ძებისაშვილი, საქართველოს საგარეო - სავაჭრო ურთიერთობების სტატისტიკური შესწავლა, დისერტაცია, თბილისი 2012 წ;

**ინტელექტუალური** საკუთრება (საავტორო უფლება, საპატენტო უფლება და ა.შ.).

ყველა მათგანი, ზოგადად, საქონლის ცნებაში ერთიანდება. გლობალიზაციის ეპოქაში საერთაშორისო ვაჭრობაში მნიშვნელოვანი სტრუქტურული ძვრები ხდება. აღნიშნული ეხება მისი ზრდის ტემპებს, სასაქონლო ნომენკლატურასა და საქონელნაკადების გავრცელების გეოგრაფიას [4]. [4]

მსოფლიო ვაჭრობის ზრდის ტემპი წინ უსწრებს მსოფლიო მშპ ზრდის ტემპს. კერძოდ, 2000-2013 წლებში მშპ მოცულობა 31,4 ტრილიონი აშშ დოლარიდან 74,3 ტრილიონ დოლარამდე, ანუ 2,37-ჯერ გაიზარდა, ხოლო საქონელბრუნვა 7,2 ტრილიონი აშშ დოლარიდან 23,4 ტრილიონ აშშ დოლარამდე, ანუ 3,25-ჯერ გადიდდა [1].

მსოფლიო ეკონომიკაში შედარებით სწრაფად ზრდადია კომერციული მომსახურების სფერო („უხილავი ვაჭრობა“), რომელმაც 2013 წლის მდგომარეობით, მსოფლიო ექსპორტის თითქმის 20% შეადგინა. ამავე დროს, ნედლეულთან შედარებით უფრო მაღალი ტემპებით გაიზარდა მზა სამრეწველო საქონლით ვაჭრობა. ეს საქონელი, უმეტესად, საწარმოო კოოპერაციის წესით, ტნკ-ების ჩარჩოებში მიეწოდებოდათ. ეკონომიკური გარიგების გასაფორმებლად მყიდველთა და გამყიდველთა ურთიერთობის სფერო სასაქონლო ბაზრებს ქმნის, რომელთა არსებობას შრომის საერთაშორისო დანაწილება განაპირობებს.

ბაზრის ევოლუციის თანამიმდევრობა ასეთია (იხ. ნახ. 1.1 (ა) და 1.1 (ბ)) [2].

---

[4] http://www.economy.ge/?page=ecopolitic&s=12, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, საგარეო ვაჭრობა;




ნახ. 1.1. (ა) ბაზრის ფორმების ევოლუცია

**შიდა ბაზარი** ისეთი ბაზარია, როცა წარმოებული საქონელი მის მწარმოებელ ქვეყანაში იყიდება. **ეროვნული ეწოდება ბაზარს**, როცა მისი მცირე ნაწილია უცხოელ მყიდველებზე ორიენტირებული. **საერთაშორისო ბაზრის** შემთხვევაში ეროვნული ბაზრის ნაწილი უშუალოდ უცხოურთანაა დაკავშირებული, ხოლო მსოფლიო ბაზარი ქვეყნებს შორის სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის ისეთი სფეროა, რომელიც მთლიანად შრომის საერთაშორისო დანაწილებაზე და წარმოების ფაქტორების გადაადგილებაზეა დამოკიდებული.






ნახ. 1.1. ბ. ბაზრის ფორმების ევოლუცია

**საერთაშორისო ვაჭრობა ორი სასაქონლო ნაკადისაგან შედგება: ექსპორტისა** (საქონლის გაყიდვა და გატანა საზღვარგარეთ) და **იმპორტისაგან** (საქონლის შესყიდვა და შემოტანა ქვეყანაში).

**ექსპორტისა და იმპორტის ღირებულებითი მოცულობების ჯამს საგარეო-სავაჭრო ბრუნვა, ხოლო მათ შორის სხვაობას, საგარეო-სავაჭრო სალდო (ნაშთი) ეწოდება.**

საერთაშორისო ვაჭრობად მიჩნევისათვის მთავარია საქონლის მიერ სახელმწიფო საბაჟო საზღვრის გადაკვეთის (საბაჟო ორგანოებში შესაბამისი ფიქსაციით) იურიდიული ფაქტი. ამასთან, საქონლის მესაკუთრე ყოველთვის არ იცვლება. მაგ., თუ საქონელი მრავალეროვნული საწარმოს შიდასაფირმო არხებით სხვა ქვეყანაში გადაადგილდება, ექსპორტ-იმპორტის ფაქტი სახეზეა, მიუხედავად იმისა, რომ მისი მესაკუთრე არ შეცვლილა.

ამავე დროს, შესაძლებელია ისეთი სიტუაცია, როცა საქონლის მიერ საზღვრის გადაკვეთის გარეშეც ადგილი აქვს საერთაშორისო ვაჭრობას. მაგ., საქართველოს საწარმოს მიერ საქართველოში უცხოური საწარმოსადმი ნედლეულის მიყიდვა ექსპორტად მიიჩნევა. მოცემულ შემთხვევაში, მართალია ნივთს სახელმწიფო საზღვარი არ გადაუკვეთავს, მაგრამ მისი მესაკუთრე შეიცვალა. ეს გარემოება განმსაზღვრელია ქვეყნის საგადასახდელო ბალანსში ამ ფაქტის აღრიცხვისათვის.

**საგარეო ვაჭრობის ისტორიიდან**: საგარეო ვაჭრობა უძველესი დროიდან ცნობილია. ძვ. წ. XX ს-ში ჩრდილოაფრიკული ტომები ახლო აღმოსავლეთის უძველეს სახელმწიფოებში,– ბაბილონსა და ასურეთში ტანსაცმელსა და სურსათს სანელებლებსა და ზეთისხილის ზეთზე ცვლიდნენ. გაცვლის რესურსები და რეგიონები თანდათან გაფართოვდა. ძვ. წ. V ს-ში ჩინელი ვაჭრები აბრეშუმს ევროპაში ყიდდნენ, შედეგად „დიდი აბრეშუმის“ საქარავნო გზები ჩამოყალიბდა.

დაპყრობითი ომები ვაჭრობის განვითარებას ემსახურებოდა. ძვ. საბერძნეთისა და ძვ. რომის იმპერიების აღმასვლა, გარკვეულწილად, ამ ფაქტორმაც განაპირობა. მაგ., ძვ. წ. III ს-ში ჩრდ. აფრიკის ქალაქ-სახელმწიფო კართაგენი (ამჟამ. ტუნისის ყურე), თავისი ხელსაყრელი გეოპოლიტიკური მდებარეობის გამო, ხმელთაშუაზღვისპირეთის მთავარი ცენტრი იყო და რომს მეტოქეობდა. ევროპელ ვაჭრებს კართაგენში შეჰქონდათ ძვირფასი ლითონები და მინა, რასაც ხორბალზე, სპილოს ძვალზე და ქსოვილზე ცვლიდნენ. უპირატესობის მისაღწევად რომი გამძაფრებით ებრძოდა კართაგენს (I, II და III პუნიკური ომები) და ძვ. წ. 146 წელს საბოლოოდ გაანადგურა კიდეც. გამარჯვების აღსანიშნავად რომაელებმა კართაგენი გადაწვეს და ქალაქის მიწას მარილიც ბლომად მოაყარეს, რომ ძლევამოსილთა მეტოქე აღარასოდეს გამხდარიყო. შუა საუკუნეებში ვაჭრობის ცენტრი იტალია გახდა. ქალაქ-პოლისებმა,– ვენეციამ, გენუამ და ფლორენციამ დიდ პოლიტიკურ-სამხედრო ძლიერებას სწორედ კომერციულ-საბანკო აქტიურობით მიაღწია. მათზე გადიოდა დიდი საქარავნო-სავაჭრო გზები ევროპიდან აზიაში, უმთავრესად, ჩინეთში. 1453 წ. თურქ-ოსმალებმა ბიზანტიის დედაქალაქი კონსტანტინოპოლი აიღეს და ახლო აღმოსავლეთზე კონტროლი დააწესეს. სავაჭრო გზები ჩაიკეტა და გადაადგილება გართულდა. ევროპამ ახალი საზღვაო გზების ძიება დაიწყო. ესპანეთის ფინანსური მხარდაჭერით დიდი გენუელი ზღვაოსანი ქრ. კოლუმბი დასავლეთისაკენ ახალი საზღვაო გზების საძებნელად გაეშურა. მაგრამ, მის ნაცვლად, სანედლეულო-შრომითი რესურსების მდიდარი წყარო აღმოაჩინა, რაც ამერიკის კოლონიზაციით დამთავრდა. იმპერიებსა და კოლონიებს შორის ვაჭრობა გააქტიურდა. კოლონიებიდან გაჰქონდათ ნედლეული, ძვირფასი ლითონები და ხორბალი, რასაც იაფ სამომხმარებლო საქონელზე ცვლიდნენ. დროთა განმავლობაში კოლონიებმა დამოუკიდებლობა მოიპოვა. კოლონიალიზმი იმპერიალიზმით შეიცვალა. გ აიზარდა უცხოური ინვესტიციები. დიდმა ბრიტანეთმა, ესპანეთმა, ბელგიამ, საფრანგეთმა, ნიდერლანდმა და პორტუგალიამ, ყოფილ კოლონიებში კომპანია-იმპერიები დააარსეს და ფართო საბანკო, სატრანსპორტო და სავაჭრო ქსელი შექმნეს. XIX ს-ში ორთქლის ძრავის გამოგონება ეპოქალური მოვლენა გახდა, რამაც საქონლის გადაზიდვის ხარჯები შეამცირა და მსხვილი კომპანიების

საქმიანობა უფრო ეფექტიანი შეიქმნა. მოვლენების ასეთმა განვითარებამ კომპანიები გიგანტურ კორპორაციებად გარდაქმნა. იმავდროულად, ახალმა გამოგონებამ ტექნოლოგიურ პროგრესს დაუდო საფუძველი, რამაც უცხოური ინვესტიციების გადიდებას დამატებითი სტიმული მისცა [5].[5]

საქართველოს საერთაშორისო ეკონომიკურ სივრცეში ინტეგრაციისათვის მნიშვნელოვანია:

სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებთან ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავება;

ორმხრივი, რეგიონალური და მრავალმხრივი სავაჭრო ურთიერთობების, ასევე პრეფერენციული და თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმების განვითარება; შესაბამისად, მათი და ასევე, ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების გამოყენების ხელშეწყობა ვაჭრობაში ტექნიკური ბარიერების შემცირების და ქვეყანაში წარმოებული პროდუქტისა და მომსახურების საერთაშორისო და ევროპულ მოთხოვნებთან შესაბამისობის ხელშეწყობით [4].

## 1.3.საქართველოს სავაჭრო - ეკონომიკური ურთიერთობების მიმოხილვა

### 1.3.1.ურთიერთობები რეგიონის ქვეყნებთან

საქართველოსათვის მნიშვნელოვანია რეგიონის ქვეყნებთან ურთიერთობების განვითარება და განმტკიცება, რაც ხელს შეუწყობს რეგიონში ურთიერთ ინტერესებზე დამყარებული სავაჭრო-ეკონომიკური და პოლიტიკური თანამშრომლობის გაუმჯობესებას, უსაფრთხოებისა და სტაბილურობის გამყარებას, ასევე, სატრანსპორტო და ენერგეტიკულ სფეროებში ურთიერთობების გაღრმავებას.

საქართველო განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს თავის სტრატეგიულ პარტნიორთან - **აზერბაიჯანის რესპუბლიკასთან** მჭიდრო თანამშრომლობის გაგრძელებას, პოლიტიკურ, სავაჭრო-ეკონომიკურ, ენერგეტიკულ, სატრანსპორტო და

[5] გურამ ჯოლია, საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები, ევროპის სასწავლო უნივერსიტეტი, თბილისი 2015;

კულტურის სფეროებში. ქვეყნის წინაშე არსებული მიზნების მისაღწევად, მნიშვნელოვანი იქნება მხარეებს შორის ვიზიტების ურთიერთგაცვლის არსებული აქტიური დინამიკის შენარჩუნება და ძალისხმევის გააქტიურება სახელმწიფო საზღვრის დელიმიტაციისა და დემარკაციის დასრულების მიზნით.

საქართველო ესწრაფვის მჭიდრო პოლიტიკური დიალოგის კიდევ უფრო გაღრმავებას და სავაჭრო-ეკონომიკურ, სატრანსპორტო, ენერგეტიკისა და კულტურის სფეროებში ურთიერთობის შემდგომ განვითარებას **თურქეთის რესპუბლიკასთან**, რომელიც საქართველოს სტრატეგიულ პარტნიორს წარმოადგენს. ამ მხრივ, მნიშვნელოვანი იქნება ურთიერთქმედება მაღალი დონის სტრატეგიული თანამშრომლობის საბჭოს ფარგლებში.

ენერგოუსაფრთხოების უზრუნველყოფის და სატრანსპორტო დერეფნის განვითარების თვალსაზრისით, **აზერბაიჯანთან** და **თურქეთთან** პრიორიტეტული იქნება „სამხრეთის დერეფნისა“ და ბაქო-თბილისი-ყარსის სარკინიგზო მაგისტრალის პროექტების განხორციელება. რეგიონული პარტნიორობის განვითარების კონტექსტში, საქართველოსთვის მნიშვნელოვანია ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობის გაღრმავება საქართველო-თურქეთი-აზერბაიჯანის სამმხრივ ფორმატში.

**სომხეთის რესპუბლიკასთან** მიმართებაში, საქართველოს მიზანია ქვეყნებს შორის ჩამოყალიბებული კეთილმეზობლური ურთიერთობებისა და ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობის შემდგომი განვითარება. მნიშვნელოვანი იქნება ურთიერთხელსაყრელი სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავება, ასევე მუშაობის გააქტიურება სახელმწიფო საზღვრის დელიმიტაციისა და დემარკაციის დასრულების მიზნით.

მნიშვნელოვანია მჭიდრო პარტნიორობის გაგრძელება შავი ზღვის რეგიონში საქართველოს მოსაზღვრე ბულგარეთის რესპუბლიკასთან და რუმინეთთან. მათთან ურთიერთობაში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა რეგიონული სტაბილურობისა და უსაფრთხოების, სატრანსპორტო, ენერგეტიკულ და სავაჭრო-ეკონომიკურ სფეროებში თანამშრომლობას, მათ შორის სატრანსპორტო-ენერგეტიკული სატრანზიტო დერეფნის განვითარებასა და ერთობლივი ეკონომიკური და საინვესტიციო პროექტების განხორციელებას. გაგრძელდება

ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობა ნატოში გაწევრიანებისა და ევროკავშირში ინტეგრაციის პროცესში, აღნიშნული ქვეყნების მხარდაჭერის შენარჩუნებისა და გამოცდილების გაზიარების, ასევე კულტურის, განათლებისა და მეცნიერების სფეროებში ურთიერთობების განვითარების მიმართულებით.

საქართველო მიისწრაფვის, რეგიონის ქვეყნებთან - **უკრაინასთან** და **მოლდოვის რესპუბლიკასთან** მეგობრული და ურთიერთ სასარგებლო, მჭიდრო თანამშრომლობის გაღრმავებისაკენ. გასათვალისწინებელია, რომ უკრაინა და მოლდოვა, საქართველოსთან ერთად დღეს ისეთი საერთო გამოწვევების წინაშე დგანან, რაც საფრთხეს უქმნის მათ ტერიტორიულ მთლიანობასა და საზღვრების ურღვევობას, ევროკავშირში ინტეგრაციასა და ევროპულ ღირებულებებზე დამყარებული თანამედროვე სახელმწიფოს მშენებლობის პროცესის გაღრმავებას. საქართველო-უკრაინასა და საქართველო-მოლდოვას შორის არსებული, ტრადიციულად მეგობრული ურთიერთობებისა და საერთო თანამედროვე გამოწვევების კონტექსტის გათვალისწინებით, პრიორიტეტულია ევროინტეგრაციის კუთხით ურთიერთდახმარებაზე, წარმატებულ რეფორმებთან დაკავშირებით გამოცდილების ურთიერთგაზიარებაზე დაფუძნებული, მჭიდრო პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობების განვითარება და საერთო გამოწვევების წინააღმდეგ, მხარეებს შორის, ორმხრივ და მრავალმხრივ ფორმატებში თანამშრომლობის გაფართოება.

საქართველოს მიზანია რუსეთის ფედერაციასთან დაძაბული ურთიერთობების დეესკალაცია და საქართველოს სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობისა და მისი საერთაშორისოდ აღიარებული საზღვრების ურღვეობის პატივისცემის საფუძველზე ურთიერთობების ნორმალიზაცია, რისი საწინდარიც უნდა გახდეს რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიის დეოკუპაცია და მის მიერ საქართველოს ოკუპირებული რეგიონების აღიარების გაუქმება. უსაფრთხოების, სტაბილურობის, იძულებით გადაადგილებულ პირთა უსაფრთხო და ღირსეული დაბრუნების საკითხებთან დაკავშირებით, საქართველოსა და რუსეთს შორის ურთიერთობების მთავარი ფორმატი, კვლავ ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებები იქნება. საქართველოსა და რუსეთს შორის არსებული დაძაბული ურთიერთობების დეესკალაციისთვის, საქართველო, საჭიროების შემთხვევაში, გამოიყენებს

საქართველოს მთავრობის ინიციატივით რუსეთთან ჩამოყალიბებული არაფორმალური პირდაპირი დიალოგის ფორმატს, სადაც განიხილება ორმხრივი ურთიერთობების დღის წესრიგში არსებული ვაჭრობის, სატრანსპორტო კავშირებისა და კულტურულ-ჰუმანიტარული ურთიერთობების სფეროებთან დაკავშირებული ის პრაქტიკული საკითხები, რომელიც ჟენევის მოლაპარაკებების მიღმა რჩება. საქართველო, საქართველო-რუსეთს შორის ურთიერთობების დეესკალაციას არ განიხილავს, საქართველოს ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის ალტერნატივად. ეს ორი პროცესი პარალელურ რეჟიმში წარიმართება - საქართველოს ევროპული და ევროატლანტიკური არჩევანი, რომელიც ქართველი ხალხის თავისუფალი ნების გამოხატულებაა, გადასინჯვას არ ექვემდებარება.

საქართველოსთვის მნიშვნელოვანია კეთილმეზობლური ურთიერთობ-ბის გაგრძელება ირანის ისლამურ რესპუბლიკასთან, რომლის როლი ძალზედ მნიშვნელოვანია, რეგიონის უსაფრთხოებისა და სტაბილურობის უზრუნველყოფის თვალსაზრისით. საერთაშორისო გარემოს გათვალისწინებით, საქართველო გააგრძელებს ირანთან ორმხრივი ურთიერთობების წარმართვას ეკონომიკის, კულტურისა და ხალხთაშორისი ურთიერთობების, ასევე სატრანსპორტო და ენერგეტიკულ საკითხებში თანამშრომლობის განვითარების კუთხით.

ასევე გრძელდება მეგობრული ურთიერთობების განვითარება ბელარუსის რესპუბლიკასთან, პოლიტიკურ, სავაჭრო-ეკონომიკურ და კულტურულ-ჰუმანიტარულ სფეროებში ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობის განვითარების გზით [6].[6]

[6] http://mfa.gov.ge/MainNav/ForeignPolicy/ForeignPolicyStrategy საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო, ორმხრივი ურთიერთობები;

## 1.3.2.ურთიერთობები ჩრდილოეთ ამერიკის ქვეყნებთან

საქართველოს საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტია ამერიკის შეერთებულ შტატებთან სტრატეგიული თანამშრომლობის გაღრმავება, ორ ქვეყანას შორის სტრატეგიული პარტნიორობის ქარტიით განსაზღვრული, ოთხი მიმართულების გათვალისწინებით, რომელიც მოიცავს უსაფრთხოებასა და თავდაცვას; ეკონომიკას, ვაჭრობასა და ენერგეტიკას; დემოკრატიულ მმართველობასა და სამოქალაქო საზოგადოებას; ხალხთაშორის და კულტურულ კონტაქტებს.

საქართველო ასევე გააგრძელებს აშშ-სთან წარმატებულ თანამშრომლობას „ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის“ (MCC) ფარგლებში. საქართველოსთვის მნიშვნელოვანია ამერიკის შეერთებულ შტატებთან ეკონომიკური და სავაჭრო ურთიერთობების გაღრმავება. ამ მხრივ, კონკრეტული ნაბიჯები გადაიდგმება როგორც მთავრობათაშორისი, ისე ბიზნეს წრეებს შორის ურთიერთობების გასაღრმავებლად.

საქართველოსთვის პრიორიტეტულია აშშ-ის კონგრესთან და მასში წარმოდგენილ ორივე პოლიტიკურ პარტიასთან ნაყოფიერი თანამშრომლობის გაგრძელება, მათ შორის აშშ-ის კონგრესის დელეგაციების საქართველოში ვიზიტების, ასევე უმაღლესი და მაღალი დონის ორმხრივი ვიზიტების ურთიერთგაცვლის პოზიტიური დინამიკის გაზრდა.

გადაიდგმება ნაბიჯები, აშშ-ის საზოგადოების ყველა სეგმენტთან, მათ შორის აღმასრულებელ და საკანონმდებლო ხელისუფლებასთან, მასმედიასთან, საგანმანათლებლო და სამეცნიერო, დაწესებულებებთან, კვლევით ცენტრებთან, კულტურულ და არასამთავრობო ორგანიზაციებთან, საქართველოს მხარდამჭერ ჯგუფებთან, აშშ-ში ქართულ დიასპორასთან, ახალგაზრდულ გაერთიანებებთან თანამშრომლობის გაძლიერების მიმართულებით. მნიშვნელოვანია, აგრეთვე, საქართველოსა და რუსეთს შორის ჟენევის ფორმატში მიმდინარე მოლაპარაკებებში, აშშ-ის აქტიური ჩართულობის შენარჩუნება და ზოგადად, ორ ქვეყანას შორის მრავალმხრივ ფორმატებში არსებული ტრადიციული წარმატებული თანამშრომლობის შემდგომი განმტკიცება.

საქართველო ესწრაფვის კანადასთან, როგორც მსოფლიოს ერთ-ერთ წამყვან ეკონომიკურ და პოლიტიკურ აქტორთან მჭიდრო პარტნიორული ურთიერთობების

ეტაპობრივ განვითარებას. საქართველოსათვის მნიშვნელოვანია ევროატლანტიკური ინტეგრაციის პროცესში კანადის მხარდაჭერა და მასთან სავაჭრო ეკონომიკური კავშირების გაღრმავება. აღნიშნულის მისაღწევად, განხორციელდება ძალისხმევა, ქვეყნებს შორის ორმხრივი მაღალი დონის ვიზიტების ურთიერთგაცვლის, პარლამენტთაშორისი ურთიერთობების გააქტიურების, სამართლებრივი ბაზის განვითარების, კანადაში საქართველოს ცნობადობის ამაღლების, განათლების, მეცნიერებისა და კულტურის სფეროებში თანამშრომლობის შემდგომი გაძლიერებისა და ორ ქვეყანას შორის მრავალმხრივ ფორმატებში არსებული თანამშრომლობის გაღრმავების მიმართულებებით .

### 1.3.3. ურთიერთობები აზიისა და ევროპის ქვეყნებთან

საქართველო, როგორც ევროპის აზიასთან დამაკავშირებელი ბუნებრივი რგოლი, განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ცენტრალური აზიის ქვეყნებთან მჭიდრო თანამშრომლობას სავაჭრო-ეკონომიკურ, სატრანსპორტო, ენერგეტიკულ და გლობალური უსაფრთხოების სფეროებში. ჩვენი მიზანია საქართველოს, როგორც ისტორიულად ჩამოყალიბებული აბრეშუმის გზის ქვეყნის, ევროპასა და აზიას შორის დამაკავშირებელი სატრანზიტო ფუნქციის მაქსიმალური გამოყენება და დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის ხალხის, საქონლის, მომსახურებისა და კაპიტალის თავისუფალი გადაადგილების ხელშეწყობა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სხვადასხვა საშუალებების გამოყენებით ნახშირწყალბადების ტრანსპორტირება ევროპისაკენ და აქედან გამომდინარე ორმხრივი სატრანსპორტო ურთიერთობების ინტენსიფიკაცია და კომუნიკაციებისა და ინფრასტრუქტურის სრულყოფა, ასევე ცენტრალური აზიის ქვეყნებში ქართული პროდუქციის ექსპორტის ხელშეწყობა და ტურისტებისა და ინვესტიციების მოზიდვა.

ახლო აღმოსავლეთის რეგიონი დღევანდელი მსოფლიოს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანესი გეოპოლიტიკური კვანძია - ამ რეგიონში განვითარებული პოლიტიკური და ეკონომიკური პროცესები გავლენას ახდენს მთელ მსოფლიოზე. საქართველოსთვის მნიშვნელოვანია ახლო აღმოსავლეთის სამშვიდობო პროცესში ხელშესახები წინსვლა. საქართველო სასიცოცხლოდაა დაინტერესებული მის

უშუალო სამეზობლოში არასტაბილურობის აღმოფხვრით და მხარს უჭერს საერთაშორისო თანამეგობრობის ძალისხმევას გადადგას ეფექტური ნაბიჯები კონფლიქტის მოგვარებისთვის, ახლო აღმოსავლეთის რეგიონში ძალადობის შეწყვეტისა და ადამიანთა ღირსების, უსაფრთხოების და კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად.

ქართველ და ებრაელ ხალხებს შორის ისტორიულად ჩამოყალიბებული მჭიდრო კავშირების გათვალისწინებით, საქართველოსთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისრაელის სახელმწიფოსთან პარტნიორული ურთიერთობების შემდგომი განვითარება პოლიტიკურ, სავაჭრო - ეკონომიკურ, კულტურულ-საგანმანათლებლო, ტურიზმის, ტექნოლოგიების, ინვესტიციებისა და ხალხთაშორისი ურთიერთობების სფეროებში.

მნიშვნელოვანია ორმხრივი და მრავალმხრივი ურთიერთობების განვითარება არაბულ სახელმწიფოებთან. საქართველოსათვის პრიორიტეტულია სხვადასხვა მიმართულებებით თანამშრომლობის დიდი პოტენციალის გამოყენება და რეგიონში საქართველოს შესახებ ცნობადობის ამაღლება. საქართველო ესწრაფვის არაბულ სახელმწიფოებთან სავაჭრო-ეკონომიკური, მათ შორის, საქართველოში ინვესტიციების მოზიდვის თვალსაზრისით, კულტურული, საგანმანათლებლო და ხალხთაშორისი ურთიერთობების განვითარებას.

პრიორიტეტს წარმოადგენს ურთიერთობების განვითარება არაბულ სახელმწიფოთა რეგიონულ ორგანიზაციებთან, როგორიცაა არაბული სახელმწიფოების ლიგა (League of Arab States) და სპარსეთის ყურის თანამშრომლობის საბჭო (GCC).

საქართველო ესწრაფვის ტრადიციულად მეგობრული ურთიერთობების კიდევ უფრო გაღრმავებას ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან, რომელიც მსოფლიოს ნომერ მეორე ეკონომიკას წარმოადგენს და შედის საქართველოს სავაჭრო პარტნიორთა ხუთეულში. საქართველოს ამოცანაა ჩინეთთან პოლიტიკური ურთიერთობების გაღრმავება და სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების შემდგომი განვითარება, მათ შორის ჩინეთის ბაზარზე საქართველოს პროდუქციის ექსპორტის მოცულობისა და ქართულ ბაზარზე ჩინური ინვესტიციების მოცულობის გაზრდის კუთხით. ურთიერთობების პრიორიტეტული მიმართულებაა ასევე თანამშრომლობა „ახალი

აბრეშუმის გზის“ პროექტის აღორძინების კუთხით, რათა სრულად იქნას გამოყენებული საქართველოს, როგორც აზიისა და ევროპის დამაკავშირებელი ტრადიციული სატრანზიტო დერეფნის პოტენციალი. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მხარეთა მჭიდრო თანამშრომლობის გაგრძელება ისეთ პრინციპულ საკითხებში, როგორებიცაა სახელმწიფოს სუვერენიტეტი და ტერიტორიული მთლიანობა.

საქართველო განაგრძობს იაპონიასთან, როგორც მსოფლიოს ერთ-ერთ წამყვან ეკონომიკასა და პოლიტიკურ ძალასთან, ტრადიციულად მეგობრულ და მჭიდრო პარტნიორულ ურთიერთობებს როგორც ორმხრივ, ისე მრავალმხრივ ფორმატებში. საქართველოსათვის მნიშნელოვანია ორ ქვეყნას შორის არსებული თანამშრომლობის პოტენციალის მაქსიმალური გამოყენება როგორც პოლიტიკური თანამშრომლობის, ისე დემოკრატიული განვითარების, სავაჭრო-ეკონომიკური, მათ შორის საინვესტიციო პოტენციალის მოზიდვის თვალსაზრისით, ასევე სატრანსპორტო და საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროში.

გაგრძელდება მჭიდრო ურთიერთობების ჩამოყალიბება და ქვეყნებს შორის პოლიტიკის, ეკონომიკისა და ხალხთაშორისი ურთიერთობების სფეროში თანამშრომლობის არსებული პოტენციალის მაქსიმალურად ათვისება ინდოეთის რესპუბლიკასთან, რომელიც მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე დინამიურად განვითარებად ქვეყანას წარმოადგენს.

გაგრძელდება ძალისხმევა პოლიტიკური დიალოგისა და სავაჭრო-ეკონომიკური კავშირების განვითარების მიმართულებით სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის რეგიონის ქვეყნებთან, რაც ხელს შეუწყობს რეგიონში საქართველოს ცნობადობის გაზრდას, საერთაშორისო ფორმატებში მხარდაჭერის მოპოვებას და სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების განვითარებას.

საქართველოს საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთ მთავარ ამოცანას ევროპის ქვეყნებთან მჭიდრო, ურთიერთსასარგებლო პარტნიორული თანამშრომლობის ჩამოყალიბება/გაღრმავება წარმოადგენს, რომელსაც ქვეყნისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. ყურადღება დაეთმობა ევროპის ქვეყნებთან ორმხრივი პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული, ჰუმანიტარული და სოციალური ურთიერთობების კიდევ უფრო გაღრმავებას. გარდა ამისა, ევროპის ქვეყნებთან

პარტნიორული თანამშრომლობის გაძლიერებას მნიშვნელობა ენიჭება საქართველოს ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის პროცესის მხარდაჭერის, საქართველოს დემოკრატიული და ეკონომიკური განვითარების შეუქცევადობის, ასევე მშვიდობიანი გზით ქვეყნის დეოკუპაციის უზრუნველყოფისა და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის თვალსაზრისით.

საქართველოს მთავარი საგარეო პოლიტიკური ამოცანების განხორციელების თვალსაზრისით, უმნიშვნელოვანესი იქნება **გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასთან** თანამშრომლობის გაღრმავება და გაფართოება, ასევე გერმანიის მეტი ჩართულობის უზრუნველყოფა საქართველოში მიმდინარე რეფორმების პროცესში. განსაკუთრებული ძალისხმევა განხორციელდება საქართველოში გატარებული რეფორმების შედეგების, გერმანიაში სრულფასოვნად წარმოჩენისა და საქართველოს ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის ხელშეწყობის გაზრდის უზრუნველყოფის მიმართულებით. ხელი შეეწყობა საქართველოსა და გერმანიის დარგობრივ სტრუქტურებს შორის თანამშრომლობის განვითარებასა და საქართველოში გრძელვადიანი ინვესტიციების განხორციელების მიზნით გერმანული ბიზნესის მოზიდვას. საქართველოსთვის უმნიშვნელოვანესი იქნება გაგრძელდეს გერმანიის მხრიდან საქართველოს ოკუპირებული რეგიონების არაღიარების პოლიტიკის გატარების ხელშეწყობა.

დიდი ყურადღება დაეთმობა **საფრანგეთის რესპუბლიკასთან** ორმხრივი კონტაქტების კიდევ უფრო გაღრმავებას, მათ შორის, მნიშვნელოვანი იქნება ეკონომიკური თანამშრომლობის გაძლიერება, ასევე საქართველოში გატარებული რეფორმების შედეგების საფრანგეთში სრულფასოვნად წარმოჩენა და საქართველოს ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის ხელშეწყობის გაზრდის უზრუნველყოფა. ასევე მნიშვნელოვანი იქნება საფრანგეთის მხარდაჭერის განმტკიცება ფრანკოფონურ ქვეყნებთან (ფრანკოფონური ქვეყნები, ფრანგ. pays francophones — ქვეყნები, სადაც ფრანგულ ენას აქვს ოფიციალური სტატუსი და/ან სადაც მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი ფლობს მას. ასეთ ქვეყნებს მიეკუთვნება ფრანგული ენის ისტორიული განვითარების ტერიტორიები საფრანგეთი და მისი ზოგიერთი მეზობელი რეგიონები: მონაკო, ლუქსემბურგი, ბელგიის ნაწილი და შვეიცარიის ნაწილი, ასევე საფრანგეთის და ბელგიის

ყოფილი კოლონიები და დომინიონები) [7] [7]კონტაქტების დამყარების, განვითარების და არაღიარების პოლიტიკის განხორციელების პროცესში.

**დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებულ სამეფოსთან** გაღრმავდება არსებული ნაყოფიერი თანამშრომლობა **„უორდროპის დიალოგის“** ფარგლებში საქართველოში სახელმწიფო ინსტიტუტების მშენებლობის საქმეში ბრიტანული გამოცდილების გაზიარების, საქართველოს ტერიტორიაზე გამავალი ენერგოდერეფნის შემდგომი განვითარების, თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში არსებული ნაყოფიერი თანამშრომლობის კიდევ უფრო გაღრმავების, საქართველოს ევროატლანტიკური და ევროპული ინტეგრაციის მხარდაჭერის და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების არაღიარების პოლიტიკის გატარების თვალსაზრისით. („უორდროპის დიალოგი“ ქართულ-ბრიტანული თანამშრომლობის საკითხთა ფართო სპექტრის განხილვას ემსახურება. დიალოგის ფარგლებში შეხვედრები ტარდება წელიწადში ერთხელ, მონაცვლეობით თბილისსა და ლონდონში. პირველი, საინაუგურაციო სხდომა, 2014 წლის 19-20 ნოემბერს, ლონდონში გაიმართა. საქართველოსა და დიდი ბრიტანეთის და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებულ სამეფოს შორის გაიმართა ყოველწლიური ორმხრივი დიალოგის - „უორდროპის დიალოგი“ შუალედური რაუნდი 2015 წლის 29-30 აპრილს, საგარეო საქმეთა სამინისტროში გაიმართა საქართველოსა და დიდი ბრიტანეთის და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებულ სამეფოს შორის ყოველწლიური ორმხრივი დიალოგის - „უორდროპის დიალოგი“ შუალედური რაუნდი, რომელშიც მონაწილეობდა საქართველოსა და გაერთიანებული სამეფოს უწყებათაშორისი სამი თემატური (პოლიტიკა, ეკონომიკა, უსაფრთხოება) სამუშაო ჯგუფი [8][8]. საქართველოს მხრიდან, აღნიშნულ ღონისძიებაში მონაწილეობდნენ საგარეო საქმეთა, შინაგან საქმეთა, თავდაცვის, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების, ენერგეტიკის სამინისტროები და სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს

---

[7] https://ka.wikipedia.org/wiki ფრანგულენოვანი ქვეყნები;

[8] http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=5&t=1623. ვიშეგრადის ჯგუფი, ენციკლოპედიური ლექსიკონი;

აპარატის წარმომადგენლები. გაერთიანებული სამეფოს მხრიდან - საგარეო და თანამეგობრობის საქმეთა სამინისტროს, ვაჭრობისა და ინვესტიციების სააგენტოს, დანაშაულთან ბრძოლის ეროვნული სააგენტოს და საქართველოში გაერთიანებული სამეფოს საელჩოს წარმომადგენლები. შუალედურ რაუნდზე, მონაწილეებმა განიხილეს ორმხრივი ურთიერთობების, ეროვნული უსაფრთხოებისა და თავდაცვის, რეგიონული, ეკონომიკის, ვაჭრობისა და ენერგეტიკის საკითხები, ასევე საქართველო - ევროკავშირის, საქართველო - ნატოს, საქართველო - რუსეთის ურთიერთობები, ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული სიტუაცია. ასევე, ისაუბრეს „უორდროპის დიალოგის“ შემდგომ მიზნებსა და ამოცანებზე. ბრიტანულმა მხარემ კიდევ ერთხელ დაადასტურა გაერთიანებული სამეფოს მზაობა, მომავალშიც გააგრძელოს საქართველოს აქტიური მხარდაჭერა ევროკავშირთან და ნატოსთან ინტეგრაციის გზაზე ისევე. როგორც ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის ხელშეწყობის მიმართულებით. შეხვედრებზე ყურადღება დაეთმო საქართველოს ევროპულ და ევროატლანტიკურ მისწრაფებებს, ოკუპირებული რეგიონების ირგვლივ განვითარებულ მოვლენებსა და საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ და ეკონომიკურ პროცესებს.) [9][9].

დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ მჭიდრო პარტნიორული ურთიერთობების გაგრძელებას ევროკავშირის წევრ **ბალტიის რეგიონისა** და **ვიშეგრადის ქვეყნებთან.** (ვიშეგრადის ოთხეული არაოფიციალური სახელია ცენტრალური ევროპის 4 პოსტკომუნისტური ქვეყნის: ჩეხეთი, უნგრეთი, პოლონეთი და სლოვაკეთი - გაერთიანებისა. თავდაპირველად ჯგუფს ვიშეგრადის ,,ტროიკა” ერქვა, ხოლო მას შემდეგ, რაც 1993 წელს ჩეხეთი და სლოვაკეთი ცალკე სახელმწიფოები გახდნენ, იგი ოთხეულად გადაიქცა. ჯგუფს სახელი დაერქვა ჩრდილოეთ უნგრული ქალაქის ვიშეგრადის სახელით, სადაც 1991 წლის 15 თებერვალს ერთმანეთს სამი ქვეყნის პრეზიდენტები შეხვდნენ: ჩეხოსლოვაკიის - ვაცლავ ჰაველი, უნგრეთის - არპად გიონზი და პოლონეთის - ლეჰ ვალენსა. ამ შეხვედრაზე მხარეებმა ხელი მოაწერეს დეკლარაციას ევროპული ინტეგრაციისაკენ მიმავალ გზაზე სამ ქვეყანას

[9] https://imedinews.ge/ge/saqartvelo, უორდროპის სტრატეგიული დიალოგი

შორის (დღეს უკვე ოთხი) ახლო თანამშრომლობის შესახებ. კომუნისტური რეჟიმის მსხვრევის შემდეგ, მათი თანამშრომლობა მნიშვნელოვანი იყო ტოტალიტარული რეჟიმიდან თავისუფალ, პლურალისტურ და დემოკრატიულ საზოგადოებაზე გადასვლის გზაზე. ჯგუფის წევრი ქვეყნები ცენტრალურ ევროპაში მდებარეობენ და ერთი ცივილიზაციის ნაწილნი არიან. იზიარებენ საერთო კულტურულ და ინტელექტუალურ ღირებულებებს და საერთო რელიგიური ტრადიციები აქვთ. ოთხივე სახელმწიფოს სურვილია ევროკავშირში გაწევრიანება. ჯგუფის წევრების განცხადებით, მათი ჯგუფი არ არის საერთო ევროპული ინტეგრაციის ალტერნატივა და სხვა ცენტრალურ ევროპულ სტრუქტურებს არ უპირისპირდება. პირიქით, ჯგუფის მიზანია ყველა ქვეყანასთან, განსაკუთრებით უშუალო მეზობლებთან, მაქსიმალური თანამშრომლობა. ჯგუფს სურს წვლილი შეიტანოს ევროპული უსაფრთხოების არქიტექტურის შექმნაში. ჯგუფის ყველა საქმიანობა მიმართულია ცენტრალური ევროპის რეგიონში სტაბილურობის გამყარებაზე და ევროკავშირში მათი გაწევრიანების პროცესის დააჩქარებაზე.) [8].

ამ ქვეყნების მხარდაჭერა და მათი გამოცდილების გაზიარება მნიშვნელოვან სარგებელს, მათ შორის, სტიმულს აძლევს საქართველოს, არსებული გამოწვევების მიუხედავად, განაგრძოს დემოკრატიული გარდაქმნებისა და ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის კურსი. გაგრძელდება თანამშრომლობა საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერის, უსაფრთხოების ხელშეწყობის, ასევე ევროკავშირში ინტეგრაციისა და ნატო-ში გაწევრიანების პროცესში, აღნიშნული ქვეყნების მხარდაჭერის და მათი გამოცდილების გაზიარების მიმართულებით. გაძლიერდება ძალისხმევა ურთიერთსასარგებლო სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობისა და ინვესტიციების მოზიდვის კუთხით.

სტრატეგიულ ურთიერთობები **ბალტიის რეგიონის** ქვეყნებთან და მათი მხარდაჭერა განსაკუთრებით ღირებულია ქვეყნის განვითარების ამ უმნიშვნელოვანეს ეტაპზე. გადაიდგმება ნაბიჯები **ბალტია-შავი ზღვის** რეგიონული თანამშრომლობის არსებული პოტენციალის სრულად გამოყენების, მათ შორის, ერთობლივი საინვესტიციო პროექტების განხორციელების თვალსაზრისით. ძალისხმევა მიმართული იქნება როგორც ორმხრივი დარგობრივი თანამშრომლობის გაღრმავების,

ისე რეგიონული სატრანსპორტო-ენერგეტიკული პროექტების განხორციელებისკენ. გაგრძელდება მუშაობა მთავრობათაშორისი ეკონომიკური კომისიების შექმნისა და მათი ეფექტიანი ამოქმედების კუთხით. პრიორიტეტული იქნება გამოცდილების გაზიარება ელექტრონული მმართველობისა (e-governance) და კიბერუსაფრთხოების სფეროებში.

**ვიშეგრადის ჯგუფის** წევრ ქვეყნებთან ორმხრივი ურთიერთობების გარდა, გააქტიურდება თანამშრომლობა თავად ამ რეგიონულ გაერთიანებასთან. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა ბალტიისა და ვიშეგრადის ქვეყნების კონკრეტული ინიციატივების განხორციელებას, რომლებიც მიზნად ისახავს საქართველოსთვის გამოცდილების გაზიარებას.

საქართველოსთვის მნიშვნელოვანია **შვეიცარიის კონფედერაციის** ძალისხმევა, მისი მეშვეობით, რუსეთსა და საქართველოს შორის სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობების განხორციელების საქმეში. კვლავ აქტუალურია, რომ შვეიცარიამ, როგორც რუსეთის ფედერაციასთან მედიატორმა ქვეყანამ, გააგრძელოს დაკისრებული ფუნქციების შესრულება. ამავე თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია შვეიცარიის როლი საქართველოსა და რუსეთის ფედერაციას შორის საბაჟო ადმინისტრირებისა და სასაქონლო ბრუნვის მონიტორინგის მექანიზმის ძირითადი პრინციპების შესახებ შეთანხმების შესრულების პროცესში. ხელი შეეწყობა შვეიცარიასთან ეკონომიკურ და პოლიტიკურ სფეროებში თანამშრომლობის გაღრმავებას, მათ შორის საქართველოში შვეიცარიის საინვესტიციო პოტენციალის მოზიდვის გზით.

კავკასიის და შავი ზღვის რეგიონით **ავსტრიის რესპუბლიკის** დაინტერესება კარგ შესაძლებლობას იძლევა კიდევ უფრო გაღრმავდეს არსებული თანამშრომლობის დინამიკა და გამოიძებნოს ახალი სფეროები სამომავლო ურთიერთობებისთვის. ხელი შეეწყობა ავსტრიასთან ურთიერთობების არსებული დინამიკის შენარჩუნებას, სავაჭრო-ეკონომიკური და საინვესტიციო პოტენციალის ამოქმედებას, ასევე კულტურის სფეროში თანამშრომლობის კიდევ უფრო გაღრმავებას.

ძირითადად, ურთიერთობების შემდგომი განვითარების - მათ შორის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების გააქტიურებისა და ინვესტიციების მოზიდვის - ხელშეწყობა მოხდება **ბენილუქსის ქვეყნებთან** (ბენილუქსი (*Benelux*) — ეკონომიკური

კავშირი დასავლეთ ევროპაში, რომელშიც სამი სახელმწიფო ერთიანდება: ბელგია, ნიდერლანდები და ლუქსემბურგი. ესაზღვრება საფრანგეთსა და გერმანიას. კავშირის სახელწოდება შედგენილია წევრი ქვეყნების პირველი ასოებისგან (ბელგია+ნიდერლანდი+ლუქსემბურგი). ბენილუქსის მოსახლეობა 27 562 217 კაცს შეადგენს ხოლო ფართობი 74 640 კმ²-ს (28 819 მილი²). კავშირი შეიქმნა 1921 წლის 25 ივლისს) [10]. გააქტიურდება ურთიერთობა **სამხრეთ ევროპის ქვეყნებთან,** განსაკუთრებით პოლიტიკურ, ეკონომიკურ, კულტურულ და სამეცნიერო სფეროებში. მნიშვნელოვანი იქნება **ესპანეთის სამეფოსა და პორტუგალიის რესპუბლიკის** მხარდაჭერის განმტკიცება ესპანურენოვან და ლუზოფონურ ქვეყნებთან კონტაქტების დამყარებისა და განვითარების, ასევე არაღიარების პოლიტიკის განხორციელების პროცესში.

მნიშვნელოვანია **საბერძნეთის რესპუბლიკასთან და კვიპროსის რესპუბლიკასთან** პოლიტიკური და ეკონომიკური და კულტურულ-ჰუმანიტარული ურთიერთობების გაღრმავება. ქვეყნებში არსებული მრავალრიცხოვანი ქართული დიასპორის ფაქტორის გათვალისწინებით, გააქტიურდება ორმხრივი თანამშრომლობა ქართული დიასპორების ინტერესების გატარებისა და დაცვის მიმართულებით.

საქართველო გააღრმავებს ეკონომიკურ, სავაჭრო და კულტურული სახის კავშირებს **სკანდინავიის სახელმწიფოებთან.** ენერგოსფეროში სკანდინავიის რეგიონის მდიდარი პოტენციალის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანი იქნება მათი გამოცდილების გაზიარება და ამ სექტორში სკანდინავიის ქვეყნებიდან ინვესტიციების მოზიდვა.

ბოლო ათწლეულში ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის მიმართულებით გადადგმული ნაბიჯების გათვალისწინებით, **ბალკანეთის** რეგიონის ქვეყნები აქტუალურ მნიშვნელობას იძენს საქართველოსთვის. აღნიშნული ქვეყნების ევროპული და ევროატლანტიკური მისწრაფებებიდან და ამ სტრუქტურებში მათი სტატუსიდან (წევრი, გაწევრიანების კანდიდატი ან ასპირანტი ქვეყანა) გამომდინარე, მნიშვნელოვანი იქნება შემდგომი დიალოგის წარმართვა, გამოცდილების გაზიარებისა, თუ ურთიერთმხარდამჭერი პოზიციების მოპოვების თვალსაზრისით.

საერთაშორისო ვაჭრობა იქცა მაღალგანვითარებული ქვეყნების მონოპოლიებისათვის შეკვეთების მიღების პლაცდარმად, სამრეწველო პროდუქციის გასაღების არხად. XX საუკუნის შუა ხანებში მკვეთრად შეიცვალა

ვაჭრობის სახე და სფერო. შეიცვალა მოვაჭრე მხარეებიც. ვაჭრობის მთავარ განმსაზღვრელ ფაქტორად იქცა წარმოების კონცენტრაციის პროცესი. მსოფლიო ბაზარზე გაიზარდა მწარმოებელსა და მომხმარებელს შორის დაპირისპირება. წარმოების მასშტაბებმა წინ გაუსწრო მოთხოვნის ზრდის ტემპს. მწარმოებელსა და მომხმარებელს შორის წინააღმდეგობა გამოიწვია კაპიტალის მიგრაციამ. თუ ადრე ვაჭრობის მთავარი ფორმა იყო სასაქონლო გაცვლა, კაპიტალის მონოპოლიზაციის შემდეგ მიმოქცევის სფეროში ასეთად იქცა კაპიტალის დენადობა. ამიტომ, ცალკეული ქვეყნის ეკონომიკა სულ უფრო კარგავს ეროვნულ ხასიათს და ინტერნაციონალური ხდება.

# 2.საქართველოს საგარეო ვაჭრობის თანამედროვე მდგომარეობის ანალიზი

## 2.1.საქართველოს საგარეო ვაჭრობის გეოგრაფია

მსოფლიო მეურნეობაში საქართველოს ეკონომიკის ინტეგრირების პროცესი ატარებს ინტენსიურ ხასიათს, რაც საგარეო ვაჭრობის ლიბერალიზაციის სტრატეგიული კურსის თანმიმდევრული განხორციელებით არის განპირობებული. წლითიწლობით მატულობს საგარეო სავაჭრო ბრუნვა, ფართოვდება ვაჭრობის გეოგრაფია და იზრდება უცხოური ინვესტიციების მასშტაბები. ქვეყანამ პრაქტიკულად დაიბრუნა თავისი ისტორიული გეოპოლიტიკური ფუნქცია და გახდა ევრაზიის სახელმწიფოთა სტრატეგიული ეკონომიკური პარტნიორი.

სავაჭრო ბალანსში მაღალი ხვედრითი წილით იყო წარმოდგენილი დსთ-ს ქვეყნები, რომლებთანაც საქართველოს გააჩნდა ორმხრივი სავაჭრო ურთიერთობები. მათ შორის უმსხვილესი პარტნიორი იყო რუსეთი, რომლის წილად მოდიოდა დსთ-ში გატანილი პროდუქციის ნახევარზე მეტი. დსთ-ს ქვეყნების წილმა 1997-1998 წლებში საქართველოდან ექსპორტის მთლიან მოცულობაში შეადგინა შესაბამისად 59,7 და 53,7%-ს, ხოლო იმპორტში - 36,4 და 35,2%-ს. ამიტომ დსთ-ს სივრცე ჩვენი ქვეყნის საგარეო ეკონომიკური პოლიტიკის

მიერ სტრატეგიულ ბაზრად იყო მიჩნეული. დღევანდელი გადასახედიდან ეს სურათი სრულიად შეცვლილია.

საქართველოს მრავალ ქვეყანასთან გააჩნია შესაბამისი სახელშეკრულებო-სამართლებრივი ბაზა, კერძოდ, დადებულია შეთანხმებები სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობათა შესახებ, ინვესტიციათა ურთიერთდაცვის და ურთიერთ წახალისების შესახებ, საწარმოო კოოპერაციის შესახებ, თავისუფალი ვაჭრობის შესახებ და სხვა.

პარტნიორი ქვეყნების ეკონომიკური მახასიათებლები სავსებით შეესაბამება ეკონომიკური ინტეგრაციის იმ აუცილებელ წინამძღვრებს, რომლებიც შემუშავებულია მსოფლიოს ეკონომიკური მეცნიერების მიერ. ესენია: ეროვნულ სამეურნეო კომპლექსთა გეოგრაფიული სიახლოვე, მათი ურთიერთშემავსებლობის ისტორიულად ჩამოყალიბებული მაღალი ხარისხი, ეკონომიკური განვითარების ერთიანი დონე, წარმოებით ურთიერთობათა ერთტიპიური ხასიათი.

უკანასკნელ პერიოდში საქართველო აფართოებს და განამტკიცებს ახალ სავაჭრო პარტნიორულ ურთიერთობებს საზღვარგარეთის ქვეყნებთან. 1999 წელს ჩვენმა ქვეყანამ სავაჭრო ოპერაციები განახორციელა 105 სახელმწიფოსთან, მაშინ, როდესაც 1995 წელს ეს ურთიერთობები დამყარებული იყო 54 ქვეყანასთან. ეს კავშირები მნიშვნელოვანწილად ატარებს სტაბილურ ხასიათს. ასე მაგალითად, სავაჭრო ბრუნვის მოცულობა 2007 წლისათვის პარტნიორ ქვეყნებთან 6447254 ათას დოლარს შეადგენდა, სადაც ყველაზე დიდი ხვედრითი წილით წარმოდგენილი იყო თურქეთი. კერძოდ, იგი აღემატებოდა - 14-%-ს. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ განსაკუთრებული ზრდით ხასიათდებიან განვითარებული ქვეყნები.

რაც შეეხება იმპორტს, მის სტრუქტურაში ჭარბობს ენერგოშემცველები; თამბაქოს ნაწარმი, მსუბუქი ავტომობილები, სამკურნალო საშუალებები, ხორბალი და ფქვილი. ნიშანდობლივია, რომ იმპორტში ტექნოლოგიურ დანადგარებთან ერთად მნიშვნელოვანი ზომითაა წარმოდგენილი უცხოური კრედიტებისა და გრანტების ხარჯზე შეძენილი საქონელი. აქედან გამომდინარე, ნათელია ქვეყნის მეურნეობისა და სამომხმარებლო ბაზრის დამოკიდებულების მაღალი ხარისხი. ექსპორტში კვლავ ძირითადია სანედლეულო საქონელი. დამახასიათებელია, რომ

ექსპორტსა და იმპორტს შორის არ არსებობს საკმაო სტრუქტურული ურთიერთკავშირი, ამის ობიექტური მიზეზებია: ეკონომიკის მემკვიდრეობით მიღებული არარაციონალური დარგობრივი სტრუქტურა, საწარმოო პოტენციალის გამოყენების დაბალი დონე, პროდუქციის დაბალი კონკურენტუნარიანობა მსოფლიო ბაზარზე, სავალუტო-საფინანსო პოლიტიკის შიდა პრობლემები, საფინანსო კრიზისი რუსეთში 1998 წლის II ნახევარში და მისი ნეგატიური გავლენა ჩვენი ეკონომიკის დარგთა პროდუქციის ზრდის ტემპზე და უკანასკნელ წლებში რუსეთის მიერ ქართული საექსპორტო პროდუქციაზე ემბარგოს დაწესების მიუხედავად, საგარეო ვაჭრობის პირველადი მონაცემებით, საქართველოს ექსპორტი საანალიზო პერიოდში წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 23%-ით გაიზარდა. რუსეთმა კი ქვეყნების ექსპორტის სტრუქტურაში პირველი ადგილიდან მეათეზე გადაინაცვლა, ბოლო პერიოდში განხორციელებულმა პოლიტიკურმა და მაკროეკონომიკურმა რეფორმებმა აგრარული სექტორის რეაბილიტაციის ხელშემწყობი მიკრო გარემო შექმნა და განაპირობა საერთაშორისო ორგანიზაციებთან თვისებრივად ახალი თანამშრომლობის ფორმირება, რის შედეგადაც სასურსათო ჰუმანიტარული დახმარების გაწევის კურსიდან აქცენტი ადგილობრივი წარმოების ზრდის ხელშეწყობის კურსზე იქნა გადატანილი.

საქართველოს საერთაშორისო ეკონომიკურ სივრცეში ინტეგრაციისათვის მნიშვნელოვანია:

სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებთან ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავება;

ორმხრივი, რეგიონალური და მრავალმხრივი სავაჭრო ურთიერთობების, ასევე პრეფერენციული და თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმების განვითარება; შესაბამისად, მათი და ასევე, ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების გამოყენების ხელშეწყობა ვაჭრობაში ტექნიკური ბარიერების შემცირების და ქვეყანაში წარმოებული პროდუქტისა და მომსახურების საერთაშორისო და ევროპულ მოთხოვნებთან შესაბამისობის ხელშეწყობით [10][10].

---

[10] https://ka.wikipedia.org/wiki, ბენილუქსი;

## 2.2.საქართველოში მოქმედი სავაჭრო რეჟიმები და საერთაშორისო ხელშეკრულებები

- **უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმი (Most-Favored-Nation)**

საქართველოს სავაჭრო პარტნიორების უმეტესობა არის ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის (ვმო) წევრი და შესაბამისად, ვმო-ს წევრ ქვეყნებთან (164 ქვეყანა) სავაჭრო ურთიერთობები ხორციელდება"უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის" (MFN) საფუძველზე.

- **პრეფერენციათა განზოგადებული სისტემა (Generalized System of Preferences - GSP)**

პრეფერენციების განზოგადებული სისტემის (GSP) ძირითადი არსია ბენეფიციარი ქვეყნებიდან იმპორტირებულ საქონელზე საბაზო საიმპორტო ტარიფის შემცირებული განაკვეთების დაწესება, რაც აადვილებს განვითარებადი ქვეყნების საქონლის შეღწევას განვითარებული ქვეყნების ბაზარზე.

საქართველო არის შემდეგი ქვეყნების პრეფერენციათა განზოგადებული სისტემის რეჟიმის ბენეფიციარი: აშშ, იაპონია, და კანადა .

- **თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმი**

თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმი გულისხმობს შეთანხმების მონაწილე მხარეებს შორის ვაჭრობის გათავისუფლებას საბაჟო-საიმპორტო გადასახადისაგან, გარდა ურთიერთ შეთანხმებული გამონაკლისებისა. საქართველოს თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმი აქვს დსთ-ს ყველა ქვეყანასთან, თურქეთთან და ევროკავშირთან.

დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის (დსთ) წევრ ქვეყნებთან, გარდა რუსეთის ფედერაციისა, თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმი რეგულირდება "თავისუფალი სავაჭრო ზონის შექმნის შესახებ" დსთ-ს 1994 წლის მრავალმხრივი შეთანხმებით, და ასევე ორმხრივ ფორმატში იმ ქვეყნებთან, რომლებთანაც საქართველოს გაფორმებული აქვს ასეთი სახის ორმხრივი შეთანხმება. საქართველო ასევე არის დემოკრატიისა და ეკონომიკური განვითარების ორგანიზაცია სუამ-ის ფარგლებში მოქმედი "თავისუფალი სავაჭრო ზონის შექმნის შესახებ" 2002 წლის მრავალმხრივი შეთანხმების მონაწილე ქვეყნა.

**2014 წლის 1 სექტემბრიდან ამოქმედდა** ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი სავაჭრო ზონის შექმნის შესახებ (DCFTA) შეთანხმება.

2018 წლის 20 მარტს, ქ. ბრიუსელში (ბელგიის სამეფო) გაიმართა საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებით გათვალისწინებული საბაჟო ქვეკომიტეტის შეხვედრა. შეხვედრის ფარგლებში ხელი მოეწერა ქვეკომიტეტის გადაწყვეტილებას, რომლის საფუძველზეც მოხდა საქართველოსა და ევროკავშირს შორის გაფორმებული ასოცირების შესახებ შეთანხმების „საქონლის წარმოშობის“ ცნების განსაზღვრისა და ადმინისტრაციული თანამშრომლობის მეთოდების წესების შესახებ ოქმი I - ის ჩანაცვლება პან-ევრო-ხმელთაშუა ზღვის პრეფერენციული წარმოშობის წესების რეგიონალური კონვენციის შესაბამისი დანართით.

აღნიშნული ცვლილება იძლევა საშუალებას ამოქმედდეს დიაგონალური კუმულაცია ევროკავშირს, საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკას შორის მას შემდეგ, რაც თურქეთის მხარე მოახდენს საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკას შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების შესაბამისი ცვლილების რატიფიცირებას. საქართველომ უკვე დაასრულა აღნიშნული ცვლილების რატიფიცირების პროცედურები.

საქართველოს ორმხრივი თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებები გაფორმებული აქვს შემდეგ ქვეყნებთან: რუსეთის ფედერაცია, აზერბაიჯანი, სომხეთი, უკრაინა, მოლდოვა, ყაზახეთი, უზბეკეთი, თურქმენეთი, თურქეთი. დსთ-ს ქვეყნებთან ვაჭრობისას (გარდა უზბეკეთის რესპუბლიკისა და რუსეთის ფედერაციისა) გამოიყენება დსთ-ს მეთაურთა საბჭოს 2000 წლის 30 ნოემბრის გადაწყვეტილებით დამტკიცებული „საქონლის წარმოშობის ქვეყნის განსაზღვრის წესი“ .

უზბეკეთის რესპუბლიკასთან ვაჭრობისას გამოიყენება დსთ-ს მეთაურთა საბჭოს 1993 წლის 24 სექტემბრის გადაწყვეტილებით დამტკიცებული “საქონლის წარმოშობის ქვეყნის განსაზღვრის წესი“.

რუსეთის ფედერაციასთან ვაჭრობისას გამოიყენება საქართველო-რუსეთს შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების 1 და მე - 2 მუხლით განსაზღვრული კრიტერიუმები. ამასთან, რუსეთის ფედერაციასა და თურქეთთან არსებული თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმი, სხვა ქვეყნებიდან განსხვავებით ითვალისწინებს გამონაკლისებს, კერძოდ, თავისუფალი სავაჭრო რეჟიმიდან გარკვეული სახის საქონლის ამოღებას.

რუსეთის ფედერაციასთან ორმხრივი თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმიდან ამოღებული პროდუქციის ნუსხა იხილეთ დანართად.

თურქეთის რესპუბლიკასთან ორმხრივი თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმიდან ამოღებები: საქართველოს მხრიდან, თურქეთის მხრიდან თურქეთის საიმპორტო კვოტები.

„თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმება საქართველოს მთავრობასა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობას შორის".

ათი უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნის წილმა საქართველოს მთლიან საგარეო სავაჭრო ბრუნვაში 66.7% შეადგინა. პირველ ადგილზეა თურქეთი (1 589 მლნ. აშშ დოლარი, წილი 14.8%), მეორე ადგილზეა რუსეთი ( 1 184 მლნ. აშშ დოლარი, წილი 11%), ხოლო მე-3 ადგილზე ჩინეთი (939.5 მლნ. აშშ დოლარი, წილი 8.8%) [8].

**ვმო-ს შეთანხმებები – გენერალური შეთანხმება ტარიფებისა და ვაჭრობის შესახებ (GATT)** - შეთანხმების ძირითადი მიზანია ვაჭრობის ლიბერალიზაცია, სავაჭრო ბარიერების შემცირების, მათ შორის პროტექციონისტული ტარიფების დონის დაწევის გზით.

**ვაჭრობისა და ტარიფების გენერალური შეთანხმება (General Agreement on Tarrifs and Trade - GATT)**

ვაჭრობისა და ტარიფების გენერალური შეთანხმება (გატი) განიხილებოდა როგორც მდიდარი ქვეყნების კლუბი. გატის წესები ესაა - ე.წ. ვაჭრობის ლიბერალური წესები მდიდართა სასარგებლოდ.

გატი შეიქმნა 1947 წელს. მიზანი იყო წევრ ქვეყნებს შორის თავისუფალი ვაჭრობისათვის ხელშეწყობა, რაც გამოიხატებოდა მოლაპარაკებების წარმოებაში ტარიფების დარეგულირებისა და შემცირების შესახებ. თავისუფალი ვაჭრობის გაფართოება და გაინტენსიურება, თავის მხრივ, ხელს შეუწყობდა კაცობრიობის ცხოვრების დონის გაუმჯობესებას. მას, აგრეთვე უნდა შეემუშავებინა დავების მოგვარების მექანიზმები. შტაბ ბინა იყო ჟენევაში. გატის მოლაპარაკებებს უწოდებენ რაუნდებს. გატის უნდა მიეღწია თავისუფალი და უფრო სამართლიანი ვაჭრობისათვის, ტარიფების შემცირებისა და სხვა სავაჭრო ბარიერების მოხსნის გზით. იგი თავის საქმიანობაში ეყრდნობოდა სამ პრინციპს:

- არა დისკრიმინაცია, მრავალმხრივობა, და ყველაზე სასურველი სახელმწიფოს პრინციპის (Most-Favoured Nation Principle) გავრცელება შეთანხმების ყველა წევრზე (ყველაზე სასურველი ქვეყნის პრინციპი ნიშნავს იმას, რომ ყოველთვის, როდესაც წევრი სახელმწიფო შეღავათებს აწესებს ერთი სავაჭრო პარტნიორისთვის, მან იგივე შეღავათები უნდა მიანიჭოს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის ყველა დანარჩენ წევრს, რათა ყველა იყოს თანაბარ პირობებში);

- ვაჭრობის გაინტენსიურება წევრ სახელმწიფოებს შორის სავაჭრო ბარიერების შემცირების გზით;

- უპირობო თანამშრომლობა ყველა წევრს შორის.

უნდა შექმნილიყო მსოფლიო სავაჭრო რეჟიმი ან უნივერსალური კანონები სავაჭრო პოლიტიკის წარმოებისათვის.

მიუხედავად იმისა, რომ აღმოსავლეთის ბლოკი და ნაკლებად განვითარებული სახელმწიფოების უმეტესობა არ შეუერთდა გატს და არ სცნეს მისი პრინციპები, ხოლო წევრი სახელმწიფოები სრულად არასრულებდნენ თავიანთ მოვალეობებს, გატმა მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ომის შემდგომ პერიოდში მსოფლიო ვაჭრობის ლიბერალიზაციის პროცესს.

**ინტელექტურალური საკუთრების უფლებების ვაჭრობასთან დაკავშირებული ასპექტების შესახებ (TRIPS)** - შეთანხმება ძირითადად სახელმწიფოთა წინაშე აყენებს მოთხოვნებს, რომლებიც ეხება ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დარღვევის საკითხებს.

**ვაჭრობაში ტექნიკური ბარიერების შესახებ (TBT)** - შესაბამისად თითოეული წევრის მიერ შემოღებული უნდა იყოს ტექნიკური რეგულაციები იმგვარად, რომ მათ არ შექმნან საერთაშორისო ვაჭრობაში ზედმეტი დაბრკოლებები.

**სანიტარული და ფიტოსანიტარული ზომების გამოყენების შესახებ (SPS)**- შეთანხმებით არ არის განსაზღვრული საქონლის იმპორტის, რეექსპორტისა და ტრანზიტისათვის რაიმე აკრძალვითი ან ლიცენზირებადი ღონისძიებები, გარდა იმ ღონისძიებებისა, რომლებიც მიზნად ისახავს ადამიანის ჯანმრთელობის, ცხოველებისა და მცენარეების დაცვას.

## 2.3.საქართველოს საგარეო ვაჭრობის ანალიზი

**2018 წლის იანვარ-მარტი**

2018 წლის იანვარ-მარტში საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვა 23.3 %-ით გაიზარდა და 2 828.8 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა.

- ექსპორტი გაიზარდა 28.4%-ით და 740.3 მლნ. აშშ დოლარით განისაზღვრა;
- იმპორტი გაიზარდა 21.6%-ით და 2 083.4 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა;

- სავაჭრო ბალანსმა 1 343.1 მლნ. აშშ დოლარი და საგარეო სავაჭრო ბრუნვის 47.6% შეადგინა. უნდა აღინიშნოს, რომ ექსპორტის ზრდის უწყვეტი ტენდენცია 2016 წლის სექტემბრიდან შეიმჩნევა. ყოველი თვე წინა წლის ანალოგიურ თვესთან შედარებით მნიშვნელოვნად იზრდება (2016 - სექტემბერი - 8%, ოქტომბერი-1%, ნოემბერი-17%, დეკემბერი-5%, 2017 - იანვარი-45%, თებერვალი-13%, მარტი -36%, აპრილი -28%, მაისი - 25%, ივნისი-37%, ივლისი - 22%, აგვისტო - 26%, სექტემბერი-27%, ოქტომბერი - 38%, ნოემბერი - 8%, დეკემბერი 50%, 2018 წლის იანვარი - 26%, თებერვალი - 25%, მარტი - 29%). 2018 წლის იანვარ-მარტში, ექსპორტმა რეექსპორტის გარეშე 554.8 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც 18.6%-ით აღემატება წინა წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელს [11][11].

საქართველოს ექსპორტი 2017/3-2018/3

ცხრილი 2.1.

| | სტატისტიკური მონაცემები | | | |
|---|---|---|---|---|
| | 2017/3 | 2018/3 | | |
| | მლნ. $ | მლნ. $ | სხვაობა (%) | მლნ.$ |
| ექსპორტი სულ | 576,5 | 740,3 | 28,4 | 163,8 |
| მ.შ. წმინდა ექსპორტი | 467,6 | 554,8 | 18,6 | 87,2 |
| რეექსპორტი | 108.9 | 185.5 | 70 | 77 |

საგარეო სავაჭრო ბრუნვის დინამიკა 2008-2018 წლებში

ცხრილი 2.2.

[11] http://www.economy.ge/uploads/files/2017/foreign_trade/2018_trade_turnover_2018_12.pdf, საქართველოს საგარეო ვაჭრობა 2018 წელი;

| წლები | 2008 | 2009 | 2010 | 2011 | 2012 | 2013 | 2014 | 2015 | 2016 | 2017 | 2018 იანვარი-მარტი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ბრუნვა | 7797 | 5609 | 6913 | 9259 | 10433 | 10933 | 11463 | 9505 | 9408 | 10709 | 2823.8 |
| ზრდის ტემპი (%) | 21 | -28% | 23% | 34% | 13% | 5% | 5% | -17% | -1% | 14% | 23.3% |
| ექსპორტი | 1495 | 1134 | 1677 | 2186 | 2377 | 2910 | 2861 | 2205 | 2113 | 2728 | 740,3 |
| ზრდის ტემპი (%) | 21% | -24% | 48% | 30% | 9% | 22% | -2% | -23% | -4% | 29% | 28,4% |
| იმპორტი | 6302 | 4475 | 5236 | 7072 | 8026 | 8023 | 8602 | 7300 | 7295 | 7981 | 2083.4 |
| ზრდის ტემპი (%) | 21% | -29% | 17% | 34% | 14% | -0.2% | 7% | -19% | -0,1% | 8,8% | 21,6% |
| სალდო | -4809 | -3341 | -3559 | -4886 | -5679 | -5113 | -5741 | -5095 | -5182 | -5253 | -1343,1 |

რეგიონალური ვაჭრობა საქართველო-ევრო კავშირი სავაჭრო ბრუნვა გაიზარდა 27,6%-ით, 820,1 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა და საქართველოს სავაჭრო ბრუნვის 29,0% დაიკავა (2017/3-28,1%).

- ექსპორტი - 209,4 მლნ. აშშ დოლარი, 31,4%-ით მეტი და საქართველოს ექსპორტის 28., % (2017/3- 27.7%)

- იმპორტი 610,7 მლნ. აშშ დოლარი, 26.4%-ით მეტი და საქართველოს იმპორტის 29,3% (2017/3-28,2%)

ევრო კავშირში სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ექსპორტი 37%-ით (11,5 მლნ. აშშ დოლარით) გაიზარდა და 42,4 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო სამრეწველო პროდუქციის ექსპორტი გაიზარდა 30%-ით (38,5 მლნ. აშშ დოლარით მეტი) და 167,0 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა.

ექსპორტი გაიზარდა შემდეგი სასაქონლო პოზიციების ხარჯზე სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია: სპირტიანი სასმელები - ექსპორტი 12,0 მლნ. აშშ დოლარი (112% და 6,3 მლნ. აშშ დოლარით მეტი).

- ძირითადი საექსპორტო ბაზრები: საფრანგეთი (48%), ნიდერლანდები (15%), ესპანეთი (27%);

- ექსპორტი გაიზარდა ქვეყნებში: საფრანგეთი (128%) და ესპანეთი (4-ჯერ).
- ექსპორტი შემცირდა ნიდერლანდებში 1%-ით.

**ღვინო - ექსპორტი 5.0 მლნ. აშშ დოლარი (62%-ით და 1.9 მლნ. აშშ დოლარით მეტი).**

- ძირითადი საექსპორტო ბაზრები: პოლონეთი (37%), ლატვია (22%), გერმანია (10%), ესტონეთი (7%), ლიტვა (6%)

- ექსპორტი გაიზარდა ქვეყნებში: პოლონეთი (52%), ლატვია (65%), ესტონეთი (71%)

- ექსპორტი შემცირდა ნიდერლანდებში (22%).

**თხილი და კაკალი - ექსპორტი 13.0 მლნ. აშშდოლარი (15%-ითდა 1.6 მლნ. აშშ დოლარით მეტი).**

- ძირითადი საექსპორტო ბაზრები: იტალია (38%), გერმანია (14%), ესპანეთში (7%), ლიტვა (9%), საფრანგეთი (7%);

- ექსპორტი გაიზარდა ქვეყნებში: საფრანგეთში (4-ჯერ), სლოვაკეთში (2-ჯერ), ლიტვაში (62%);

- ექსპორტი შემცირდა ქვეყნებში: გერმანიაში (8%), იტალიაში (5%);

**მინერალური წყალი - ექსპორტი 4,2 მლნ. აშშ დოლარი (21%-ითდა 0,7 მლნ. აშშ დოლარით მეტი).**

- ძირითადი ექსპორტი განხორციელდა ლიტვაში (97%).

**ხილ-ბოსტნეულის კონსერვები - ექსპორტი 2,1 მლნ. აშშ დოლარი (37%-ითდა 0,5 მლნ. აშშ დოლარით მეტი).**

- ძირითადი საექსპორტო ბაზრები: იტალია (33%), გერმანია (29%), ავსტრიაში (22%);

- ექსპორტი გაიზარდა ქვეყნებში: იტალიაში (111%), გერმანიაში (38%)

- ექსპორტი შემცირდა სლოვაკეთში (60%) სამრეწველო პროდუქცია: სპილენძის მადნები და კონცენტრატები - ექსპორტი 85.6 მლნ. აშშ დოლარი (56%-ითდა 30.8 მლნ. აშშ დოლარით მეტი).

- ძირითადი საექსპორტო ბაზრები: ბულგარეთი (71%), რუმინეთი (29%);

- ექსპორტი გაიზარდა ქვეყნებში: რუმინეთი (201%), ბულგარეთი (99%).

- ექსპორტი არ განხორციელებულა ესპანეთში (წინა წლის ანალოგიურ პერიოდში გავიდა 16 მლნ. აშშ დოლარის) ნავთობი და ნავთობპროდუქტები - ექსპორტი 22.8 მლნ. აშშ დოლარი (წინა წლის ანალოგიურ პერიოდში ექსპორტი განხორციელდა უმნიშვნელო რაოდენობით).

**ძირითადი საექსპორტო ბაზრები:** მალტა (55%), საფრანგეთი (43%), ნიდერლანდები (2%);

**აზოტოვანი სასუქები** - ექსპორტი 19.4 მლნ. აშშდოლარი (13%-ითდა 2,2 მლნ. აშშ დოლარით მეტი).

**ძირითადი საექსპორტო ბაზრები:** ლიტვა (64%), იტალია (12%), რუმინეთი (9%), ბულგარეთი (8%);

- ექსპორტი გაიზარდა ლიტვაში (5-ჯერ), იტალიაში (84%) ხოლო პოლონეთში, საფრანგეთსა და საბერძნეთში ექსპორტი არ განხორციელებულა (სულ 4,8 მლნ. აშშ დოლარი).

**რეზინის პნევმატური სალტეები და საბურავები - ექსპორტი 6,1 მლნ. აშშ დოლარი (25%-ით და 1,2 მლნ. აშშ დოლარით მეტი).**

- ძირითადი საექსპორტო ბაზრებია: ნიდერლანდები (60%), ბელგია (26%), გერმანია (13%);

- ექსპორტი გაიზარდა ბელგიაში (5-ჯერ), გერმანიაში (4-ჯერ) სამკურნალო საშუალებები - ექსპორტი 1.3 მლნ. აშშ დოლარი (130%-ით და 0.7 მლნ. აშშ დოლარით მეტი).

- ძირითადი საექსპორტო ბაზრებია: ლიტვა (55%), ლატვია (22%), გერმანია (9%);
- ექსპორტი გაიზარდა ლიტვაში (3-ჯერ)
- ექსპორტი შემცირდა ლატვიაში 22%-ით.

- ექსპორტი შემცირდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე: ხილისწვენები - ექსპორტი 0.7 მლნ. აშშ დოლარი (17%-ითდა 0.1 მლნ. აშშ დოლარით ნაკლები).

**ძირითადი საექსპორტო ბაზრები:** გერმანია (63%), ნიდერლანდები (22%);

- ექსპორტი შემცირდა ქვეყნებში: გერმანიაში (12%), საბერძნეთში (53%); ხილის ჯემები - ექსპორტი 1.4 მლნ. აშშ დოლარი (13%-ითდა 0.2 მლნ. აშშ დოლარით ნაკლები).

- ექსპორტის სრული მოცულობა განხორციელდა ავსტრიაში.

**პარკოსანი ბოსტნეულის ფქვილი - ექსპორტი 0.7 მლნ. აშშ დოლარი (33%-ითდა 0.4 მლნ. აშშ დოლარით ნაკლები).**

**ძირითადი საექსპორტო ბაზრები:** გერმანია (73%), საფრანგეთი (13%);

- ექსპორტი შემცირდა: გერმანია (26%), საფრანგეთი (67%);

**სამრეწველო პროდუქცია: ფეროშენადნობები - ექსპორტი 2.6 მლნ. აშშ დოლარი (66%-ითდა 5.0 მლნ. აშშ დოლარით ნაკლები).**

**ძირითადი საექსპორტო ბაზრები**: ესპანეთი (75%), საფრანგეთი (16%).

- ექსპორტი შემცირდა: საბერძნეთი, ლუქსემბურგი, იტალია, ბულგარეთი, ნიდერლანდები და გაერთიანებული სამეფო (ექსპორტი მიმდინარე წელს არ

განხორციელებულა, შარშან ამ ქვეყნებში გავიდა სულ 4.8 მლნ. აშშ დოლარის); ნედლი ნავთობი - 2018 წლის პირველ კვარტალში ამ პოზიციის ექსპორტი არ განხორციელებულა (წინა წლის ანალოგიურ პერიოდში გავიდა 16.0 მლნ. აშშ დოლარის ბულგარეთში, ესპანეთსა და რუმინეთში).

**ხის ნაწარმი (ცხოველების ავეჯი) - ექსპორტი 2,0 მლნ. აშშ დოლარი (12%-ითდა 0., მლნ. აშშ დოლარით ნაკლები).**

**ძირითადი საექსპორტო ბაზრები:** გერმანია (31%), პოლონეთი (29%), ბელგია (22%), ნიდერლანდები (12%);

- ექსპორტი შემცირდა ქვეყნებში: ბელგიაში (30%), გერმანიაში (31%), ნიდერლანდებში (35%) იმპორტი ევრო კავშირიდან სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის იმპორტმა 2018 წლის იანვარ-მარტში 72.7 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 40%-ით და 20.8 მლნ. აშშ დოლარით მეტია, ხოლო სამრეწველო პროდუქციის იმპორტმა შეადგინა 538.0 მლნ. აშშ დოლარი, 25%-ითდა 106,6 მლნ. აშშ დოლარით მეტი.

**იმპორტი** გაიზარდა შემდეგი სასაქონლო პოზიციების ხარჯზე: სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია შაქარი - იმპორტი 9.2 მლნ. აშშ დოლარი (9-ჯერდა 8.2 მლნ. აშშ დოლარით მეტი).

- ძირითადი იმპორტი განხორციელდა ქვეყნებიდან: პოლონეთი (57%), გერმანია (23%), საფრანგეთი (8%), ნიდერლანდები (6%).

**ეთილის სპირტი - იმპორტი 3,1 მლნ. აშშ დოლარი (132%-ითდა 1,8 მლნ. აშშ დოლარით მეტი).**

- ძირითადი იმპორტი განხორციელდა ქვეყნებიდან: გაერთანებული სამეფო (55%), საფრანგეთი (32%).

**ფრინველის ხორცი - იმპორტი 4.6 მლნ. აშშ დოლარი (26%-ით და 0.9 მლნ. აშშ დოლარით მეტი).**

- ძირითადი იმპორტი განხორციელდა ქვეყნებიდან: ბელგია (35%), ნიდერლანდები (27%), საფრანგეთი (14%).

**ცოცხალი მცენარეები - იმპორტი 2.9 მლნ. აშშ დოლარი (27%-ით და 0.6 მლნ. აშშ დოლარით მეტი).**

- ძირითადი იმპორტი განხორციელდა ქვეყნებიდან: იტალია (55%), ესპანეთი (28%).

**ცხოველის საკვები - იმპორტი 3,2 მლნ. აშშ დოლარი (10%-ითდა 0,3 მლნ. აშშ დოლარით მეტი).**

- ძირითადი იმპორტი განხორციელდა ქვეყნებიდან: ესპანეთიდან (22%), იტალიიდან (18%), ბელგიიდან (14%).

**სამრეწველო პროდუქცია მსუბუქი ავტომობილები - იმპორტი 37.7 მლნ. აშშ დოლარი (46%-ით და 11.8 მლნ. აშშ დოლარით მეტი).**

- ძირითადი იმპორტი განხორციელდა ქვეყნებიდან: ბელგია (62%), გერმანია (22%), ბულგარეთი (6%).

**ნავთობი და ნავთობპროდუქტები - იმპორტი 63,7 მლნ. აშშ დოლარი (9%-ითდა 5,2 მლნ. აშშ დოლარით მეტი).**

- ძირითადი იმპორტი განხორციელდა ქვეყნებიდან: რუმინეთი (58%), საბერძნეთი (18%), ბულგარეთი (18%).

**სატელეფონო აპარატები - იმპორტი 9,7 მლნ. აშშ დოლარი (44%-ით და 3,0 მლნ. აშშ დოლარით მეტი).**

- ძირითადი იმპორტი განხორციელდა ქვეყნებიდან: ჩეხეთი (64%), ლიტვა (11%), ნიდერლანდები (10%).

- ძირითადი იმპორტი განხორციელდაქვეყნებიდან: გერმანია (22%), ბელგია (62%), ბულგარეთი (6%)

**სატვირთო ავტომობილები - იმპორტი 10.4 მლნ. აშშ დოლარი (30%-ითდა 2,3 მლნ. აშშ დოლარით მეტი).**

- ძირითადი იმპორტი განხორციელდა: გერმანია (44%), ნიდერლანდები (15%).

**იმპორტის კლება დაფიქსირდა სამკურნალო საშუალებები - იმპორტი 39,1 მლნ. აშშ დოლარი (40%-ითდა 26,2 მლნ. აშშ დოლარით ნაკლები).**

- ძირითადი იმპორტი განხორციელდა ქვეყნებიდან: გერმანია (18%), უნგრეთი (14%), პოლონეთი (7%), საფრანგეთი (15%).

**სპირტიანი ალკოჰოლური სასმელები - იმპორტი 3,2 მლნ. აშშ დოლარი (25%-ითდა 1,1 მლნ. აშშ დოლარით ნაკლები).**

- ძირითადი იმპორტი განხორციელდა ქვეყნებიდან: ლატვია (27%), ნიდერლანდები (16%), საფრანგეთი (25%) [11].

**საქართველოს საგარეო ვაჭრობა 2019 წლის იანვარი-მარტი (წინასწარი)**

2019 წლის იანვარ-მარტში საქართველოში საქონლით საგარეო სავაჭრო ბრუნვამ (არადეკლარირებული ვაჭრობის გარეშე) 2 807.3 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამის მაჩვენებელზე 0.1 პროცენტით ნაკლებია. აქედან ექსპორტი 826.0 მლნ. აშშ დოლარს შეადგენს (12.8 პროცენტით მეტი), ხოლო იმპორტი 1 981.3 მლნ. აშშ დოლარს (4.7 პროცენტით ნაკლები). საქართველოს უარყოფითმა სავაჭრო ბალანსმა, 2019 წლის იანვარ-მარტში, 1 155.3 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც საგარეო სავაჭრო ბრუნვის 41.2 პროცენტია. ამავე პერიოდში ექსპორტი რეექსპორტის გარეშე, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 4.5 პროცენტით გაიზარდა და 553.1 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა. საქართველოს საგარეო ვაჭრობაში ჩამოყალიბებულ ზოგად ტენდენციებს ასახავს გრაფიკული გამოსახულება, 2014-2019 წლების დინამიკური მწკრივის მიხედვით.




ნახ. 2.1. საგარეო ვაჭრობის ზოგადი მაჩვენებლები 2014-2019 წწ. იანვარ-მარტში (მლნ. აშშ დოლარი)




ნახ. 2.2. 2014-2019 წწ. იანვარ-მარტის საგარეო ვაჭრობის მაჩვენებლების წილი ბრუნვაში (%)

ქვემოთ მოცემული ცხრილი აჩვენებს 2017-2019 წლებში ექსპორტ-იმპორტის ყოველთვიურ დინამიკას აბსოლუტურ მაჩვენებლებში, ასევე მათ პროცენტულ ცვლილებას წინა წლების შესაბამის თვესთან შედარებით [12][12]

**საქართველოს ექსპორტი და იმპორტი**

ცხრილი 2.3.

| | | ექსპორტი | | იმპორტი | |
|---|---|---|---|---|---|
| | | ათასი აშშ. დოლარი | ცვლილება (%) | ათასი აშშ. დოლარი | ცვლილება (%) |
| 2017 | იანვარი | 176 873.6 | 44.8 | 495 089.3 | 20.2 |
| | თებერვალი | 179 869.4 | 13.6 | 589 395.5 | 12.4 |
| | მარტი | 221 168.1 | 36.5 | 617 466.7 | 11.8 |
| | აპრილი | 211 582.2 | 27.7 | 594 283.4 | 6.7 |
| | მაისი | 215 311.5 | 25.0 | 637 096.5 | 4.4 |
| | ივნისი | 235 601.9 | 40.2 | 644 049.4 | 0.3 |
| | ივლისი | 212 640.9 | 22.5 | 642 115.9 | 7.0 |

[12] www.geostat.ge/ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. 19.04.2019 წელი;

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | აგვისტო | 236 310.0 | 25.7 | 703 617.7 | 1.7 |
| | სექტემბერი | 257 603.2 | 27.3 | 688 268.7 | 6.1 |
| | ოქტომბერი | 263 336.1 | 38.5 | 731 206.9 | 10.4 |
| | ნოემბერი | 236 877.5 | 8.2 | 761 266.9 | 17.5 |
| | დეკემბერი | 288 312.0 | 50.7 | 838 804.4 | 12.6 |
| 2018 | იანვარი | 222 639.9 | 25.9 | 594 542.6 | 20.1 |
| | თებერვალი | 223 647.0 | 24.3 | 638 927.6 | 8.4 |
| | მარტი | 285 803.4 | 29.3 | 844 741.2 | 36.8 |
| | აპრილი | 229 142.3 | 8.3 | 734 898.2 | 23.7 |
| | მაისი | 322 904.7 | 50.0 | 810 847.0 | 27.3 |
| | ივნისი | 307 811.0 | 30.6 | 779 279.0 | 21.0 |
| | ივლისი | 278 313.3 | 30.9 | 796 809.8 | 24.1 |
| | აგვისტო | 275 365.9 | 16.5 | 772 788.2 | 9.8 |
| | სექტემბერი | 301 139.4 | 16.9 | 720 039.0 | 4.6 |
| | ოქტომბერი | 302 961.4 | 15.0 | 866 133.8 | 18.5 |
| | ნოემბერი | 276 187.0 | 16.6 | 742 698.3 | -2.4 |
| | დეკემბერი | 328 582.5 | 14.0 | 820 897.7 | -2.1 |
| 2019 | იანვარი | 238 767.5 | 7.2 | 593 179.9 | -0.2 |
| | თებერვალი | 266 261.5 | 19.1 | 647 676.8 | 1.4 |
| | მარტი | 320 977.2 | 12.3 | 740 437.6 | -12.3 |



ნახ. 2.3. ექსპორტისა და იმპორტის დინამიკა 2017-2019 წლებში თვეების მიხედვით (მლნ. აშშ დოლარი)

# 3.საქართველოს საგარეო ვაჭრობის განვითარების ტენდენციები და პერსპექტივები

## 3.1. საქართველოს საგარეო ვაჭრობის დინამიკა

2013 წელი საქართველოს ეკონომიკამ დაასრულა ბოლო პერიოდში მიმდინარე ანგარიშის საუკეთესო მაჩვენებლით. სამწუხაროდ, იგი არ იყო გამყარებული ეკონომიკის ზრდის ტემპის მონაცემებით (2010 წელი - 6.2%, 2011 – 7.2%, 2012 – 6.4%, 2013 წელი - 3.4%, 2014 – 4.6%, 2015 – 2.9%, 2016 წელი - 2.8%, 2017, – 5.0% [17].

ცხრილში 3.1. მოყვანილი რამდენიმე საკვანძო ეკონომიკური მაჩვენებელი ასახავს ეკონომიკის გაჯანსაღების ტენდენციას. მაგალითად, 2013 წელს მიმდინარე ანგარიშის დეფიციტმა შეადგინა რეკორდულად დაბალი უარყოფითი მაჩვენებელი - $938,408 მლნ., ხოლო ექსპორტმა მიაღწია რეკორდულ $4,025,840 მლნ.-ს (ეროვნული ბანკის მონაცემებით). 2017 წელი, მიმდინარე ანგარიშის მაჩვენებლის მიხედვით, ჩამორჩება მხოლოდ 2013 წელს. მნიშვნელოვნად შემცირდა მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებითაც (2015 – 12,0 %, 2016 – 12,8 %, 2017 – 8,67 %). წინა წელთან შედარებით, მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი შემცირდა $524 მლნ.-ით. იზრდება ექსპორტი, უმნიშვნელოდ, მაგრამ მცირდება სავაჭრო დეფიციტი (2017 წელს სავაჭრო დეფიციტმა შეადგინა სავაჭრო ბრუნვის 48,7%, ხოლო 2018 წლის 8 თვის მონაცემებით - 47%) .

ცხრილი 3.1.

| | 2011 | 2012 | 2013 | 2014 | 2015 | 2016 | 2017 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| მიმდინარე ანგარიში (მ/ა) | -1,843,527 | -1,857,390 | -938,408 | -1,769,428 | -1,680,121 | -1,840,225 | -1,316,112.3 |
| ზოგადი ვაჭრობა<br>ექსპორტი<br>იმპორტი | -3,684,631<br>3,018,478<br>6,703,110 | -4,401,334<br>3,267,706<br>7,699,040 | -3,653,008<br>4,025,840<br>7,768,849 | -4,383,738<br>3,877,027<br>8,260,765 | -4,054,124<br>2,911,736<br>6,965,861 | -3,997,486<br>2,745,888<br>6,743,375 | -3,970,241.9<br>3,440,852.0<br>7,411,093.9 |
| მომსახურება<br>კრედიტი<br>დებეტი | 747,465<br>2,008,157<br>-1,260,692 | 1,100,853<br>2,543,662<br>-1,442,809 | 1,405,471<br>2,964,032<br>-1,558,561 | 1,288,673<br>3,018,789<br>-1,730,116 | 1,457,781<br>3,133,142<br>-1,675,360 | 1,620,051<br>3,351,081<br>-1,731,029 | 2,069,259.8<br>4,026,012.3<br>-1,956,752.5 |
| ტრანსპორტი<br>კრედიტი<br>დებეტი | 105,169<br>796,756<br>-691,586 | 45,855<br>849,634<br>-803,778 | 72,693<br>960,808<br>-888,155 | 31,649<br>967,400<br>-935,751 | -7,492<br>948,323<br>-955,815 | -40,289<br>915,454<br>-955,743 | -120,617.6<br>955,583.2<br>-1,076,200.8 |
| ტურიზმი<br>კრედიტი<br>დებეტი | 741,480<br>954,908<br>-213,428 | 1,154,502<br>1,410,901<br>-256,399 | 1,425,635<br>1,719,699<br>-294,064 | 1,487,978<br>1,787,140<br>-299,161 | 1,606,343<br>1,935,915<br>-329,571 | 1,780,042<br>2,166,334<br>-386,291 | 2,287,692.9<br>2,751,279.6<br>-463,586.7 |
| მიმდინარე ტრანსფერები<br>კრედიტი<br>დებეტი | 1,328,672<br>1,458,537<br>-129,864 | 1,407,591<br>1,515,851<br>-108,260 | 1,465,636<br>1,584,594<br>-118,957 | 1,433,885<br>1,569,363<br>-135,478 | 1,119,553<br>1,221,699<br>-102,146 | 1,122,219<br>1,234,166<br>-111,946 | 1,271,494.2<br>1,395,749.2<br>-124,255.1 |
| პირდაპირი ინვესტიციები ($ მლნ.) | 1130 | 1022 | 1020 | 1818 | 1652 | 1602 | 1861 |
| მთლიანი შიდა პროდუქტი ($ მლნ.) | 14,438,000 | 15,846,000 | 16,139,000 | 16,507,000 | 13,988,000 | 14,377,000 | 15,164,500 |
| მ/ა დეფიციტი მშპ-სთან (%) | 12,76 | 11,72 | 5,8 | 10,7 | 12,0 | 12,8 | 8,67 |

დინამიკურ ზრდას განაგრძობს ტურიზმის სექტორი. მიმდინარე ტენდენციები ამყარებენ იმედს, რომ წელს ტურიზმის შემოსავალი გადააჭარბებს $3 მილიარდს. ეს, საზღვარგარეთიდან თანამემამულეთა გადმორიცხვებსა და პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებთან ერთად, უზრუნველყოფს მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის შემცირებას. ისიც გასათვალისწინებელია, რომ ჩვენი მოქალაქეების მიერ ნაღდი ვალუტით სამშობლოში გამოგზავნილი თანხა დაახლოებით უტოლდება ოფიციალური არხებით გადმორიცხულ ტრანსფერებს. წესით, ეს თანხა უნდა ფარავდეს წლიური მიმდინარე ანგარიშის ($ 1 316 მილიონი) დეფიციტის დიდ ნაწილს. ტრანსპორტის სექტორის საქმიანობა ყოველთვის დადებითი ბალანსით აისახებოდა მიმდინარე ანგარიშში. სამწუხაროდ, აქ 2015 წლიდან იკვეთება მზარდი დეფიციტი, რაც ცალკე სერიოზულ ანალიზს საჭიროებს .

ბოლო ორი წელიწადია საქართველოს საგარეო ვაჭრობაში შეინიშნება დადებითი ტენდენციები, რაც კარგად ჩანს ქვემოთ მოყვანილ ცხრილში 3.2.

ცხრილი 3.2.

| | 2015 | 2016 | 2017 | 2018 (8 თვე) |
|---|---|---|---|---|
| ექსპორტი, სულ | 2205 | 2113 | 2736 | 2146 |
| ექსპორტი, ევროკავშირი | 645 | 565 | 655 | 456 |
| ექსპორტი, ევრაზიული კავშირი | 417 | 424 | 697 | 541 |
| ექსპორტი, თურქეთი | 187 | 173 | 217 | 182 |
| იმპორტი, სულ | 7300 | 7294 | 7939 | 5954 |
| იმპორტი, ევროკავშირი | 2081 | 2215 | 2200 | 1751 |
| იმპორტი, ევრაზიული კავშირი | 845 | 975 | 1 176 | 909 |
| იმპორტი, თურქეთი | 1 327 | 1 354 | 1 374 | 939 |
| ბრუნვა, სულ | 9505 | 9407 | 10 675 | 8 101 |
| ბრუნვა, ევროკავშირი | 2 726 | 2 780 | 2 855 | 2 207 |
| ბრუნვა, ევრაზიული კავშირი | 1 262 | 1 399 | 1 875 | 1 450 |
| ბრუნვა, თურქეთი | 1 514 | 1 527 | 1 591 | 1 121 |

ევროკავშირი მყარად იკავებს საქართველოს პირველი სავაჭრო პარტნიორის ადგილს. 2017 წელს საგრძნობლად გაიზარდა საქონელ-ბრუნვა რუსეთთან და, როგორც შედეგი, ევროკავშირთან და ევრაზიულ კავშირთან სავაჭრო ბრუნვის მაჩვენებლებს შორის განსხვავება შემცირდა. მაგრამ 2017 წელს ამ სხვაობამ მაინც შეადგინა თითქმის $ 1 მილიარდი. სავარაუდოდ, იგივე ციფრთან გვექნება საქმე მიმდინარე წელსაც.

საქართველოს მთავარ მაკროეკონომიკურ გამოწვევად რჩება მნიშვნელოვანი სავაჭრო დეფიციტი, რომელიც, როგორც აღინიშნა, მიმდინარე წელს შეადგენს საგარეო ვაჭრობის ბრუნვის 47%-ს (2017 – 48,7%, 2016 – 55%, 2015 – 53,6%).

ექსპორტი იზრდება ტრადიციული სავაჭრო პოზიციების ხარჯზე (სპილენძი, ფეროშენადნობები, მსუბუქი ავტომობილების რეექსპორტი, აზოტის სასუქები, ღვინო, სპირტიანი სასმელები, მინერალური წყალი).

ექსპერტების შეფასებით, ტურიზმის სექტორში გენერირებული მილიარდებიდან საზღვარგარეთ გაედინება ამ თანხის დიდ ნაწილი. როგორც ლადო პაპავა აღნიშნავს: „თითოეული ტურისტის მიერ დახარჯული თანხის საშუალოდ 80% ქვეყნიდან ამ ტურისტის მოხმარებისათვის საჭირო პროდუქციის იმპორტისათვის

გაედინება“ თუ ეს ნამდვილად ასეა (აქ დავა შეიძლება მხოლოდ ათიოდე პროცენტზე), შარშან ამ თანხამ შეადგინა დაახლოებით $ 1,9 -2,2 მილიარდი (მთელი იმპორტის 24-28 %), ხოლო წელს იმერყევებს $ 2,1-2,4 მილიარდის ფარგლებში (მთელი იმპორტის 23- 26 %) [18]. ტურისტული ნაკადის ზრდა ნიშნავს ეროვნული ბაზრის სივრცის გაფართოებას, და აქ ქართულ კომპანიებს დამატებითი შესაძლებლობები ეძლევათ. რიგ სექტორებში ბაზრის ახალ სივრცეს ჩვენი მეწარმეები თითქმის მთლიანად ფარავენ, მაგ., ღვინო, სპირტიანი სასმელები, ლუდი, წყალი - მტკნარი და მინერალური, სუვენირები, კვების პროდუქტების გარკვეული კატეგორიები. მაგრამ ახალი შესაძლებლობების დიდი ნაწილი აუთვისებელი რჩება - ავეჯი ახალი სასტუმროებისათვის, ტექნიკა, იგივე კვების პროდუქტები, განსაკუთრებით წვრილად დაფასოებული და ა.შ. აგრეთვე შესამჩნევია, რომ ტურისტების მომსახურების სექტორში ძალიან აქტიურობენ უცხოელების მიერ დაფუძნებული კომპანიები.

სამ მთავარ სავაჭრო პარტნიორთან - თურქეთთან, რუსეთთან, ჩინეთთან - კრებსითმა სავაჭრო დეფიციტმა 2018 წლის 8 თვეში $1 511 მილიონი შეადგინა. საინტერესოა, რომ იგივე სამი ქვეყნიდან წვრილი სავაჭრო პოზიციების იმპორტმა ($12-20 მილიონის ღირებულებაზე ნაკლები) შეადგინა $1 593 მილიონი. ეს ციფრი ზემოთ მოყვანილი $2,1-2,4 მილიარდის ნაწილია და, რა თქმა უნდა, მიუთითებს იმპორტის ჩანაცვლების კარგ შესაძლებლობებზე, რაც თავისთავად გააჯანსაღებს სავაჭრო ბალანს. თანაც ეს პოტენციალი, ამ სავაჭრო ჯგუფის სპეციფიკიდან გამომდინარე, შესაძლოა აითვისოს აგრეთვე მცირე და საშუალო ბიზნესმა. იმპორტის ჩანაცვლების აქტიური პოლიტიკის განხორციელების შემთხვევაში, შესაძლებელია ქვეყნის მიმდინარე ანგარიშის სრული დაბალანსება.

სავაჭრო ბალანსის გაუმჯობესების კიდევ ერთი რეზერვია ელექტროენერგიის ექსპორტი, მაგრამ ეს ცალკე განხილვის თემას წარმოადგენს .

## 3.2. საქართველო - ევროკავშირის სავაჭრო ურთიერთობები

ევროპის კავშირი (ინგლ. European Union, ფრანგ. Union européenne), შემოკლებით ევროკავშირი - ევროპის სახელმწიფოთა ეკონომიკურ-პოლიტიკური გაერთიანე-

ბა, 1993 წლამდე ევროპული თანამეგობრობა (ინგლ. European Community, ფრანგ. Communauté européenne) ერქვა. ორგანიზაციის წევრია ევროპის 28 სახელმწიფო, რომელთა საერთო ფართობი 4 324 782 კმ² - ია, მოსახლეობა - 508 191 116 კაცი. ევროკავშირში მოქმედებს ერთიანი შიდა ბაზარი, რომელსაც წევრი სახელმწიფოების კანონთა სისტემა არეგულირებს. ევროკავშირის ძირითადი პოლიტიკის მიზანია ადამიანების, საქონლის, სერვისებისა და კაპიტალის თავისუფალი გადაადგილების უზრუნველყოფა ერთიან, შიგა ბაზარზე [13][13].

ევროკავშირი XXI საუკუნეში მსოფლიოში ყველაზე განვითარებული ინტეგრაციული რეგიონია თავისი სავაჭრო-ეკონომიკური და პოლიტიკური პოტენციალით. აქედან გამომდინარე, საქართველოს საგარეო ვაჭრობის განვითარებისათვის ერთ-ერთი ძირითადი პრიორიტეტი ევროკავშირში ინტეგრაციაა. საქართველოს ეროვნული და სავაჭრო-ეკონომიკური ინტერესები ქვეყანას ევროპული ინტეგრაციისკენ უბიძგებს. საერთაშორისო ბიზნესის გლობალიზაციის პირობებში სტრატეგიული თვალსაზრისით საქართველოსათვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს ევროკავშირთან სავაჭრო-ეკონომიკური და საფინანსო-ტექნიკური ურთიერთობების შემდგომ გაღრმავებას, უცხოური ინვესტიციების მოზიდვას, რაც ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების, ექსპორტის გაზრდისა და ქვეყნის ეკონომიკის გაძლიერების და მსოფლიო ეკონომიკაში ინტეგრირების ერთ-ერთი მთავარი პირობაა.

საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობები საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვებიდან, 1992 წლიდანვე იწყება. ევროკავშირსა და საქართველოს შორის თანამშრომლობა წლების განმავლობაში სულ უფრო მეტად იზრდებოდა. ორმხრივი ურთიერთობები უფრო ინტენსიური 2003 წლიდან ხდება, როცა საქართველო აქტიურად იწყებს პოლიტიკური და ეკონომიკური რეფორმების გატარებას. ამ ურთიერთობებში სრულიად ახალი ეტაპი კი 2014 წლის 27 ივნისიდან იწყება, როდესაც ასოცირების შესახებ შეთანხმებას მოეწერა ხელი. საქართველო აქტიურად

[13] https://ka.wikipedia.org/wikicite_note-Europa_Internal_Market-1. ევროპის კავშირი;

აგრძელებს ევროკავშირთან ინტეგრაციის პროცესს და ამ პროცესის შესაბამისად სახელმწიფოებრივ განვითარებას.

საქართველო - ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმებას ოფიციალურად ეწოდება ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთი მხრივ ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებსა და მეორე მხრივ, საქართველოს შორის. **შეთანხმება ადგენს იმ კონკრეტულ სფეროებს, რომლებშიც საქართველომ ევროკავშირის ხელშეწყობით უნდა გაატაროს კონკრეტული რეფორმები. ამ რეფორმებში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირანს ვაჭრობის სფეროს.**

საქართველოს საგარეო პოლიტიკის ერთ - ერთ მთავარ ამოცანას ევროპის ქვეყნებთან მჭიდრო, ურთიერთსასარგებლო პარტნიორული თანამშრომლობის ჩამოყალიბება/გაღრმავება წარმოადგენს, რომელსაც ქვეყნისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. ყურადღება დაეთმობა ევროპის ქვეყნებთან ორმხრივი პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული, ჰუმანიტარული და სოციალური ურთიერთობების კიდევ უფრო გაღრმავებას. გარდა ამისა, ევროპის ქვეყნებთან პარტნიორული თანამაშრომლობის გაძლიერებას მნიშვნელობა ენიჭება საქართველოს ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის პროცესის მხარდაჭერის, საქართველოს დემოკრატიული და ეკონომიკური განვითარების შეუქცევადობის, ასევე მშვიდობიანი გზით ქვეყნის დეოკუპაციის უზრუნველყოფისა და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის თვალსაზრისით [14][14].

(DCFTA) <u>ასოცირების შესახებ შეთანხმების</u> უმნიშვნელოვანესი ნაწილია IV კარი - ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები, რომელიც ითვალისწინებს საქართველოსა და ევროკავშირს შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის (Deep and Comprehensive Free Trade Area – DCFTA) ჩამოყალიბებას. ასოცირების შესახებ შეთანხმებაში ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხების განხორციელება ქმნის ევროკავშირის შიდა ბაზარზე საქართველოს ეტაპობრივი ეკონომიკური ინტეგრაციის რეალურ მექანიზმს, რადგან სწორედ ის მოიცავს

[14] http://infocenter.gov.ge/euinfo-free-trade/#1 საქართველო და ევროკავშირი, თავისუფალი ვაჭრობა;

ევროკავშირთან ეკონომიკური ინტეგრაციის მექანიზმს და საქართველოსთვის ხსნის ევროკავშირის შიდა ბაზარს.

საქართველოს მიერ გაფორმებული სხვა თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებებისაგან განსხვავებით, DCFTA გულისხხმობს როგორც საქონლით, ისე მომსახურებით ვაჭრობის ლიბერალიზაციას. გარდა ამისა, DCFTA მოიცავს ვაჭრობასთან დაკავშირებულ საკითხთა ფართო სპექტრს (მაგ.: სურსათის უვნებლობა, კონკურენციის პოლიტიკა, ინტელექტუალური საკუთრების დაცვა, ფინანსური მომსახურება და სხვა) და ითვალისწინებს ვაჭრობასთან დაკავშირებული საქართველოს კანონმდებლობის ეტაპობრივ დაახლოებას ევროკავშირის კანონმდებლობასთან.

DCFTA საქართველოს აძლევს საშუალებას ეტაპობრივად მიიღოს ევროკავშირის შიდა ბაზრის ოთხი თავისუფლებიდან სამი: საქონლის, მომსახურების და კაპიტალის თავისუფალი გადაადგილება. მეოთხე თავისუფლებას - ადამიანების თავისუფალ გადაადგილებას ხელს უწყობს <u>საავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის</u> პროცესი.

**DCFTA მოიცავს შემდეგ თავებს:**

1. საქონლით ვაჭრობა
2. ვაჭრობაში დაცვითი ზომები
3. ტექნიკური ბარიერები ვაჭრობაში, სტანდარტიზაცია, მეტროლოგია, აკრედიტაცია და შესაბამისობის შეფასება
4. სანიტარული და ფიტოსანიტარული ზომები
5. საბაჟოსა და ვაჭრობის ხელშეწყობა
6. დაფუძნება, მომსახურებით ვაჭრობა და ელექტრონული კომერცია
7. მიმდინარე გადახდები და კაპიტალის მოძრაობა
8. საჯარო შესყიდვები
9. ინტელექტუალური საკუთრების უფლებები
10. კონკურენცია
11. ვაჭრობასთან დაკავშირებული დებულებები ენერგეტიკის სფეროში
12. გამჭვირვალობა
13. ვაჭრობა და მდგრადი განვითარება
14. დავების მოგვარება

15. დაახლოების ზოგადი დებულებები

DCFTA-ის ამოქმედებით, საქართველოში წარმოებულ საქონელსა და მომსახურებას, გარკვეული პირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში, გაეხსნება მსოფლიოს უმსხვილესი ბაზარი, რომელიც ამ ეტაპზე აერთიანებს 28 ქვეყანას და 500 მილიონზე მეტ მომხმარებელს. საქონლისა და მომსახურების თავისუფალი გადაადგილება ხელს შეუწყობს საქართველოს საექსპორტო პოტენციალის ზრდას. საქართველო გახდება მიმზიდველი ქვეყანა ინვესტორებისათვის, რაც გამოიწვევს ქვეყანაში საინვესტიციო ნაკადების ზრდას და ახალი სამუშაო ადგილების შექმნას. გარდა ამისა, DCFTA-ის ამოქმედება ხელს შეუწყობს ახალი საწარმოებისა და საექსპორტო პროდუქციის გაჩენას, ქართველი მომხმარებლისთვის უსაფრთხო და უვნებელი პროდუქტის მიწოდებას, სახელმწიფო ადმინისტრირების ორგანოების განვითარებას ევროპული საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად. აღნიშნული, საბოლოო ჯამში პოზიტიურად აისახება ქვეყნის ეკონომიკურ ზრდასა და განვითარებაზე [15][15].

აღსანიშნავია, რომ DCFTA-ის მოლაპარაკებების პროცესში ქართულმა მხარემ მიაღწია უპრეცედენტო შეთანხმებას ევროკავშირთან სატარიფო ლიბერალიზაციის კუთხით. ქართული წარმოშობის ყველა პროდუქტი (ნიორი-კვოტის ფარგლებში) გარკვეული პირობების (სურსათის უვნებლობისა და პროდუქტის უსაფრთხოების სტანდარტები) დაკმაყოფილების შემთხვევაში, ნულოვანი საბაჟო ტარიფით შევა ევროკავშირის ბაზარზე.

მნიშვნელოვნად გამარტივდება საქართველოდან მომსახურების ექსპორტი ევროკავშირში. ქართულ, მომსახურების სფეროს, კომპანიებს მიეცემათ საშუალება უმეტეს სექტორებში:

დააფუძნონ ფილიალები ევროკავშირის ქვეყნებში და მათი საშუალებით მიაწოდონ მომსახურება ევროპელ მომხმარებელს;

- თავიანთ ევროპულ ფილიალებში დაასაქმონ ქართველი მენეჯერები, სპეციალისტები და გაატარონ პრაქტიკა თავიანთ თანამშრომლებს;

---

[15] http://www.ghn.ge/news/206842, საქართველოსა და ევროკავშირს შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება;

- გაუშვან თავიანთი გაყიდვების წარმომადგენლები ევროკავშირში, მათი პროდუქციის გაყიდვის მიზნით მოლაპარაკებების საწარმოებლად;
- მიაწოდონ მომსახურება ევროკავშირის ბაზარზე საქართველოდან, ევროკავშირში ფილიალების გახსნის გარეშე.

2014 წლის პირველი სექტემბრიდან ქართველი მწარმოებლები პროდუქტის ექსპორტს ევროკავშირში ახორციელებენ გადასახადის გარეშე.

ქართველ სპეციალისტებს, ინდივიდუალურად თუ კომპანიებს შორის გაფორმებული კონტრაქტების საფუძველზე, მიეცემათ საშუალება გასწიონ მომსახურება ევროკავშირში. შეთანხმება ასევე მოიცავს პროფესიული კვალიფიკაციის აღიარების მექანიზმებს. ამის შემდეგ, მნიშვნელოვნად გაადვილდება ქართველი სპეციალისტების მიერ მომსახურების გაწევა ევროკავშირის ქვეყნებში. ამასთან, აღსანიშნავია, რომ ქართული საქონელი და მომსახურება ეტაპობრივად მიიღებს დაშვებას ევროკავშირის წევრი ქვეყნების სახელმწიფო შესყიდვებში [14].

საქართველოს მთავრობაც და ევრო კავშირის წარმომადგენლებიც თანხმდებიან იმაზე, რომ საქართველოს განსაკუთრებული ინტერესია თავისუფალი ვაჭრობა ევროკავშირთან. ეს უდავოდ სერიოზული ბიძგი იქნება ადგილობრივი წარმოებისთვის, რაც საგრძნობლად დაეტყობა ქვეყნის ეკონომიკას.

ევროკავშირი, როგორც ერთიანი სავაჭრო აქტორი, საქართველოს უმნიშვნელოვანესი პარტნიორია. 2012 წელს საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვამ ევროკავშირის ქვეყნებთან 2780 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის მაჩვენებელზე 12 პროცენტით მეტია. აქედან ექსპორტი 353 მლნ. აშშ დოლარი იყო (17 პროცენტით ნაკლები), ხოლო იმპორტი – 2427 მლნ. აშშ დოლარი (18 პროცენტით მეტი). საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვაში ამქვეყნების წილმა 27 პროცენტი შეადგინა, მათ შორის ექსპორტში 15 პროცენტი და იმპორტში 31 პროცენტი. (2011 წელს – შესაბამისად 27, 19 და 29 პროცენტი) [16][16].

---

[16] თ.შენგელია, გლობალური ბიზნესი. თბილისი 2010

პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების საშუალებით, რომელიც აუქმებს კვოტებს ვაჭრობის სფეროში და იცავს ინტელექტუალური, საწარმოო და კომერციული საკუთრების უფლებას, 1999 წელს საქართველოს ექსპორტის ხელშეწყობის მიზნით ამოქმედდა ევროკავშირის პრეფერენციების (შეღავათების) ზოგადი სისტემა (GSP). GSP სისტემის მინიჭების შედეგად, საქართველოს მიერ ევროკავშირში ექსპორტირებულ საქონელზე გადასახადი გაუქმდა. 2005 წელს ევროკავშირმა საქართველოს შესთავაზა აღნიშნული სისტემის, GSP-ის მეორე წამახალისებელი რეჟიმი, GSP+, რომელსაც ეწოდება „მდგრადი განვითარების და ეფექტიანი მმართველობის ხელშეწყობის სპეციალური სისტემა“. GSP+ იძლევა შემცირებული ტარიფით ან საბაჟო მოსაკრებლის გარეშე საქართველოდან ევროკავშირში ექსპორტირების უფლებას.

2008 წლის ბოლოს ევროკავშირმა საქართველოს მიერ GSP+ით სარგებლობის მიზანშეწონილობა განიხილა. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს მიმართ რიგი საკითხების გამო (შრომის კოდექსი, სურსათის უვნებლობა) სერიოზული კრიტიკა გამოითქვა, ევროკავშირმა ქვეყანას GSP+-ით სარგებლობის უფლება სამი წლის ვადით (2011 წლამდე) მაინც გაუგრძელა. 2012 წლის იანვარში შესაბამისი განაცხადის შეტანის შემდეგ საქართველომ მიიღო ახალი მანდატი და GSP+-ით სარგებლობის ვადა 2013 წლამდე გაუხანგრძლივდა. ყველაზე ხშირად საქართველოს GSP+-ით სისტემით გათვალისწინებული შეღავათების აუთვისებლობის გამო აკრიტიკებდნენ, რადგანაც შესაძლო 7200 პროდუქტიდან ექსპორტზე მხოლოდ 100-მდე სახის ნაწარმი გადის . აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ევროკავშირი აღნიშნულ პროგრამაში მნიშვნელოვან საკანონმდებლო ცვლილებებს ამუშავებს, რაც გულისხმობს პროცედურების (დოკუმენტების დადასტურება, ტრანსპორტირება და ა.შ) გამარტივებას. ცვლილებები ძალაში შევა 2014 წლიდან.

ევროკავშირთან სავაჭრო პარტნიორობისათვის არსებობს რიგი მნიშვნელოვანი წინაპირობები: ევროკავშირის ბაზარი ღიაა მხოლოდ იმ პროდუქციისათვის, რომელიც აკმაყოფილებს ევროპის ბაზრისთვის განსაზღვრულ შიდა ბაზრის რეგულაციებს. ქართულმა მხარემ განაცხადა, რომ GSP+-ის მისაღებად მთავარი მოთხოვნები იყო საერთაშორისო შრომითი ორგანიზაციის (ILO) კონვენციების რატიფიცირება, სურსათის უსაფრთხოებისა და ფიტოსანიტარული

სტადარტების გაუმჯობესება. ამ მიზნით და ევროკავშირის დირექტივების გათვალისწინებით საქართველოს პარლამენტმა მიიღო შესაბამისი კანონი „სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლის შესახებ“ , თუმცა კანონის ძალაში შესვლა რამდენჯერმე გადაიდო. საბოლოოდ, საწყის ეტაპზე დაკმაყოფილდა ძირითადი საბაზისო მოთხოვნები. საქართველოს მთავრობა დღემდე ამართლებს ამ კანონის იმპლიმენტაციის გადადებას იმით, რომ სახელმწიფო რეგულაციის არსებობას შიდა ბაზარზე მოჰყვება კორუფციის აყვავება და ლიბერალური ეკონომიკის პრინციპების დარღვევა. თუმცა ფაქტია, რომ ასეთი ტიპის სახელმწიფო რეგულაციების არარსებობის გამო საქართველო სათანადოდ ვერ იყენებს ევროკავშირის პრეფერენციულ სისტემას. რაც შეეხება ILO-ს სტანდარტებთან დაახლოებას, მიუხედავად იმისა, რომ საქართველომ მოახდინა 8 ძირითადი კონვენციის რატიფიცირება, დღემდე არსებობს გარკვეული შეუსაბამობები არსებულ კანონმდებლობასთან. ევროკავშირის ერთ-ერთი მოთხოვნაც რატიფიცირებული კონვენციების საქართველოს არსებულ კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციაში მდგომარეობს. განსაკუთრებით აღსანიშნავია 87-ე (გაერთიანების თავისუფლების შესახებ) და 98-ე (ორგანიზებისა და პოლიტიკური მოლაპარაკებების უფლების შესახებ) კონვენციები, რომელთა დაკავშირებითაც ევროკავშირს კვლავ აქვს განსაკუთრებული შენიშვნები.

2003 წლიდან 2011 წლამდე ევროკავშირ-საქართველოს სავაჭრო ურთიერთობების დინამიკას, აღმოვაჩენთ, რომ მიუხედავად პრეფერენციული სისტემით რამდენიმე წლიანი სარგებლობისა, ეს ურთიერთობები წლიდან წლამდე თვისებრივად თითქმის არ შეცვლილა. აღნიშნულზე მეტყველებს საქართველოსა და ევროკავშირის სავაჭრო ურთიერთობების ბოლო წლების სტატისტიკაც. ევროპასა და საქართველოს შორის სავაჭრო ურთიერთობების შეფერხების ერთ-ერთ მიზეზად ქართულ ეკონომიკაში ბოლო პერიოდში სოფლის მეურნეობის წილის შემცირებაც განიხილება, რადგან სოფლის მეურნეობის პროდუქტები საქართველო-ევროკავშირის სავაჭრო ურთიერთობების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პუნქტია. [17][17]

[17] https://www.gfsis.org/ge/blog/view/874. საქართველოს საგარეო ვაჭრობა, როგორ გავამყაროთ დადებითი ტენდენციები;

## 3.3. საქართველოს საგარეო ვაჭრობის დეფიციტი და მისი დაძლევის გზები

საგარეო ვაჭრობის ბალანსსა და მის ცალკეულ ასპექტებზე მსოფლიოს მეცნიერ-ეკონომისტებს მრავლად აქვთ ნაშრომები. მიუხედავად ამისა, საქართველოში ეს პრობლემები, კომპლექსურად და ქვეყნის პირობებისა და თავისებურებების გათვალისწინებით, მაინც ნაკლებ შესწავლილ სფეროდ ითვლება. წინამდებარე გამოკვლევა სწორედ არსებული სიცარიელის შევსების ერთ-ერთი მოკრძალებული ცდაა.

აღიარებულია, რომ საგარეო ვაჭრობა არის ექსპორტის იმპორტად გადაქცევის სპეციფიკური ტექნოლოგია, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ექსპორტი ტოლია ან მეტია იმპორტზე. ასევე, ლოგიკურია, რომ საგარეო ვაჭრობა, ანუ ქვეყნის კარგახსნილობა ხელს უწყობს ეკონომიკურ ზრდას, მაგრამ ეს იმ შემთხვევაში, როცა ექსპორტი იმპორტს აბალანსებს ან სჭარბობს. [18][18]საქართველოში კი იმპორტი ექსპორტს 3,8-ჯერ აღემატება. სავაჭრო ბალანსის ამგვარი უწონასწორობა, ანუ ქრონიკული დეფიციტი, ერთი მხრივ, მეტყველებს გარესამყაროსთან საქართველოს უპირატესად ცალმხრივ ეკონომიკურ ინტეგრაციაზე და, მეორე მხრივ იმაზე, რომ ქართული ეკონომიკა დიდად არის დამოკიდებული იმპორტზე, რადგან ქვეყანა გაცილებით მეტს მოიხმარს, ვიდრე აწარმოებს, ანუ საქართველო არის არა წარმოებაზე, არამედ უპირატესად მოხმარებაზე ორიენტირებული ქვეყანა [19][19] წლების განმავლობაში იმპორტზე ორიენტირებული ეკონომიკის ზრდას ხელს უწყობს მოხმარების და არა წარმოების სტიმულირება, რაც, უმეტესწილად უზრუნველყოფილია სამუშაო ძალის ექსპორტით, პირდაპირი უცხოური ინვესტიციებით, საერთაშორისო ტურისტებით, უცხოური გრანტებით, დახმარებებით, ლარის სიმყარით და სხვ.

---

[18] http://mfa.gov.ge/MainNav/ForeignPolicy/ForeignPolicyStrategy ორმხრივი ურთიერთობები რეგიონის ქვეყნებთან;

[19] კონლი ჯ. იმპორტის ჩანაცვლებას საქართველოსათვის ბევრი სასიკეთო შედეგის მოტანა შეუძლია – 24 საათი. 4 ნოემბერი, 2009;

ცნობილია, რომ საგარეო ვაჭრობა საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთოებების ყველაზე უფრო ადრეული და მასობრივი ფორმაა. კონკრეტულად როგორ გამოიყურება მისი დინამიკა საქართველოში 2007-2015 წლებში, იხ. ცხრილი 3.3.

**საგარეო სავაჭრო ბრუნვის დინამიკა 2007-2015 წწ. (მლნ დოლრი)** [20][20]

ცხრილი 3.3.

| | 2007 | 2008 | 2009 | 2010 | 2011 | 2012 | 2013 | 2014 | 2015 | 2016 წ. იანვარი-მარტი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| საგარეო სავაჭრო ბრუნვა | 6444 | 7797 | 5634 | 6935 | 9225 | 10413 | 10921 | 11454 | 9933 | 2145 |
| საქონლის რეგისტრირებული ექსპორტი (FOB) | 1232 | 1495 | 1134 | 1677 | 2187 | 2376 | 2910 | 2861 | 2204 | 443 |
| საქონლის რეგისტრირებული იმპორტი(CIF) | 5212 | 6302 | 4500 | 5257 | 7038 | 8037 | 8012 | 8593 | 7729 | 1703 |
| საგარეო ვაჭრობის სალდო | -3980 | -4806 | -3367 | -3580 | -4852 | -5661 | -5102 | -5733 | -5525 | -1260 |

ცხრილიდან ჩანს, რომ 2015 წელს საქართველოში საქონლით საგარეო სავაჭრო ბრუნვამ (არაორგანიზებული ვაჭრობის გარეშე) 9933 მლნ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამის მაჩვენებელზე 13 %-ით ნაკლებია. აქედან **ექსპორტი** 2204 მლნ დოლარს შეადგენს (23 %-ით ნაკლები). **ექსპორტის შემცირების მაღალი მაჩვენებელი ძირითადად განაპირობა საქართველოს ექსპორტის სტრუქტურამ.** კერძოდ, მსოფლიოში მიმდინარე სავალუტო რყევებისა და მისგან გამოწვეული ეკონომიკური მდგომარეობის შედეგად, **მოთხოვნა განსაკუთრებით შემცირდა არა პირველადი მოთხოვნის სასაქონლო პოზიციებზე, ღვინოზე, სპირტიან სასმელებზე, მინერალურ**

[20] საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

http://www.geostat.ge/?action=page&p_id=133&lang=geo;

**წყლებზე, უალკოჰოლო სასმელებზე, თხილზე და ა.შ; ანუ საქართველოს ტრადიციულ საექსპორტო პროდუქციაზე.** ექსპორტის კლება უკავშირდება, ასევე, საბაჟო პოლიტიკის ცვლილების გამო აზერბაიჯანსა და სომხეთში ავტომობილების რეექსპორტისა და არმატურის შემცირებას.

**იმპორტი** 7729 მლნ დოლარის ტოლია (10%-ით ნაკლები). იმპორტის შემცირება ძირითადად სამომხმარებლო საქონლის იმპორტის ხარჯზე მოხდა, ხოლო საინვესტიციო და შუალედური საქონლის იმპორტის კლების წვლილი მთლიანი იმპორტის კლებაში გაცილებით ნაკლები იყო. კერძოდ, იმპორტის შემცირებას ხელი შეუწყო ლარის დევალვაციამ, ანუ იმპორტის გაძვირებამ, ასევე, ნავთობსა და ხორბალზე ფასების შემცირებამ. საქართველოს უარყოფითმა სავაჭრო ბალანსმა 2015 წელს 5525 მლნ დოლარი და საგარეო სავაჭრო ბრუნვის 56% შეადგინა, რაც სარკისებური შედარების მეთოდით უფრო მეტია.

„საქსტატის“ ინფორმაციით, 2015 წელს საქართველოს საგარეო **სავაჭრო ბრუნვამ ევროკავშირის ქვეყნებთან** 3165 მლნ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამის მაჩვენებელზე 6%-ით მეტია. აქედან ექსპორტი 646 მლნ დოლარი იყო (4 %-ით მეტი), ხოლო იმპორტი 2518 მლნ დოლარი (6%-ით მეტი). საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვაში ამ ქვეყნების წილმა 32% შეადგინა, მათ შორის ექსპორტში 29 % და იმპორტში 33 % (2014 წელს შესაბამისად 26, 22 და 28 %). ევროკავშირის ქვეყნებზე მოდიოდა სავაჭრო დეფიციტის 34 % (2014 წელს 30%). **როგორც ვხედავთ, იმპორტი ექსპორტს 3,9-ჯერ აღემატება, რაც საქართველოს მოხმარებაზე ორიენტირებულობაზე მეტყველებს.**

**დსთ-ის ქვეყნებთან საგარეო სავაჭრო ბრუნვამ** 2015 წელს 2808 მლნ დოლარი შეადგინა (2014 წელთან შედარებით 22%-ით ნაკლები). აქედან ექსპორტი 840 მლნ დოლარი (43 %-ით ნაკლები), ხოლო იმპორტი 1968 მლნ დოლარი იყო (7 %-ით ნაკლები). საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვაში დსთ-ის ქვეყნების წილი 28 % იყო, მათ შორის ექსპორტში 38% და იმპორტში 25% (2014 წელს შესაბამისად 31, 51 და 25%). 2015 წელს დსთ-ის ქვეყნებზე მოდიოდა სავაჭრო დეფიციტის 20 % (2014 წელს 11%). **როგორც ვხედავთ, იმპორტი ექსპორტს 2,3-ჯერ აღემატება, რაც ევროკავშირის შესაბამის მაჩვენებელზე უკეთ გამოიყურება .**

2015 წელს ათი უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორის წილმა საქართველოს მთლიან საგარეო სავაჭრო ბრუნვაში 64 % შეადგინა. **უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორებია** თურქეთი (1517 მლნ დოლარი), რუსეთი (789 მლნ დოლარი) და აზერბაიჯანი (783 მლნ დოლარი).

2015 წელს, სასაქონლო ჯგუფებიდან, **უმსხვილეს საექსპორტო ათეულში** პირველი ადგილი სპილენძის მადნებმა და კონცენტრატებმა დაიკავა - 271 მლნ დოლარი და მთელი ექსპორტის 12% შეადგინა. მეორეა ფეროშენადნობების ექსპორტი, რომელიც 195 მლნ დოლარს და შესაბამისად, მთლიანი ექსპორტის 9%-ს უდრიდა. მესამე ადგილზე მსუბუქი ავტომობილების ჯგუფი იმყოფებოდა. ამ სასაქონლო ჯგუფის ექსპორტმა 180 მლნ დოლარი და მთელი ექსპორტის 8% შეადგინა. **როგორც ვხედავთ, ექსპორტის სახით უპირატესად რესურსები, ანუ დაბალი დამატებული ღირებულების პროდუქტი გაედინება და არა მზა პროდუქტი.**

**უმსხვილესი საიმპორტო სასაქონლო ჯგუფი 2015** წელს სამკურნალო საშუალებები იყო, რომლის იმპორტმა 745 მლნ დოლარი და მთელი იმპორტის 10% შეადგინა. მეორე ადგილზეა ნავთობი და ნავთობპროდუქტების სასაქონლო ჯგუფი 657 მლნ დოლარით, რაც იმპორტის 9%-ა. მესამე ადგილზე მსუბუქი ავტომობილების სასაქონლო ჯგუფი დაფიქსირდა 461 მლნ დოლარით (იმპორტის 6 %) [21][21] **. როგორც ვხედავთ, იმპორტის სახით უპირატესად მზა პროდუქტი - მაღალი დამატებული ღირებულების პროდუქტი შემოედინება და არა რესურსები.**

ცხრილი 3.3-დან ჩანს, ასევე, რომ საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვა 2007-2015 წლებში (2009 წლის გამოკლებით) ზრდის ტენდენციით ხასიათდება, რაც დადებითი მოვლენაა. **სამწუხაროდ, ზრდის ტენდენციით ხასიათდება სავაჭრო ბალანსის უარყოფითი სალდოც, რაც ცალსახად უარყოფითად უნდა შეფასდეს.**

როგორც ითქვა, საქართველოს უარყოფითმა სავაჭრო ბალანსმა (დეფიციტმა) 2015 წელს 5525 მლნ დოლარი შეადგინა. რომ არა ესოდენ დიდი უარყოფითი სავაჭრო სალდო, საქართველოს ორჯერ მეტი ბიუჯეტი ექნებოდა. საქმე ისაა, რომ

[21] commersant.ge. 20.01.2016;

სავაჭრო დეფიციტი იფარება აღებული ვალით. ამ უკანასკნელის მომსახურება კი ბიუჯეტის ხარჯზე ხდება, რაც ზრდის მის დეფიციტს.

**ამასთან, ქვეყანაში იმპორტის სახით უპირატესად მზა პროდუქტი შემოედინება და არა რესურსები.** სამკურნალო საშუალებებსა და მსუბუქ ავტომობილებთან ერთად მრავალი ჩვეულებრივი სამომხმარებლო საქონელიც კი გარედან შემოგვაქვს, მაშინ როდესაც მოსახლეობის ნახევარი სოფლის მეურნეობაშია დასაქმებული. **საქართველო, მიუხედავად იმისა, რომ აგრარული ქვეყანაა, წარმოებული ხორბლით, ხორცითა და ხორცპროდუქტებით, რძითა და რძის პროდუქტებით ბოსტნეულით და ა. შ. ადგილობრივ მოთხოვნილებებსაც ვერ აკმაყოფილებს, რომ აღარაფერი ვთქვათ მათ ექსპორტზე.** საქართველოს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ექსპორტირება ნაკლებად ხდება მეზობელ თურქეთში. სამაგიეროდ ამ ქვეყნიდან ხორციელდება სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის დიდი რაოდენობის იმპორტი (ჩვენი გათვლებით დაახლოებით 40 000 დასაქმებული ადამიანის ეკვივალენტია, თუკი ამ რაოდენობის პროდუქციის წარმოება საქართველოში მოხდებოდა). ეს იმიტომ, რომ თურქეთის მთავრობა ახდენს სოფლის მეურნეობის სუბსიდირებას, შესაბამისად, იქ მოწეული მოსავალი იმდენად იაფი ჯდება, რომ ქართული პროდუქცია ვერ უწევს მას კონკურენციას.

**ექსპორტის სახით კი უპირატესად რესურსები გაედინება და არა მზა პროდუქტი.** ასე, მაგალითად, 2016 წლის პირველ კვარტალში უმსხვილესი საექსპორტო ჯგუფი სპილენძის მადნები და კონცენტრატები იყო 84.1 მლნ დოლარით (37.7%–იანი ზრდა წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით); შემდეგ მოდის ავტომობილების რეექსპორტი– 37.6 მლნ დოლარით (34.8%–იანი კლება); თხილი – 33 მლნ დოლარი (36.1%–იანი კლება); ფეროშენადნობი – 26.79 მლნ დოლარი (44.4%–იანი კლება); აზოტოვანი სასუქები – 23.2 მლნ დოლარი (3.2%–იანი კლება); მინერალური წყლები – 19.3 მლნ დოლარი (14.6%–იანი კლება); ღვინო – 19.2 მლნ დოლარი (23.7%–იანი კლება); სამკურნალო საშუალებები – 19 მლნ დოლარი (24.5%–იანი ზრდა); ოქრო დაუმუშავებელი ან ნახევრადდამუშავებული – 17.7 მლნ

დოლარი (40%–იანი ზრდა); არადენატურირებული ეთილის სპირტი და სპირტიანი სასმელები – 17.1 მლნ  დოლარი (74.7%–იანი ზრდა) [22][22].

**რა განსხვავებაა რესურსების ( ვთქვათ, ვაშლისა) და მზა პროდუქტის (ვთქვათ, ვაშლის ჯემის) ექსპორტს შორის?-** ვაშლში გაცილებით ნაკლებია დამატებული ღირებულება, ცოტა ფულს იღებ, ვაშლის წვენში, ვაშლის კომპოტში,  ვაშლის ჯემსა და ჩირში გაცილებით მეტს - ანუ დამატებულ ღირებულებას ქმნის ქვეყანაში. ჯემს რომ აკეთებ, საწარმო გაქვს, იქ საქმდება ადამიანები, რომელთაც  ხელფასს უხდი, ისინი სხვა  ბიზნესის საქონელს ყიდულობენ. ექსპორტზე - მეტს გადაგიხდიან  რადგან მზა  პროდუქტია. ასევე,  ჩვენი თხილი რომ გააქვთ, იქიდან ვიღაც კარგ შოკოლადს გააკეთებს და გაცილებით ძვირად გაყიდის, ანუ ქვეყნის  განვითარების შემდეგი ეტაპი იქნება, რომ ეს თხილიანი შოკოლადი ჩვენ გავაკეთოთ. ის ადამიანი  კი რომელზეც დღეს ვამბობთ, რომ მხოლოდ სახლი და პატარა მიწა აქვს და უნდა დავეხმაროთ,  წავა და იმ ქარხანაში იმუშავებს [23][23].

**რა განსხვავებაა,  ვთქვათ, ხორბლისა და  ფქვილის იმპორტს  შორის?-**თუ ძირითადი მომწოდებლებისაგან (რუსეთი, ყაზახეთი, უკრაინა და სხვა) შემოვიტანთ ფქვილს და არა ხორბალს, ამით ქართული წისქვილკომბინატების ნაწილი უმოქმედოთ დარჩება, ეს დააზარალებს ადგილობრივ ფერმერებსაც, რომლებმაც მოწეული ხორბალი ამ წისქვილკომბინატში უნდა დაფქვან, უმუშევრად დარჩენა დაემუქრება 10 ათასამდე ადამიანს  და მეღორეობის ფერმერულ მეურნეოებებსაც მოაკლდება ქატო. როგორც ერთი, ისე მეორე ტენდენცია ქვეყანაში ახალი სამუშაო ადგილებისა და შემოსავლების მულტიპლიკაციის (გამრავლების) შემაფერხებელია. **იმპორტჩამნაცვლებელი პოლიტიკა კი ქმნის ეროვნულ საქონელს, სამუშაო ადგილებს, შემოსავლებსა და ზოგავს ვალუტას.**

---

[22] Civil Georgia, Tbilisi / 4 იანვარი, 2016 /. საწარმოთა მხოლოდ 5%-მა იცის სად უნდა ნახოს ინფორმაცია ევროკავშირის მოთხოვნების შესახებ .Commersant.ge 08.11.2015;

[23] საწარმოთა მხოლოდ 5%-მა იცის სად უნდა ნახოს ინფორმაცია ევროკავშირის მოთხოვნების შესახებ .Commersant.ge 08.11.2015;

საერთოდ, მნიშვნელოვანია არა მხოლოდ საგარეო ვაჭრობის ბრუნვის მოცულობა, არამედ ისიც თუ ქვეყნის სავაჭრო ბრუნვა უპირატესად რისგან შედგება. ანუ, თუ სავაჭრო ბალანსში მნიშვნელოვნად სჭარბობს იმპორტი (როგორც ეს საქართველოშია) ეს არის სერიოზული პრობლემა, ხოლო თუ - ექსპორტი, ეს ძალიან კარგია. **სამწუხაროდ, ყველა უმსხვილეს სავაჭრო პარტნიორ ქვეყანასთან (თურქეთი, რუსეთი, უკარიანა, აზერბაიჯანი, ევროკავშირის ქვეყნები, აშშ თუ სხვა) საქართველოს აქვს ქრონიკულად უარყოფითი სავაჭრო სალდო.**

ამ ფონზე ლოგიკურად ისმის კითხვა-**რა ვუყოთ საქართველოს კრიტიკულ იმპორტს, ანუ უარყოფით სავაჭრო სალდოს, რომელიც არსებობს, საერთოდ და, ყველა უმსხვილეს სავაჭრო პარტნიორ ქვეყანასთან იქნება ეს თურქეთი, რუსეთი, უკარიანა, აზერბაიჯანი, ევროკავშირის ქვეყნები, აშშ-ი თუ სხვა?** -ამ მიმართებით არსებობს მდიდარი მსოფლიო გამოცდილება. მაგალითად, იაპონელებმა, რომელთაც აქვთ მომავლის საკმაოდ კარგი ხედვა, 1946 წლიდან დაიწყეს ეროვნული ლოზუნგის რეალიზაცია, რომლის არსია-„ან ექსპორტი, ან სიკვდილი“. ამ ლოზუნგის რეალიზებისათვის მათ შეისწავლეს წარმატებული ქვეყნების საიდუმლოებანი და აღმოაჩინეს, რომ ეს არის საზღვაო ფლოტი. დღეს იაპონიის საზღვაო ფლოტი მსოფლიოში მესამეა აშშ-სა და რუსეთის შემდეგ; მათ განჭვრიტეს, რომ პერსპექტივაში მოსალოდნელი იყო სათბობ-ენერგეტიკული რესურსების კრიზისი. ამიტომ აშშ-გან განსხვავებით მათ შექმნეს მცირელიტრაჟიანი ავტომანქანები და ამით დაიპყრეს ბაზარი. აშშ კი ამ აზრამდე ცოტა მოგვიანებით მივიდა; იაპონელებმა დაინახეს, რომ თანამედროვე ეკონომიკაში მთავარი იყო ცოდნა, ამიტომ იმხანად მათ 5000 ახალგაზრდა „დესანტი“ გადასხეს აშშ-ისა და დასავლეთის მოწინავე უმაღლეს სასწავლებლებში. ეს ახალგაზრდობა ახალი ცოდნითა და უნარებით დაბრუნდა სამშობლოში და გაზარდა ექსპორტი, ჩაანაცვლა არაგონივრული იმპორტი, გამოაჯანსაღა სავაჭრო ბალანსი და განავითარა ეროვნული ეკონომიკა. ცნობისათვის, საქართველო საზღვაო ქვეყანაა, რაც მისი ერთ-ერთი უპირატესობაა ამიერკავკასიასა და ცენტრალურ აზიაში, მაგრამ ჩვენს საზღვაო ინფრასტრუქურას არ შემორჩა არც ერთი საზღვაო ლაინერი, თუ ტანკერი, რომელიც წარსულში 80-ს აღემატებოდა. ჩვენი

გემები ზოგი დაიჭრა და ისე გაიყიდა, ზოგიც დაცურავს სხვა ქვეყნების დროშების ქვეშ ზღვაში [24][24].

სამხრეთ კორეამ, ასევე, წაახალისა ექსპორტი და ამით მეტ პროგრესს მიაღწია, ვიდრე ფილიპინებმა და სამხრეთ ამერიკის ქვეყნებმა (არგენტინა ბრაზილია, ჩილე), რომლებიც XX საუკუნის 80-იან წლებამდე მიმართავდნენ იმპორტის ჩანაცვლებას. შევნიშნავთ, რომ **იმპორტის ჩანაცვლების სტრატეგია ადგილობრივი ბაზრის დროებით დაცვასა და ადგილობრივი საწარმოო შესაძლებლობებით ეკონომიკურ ზრდას გულისხმობს. ექსპორტით სტიმულირებული ზრდის სტრატეგია კი ცდილობს მსოფლიო ბაზრები ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობისათვის გამოიყენოს. ექსპორტის ხელშეწყობით ეკონომიკური ზრდა იმპორტის ჩანაცვლების საპირისპირო სტრატეგიაა, რომელიც პოპულარული იყო 1960-იან წლებში.**

ექსპორტის მკვეთრი ზრდაა, ასევე, ჩინეთის ეკონომიკის აღმავლობის ერთ-ერთი ძირითადი საგარეო ფაქტორი. ჩინურ საქონელს ბევრი კონკურენტული უპირატესობა აქვს, თუმცა, სახელმწიფო დამატებით ასტიმულირებს ექსპორტზე ორიენტირებული მეწარმეობის ეკონომიკას. სახელმწიფო საგარეო ბაზრებზე მიმართულ საწარმოებს დაბალი გადასახადებით, კრედიტებით და სხვა პრეფერენციებით უზრუნველყოფს [25][25].

აღსანიშნავია, რომ სინგაპურსა და ჰონ-კონგში იმპორტისა და რეექსპორტის ხარჯზე სავაჭრო ბრუნვა მშპ-ის 200-400%-საც კი აღწევს. ეს აზიური ქალაქ-სახელმწიფოები მთლიანად ვაჭრობაზე და ფინანსურ საქმიანობაზეა დამოკიდებული. მათი ვრცელი და ღრმა ნავსადგურები ერთ-ერთი დატვირთულია ტვირთბრუნვის თვალსაზრისით მთელ მსოფლიოში, იმიტომ, რომ ეს ქვეყნები არიან სავაჭრო და ფინანსური ჰაბები (ცენტრები).

---

[24] ტყეშელაშვილი გ., ტყეშელაშვილი ვ. საქართველოს პორტები გლობალურ ეკონომიკურ პროცესებში. ეკონომიკისა და ეკონომიკური მეცნიერების აქტუალური პრობლემები. 27-28 ივნისი, 2014 28 ივნისი;

[25] ჩინეთის ეკონომიკური სასწაულის 7 მიზეზი, 25.10.2015. commersant.ge;

**მოხმობილი საერთაშორისო გამოცდილებიდან გამომდინარე,** მიზანშეწონილია ინვესტიციების მოზიდვით სამამულო პროდუქციის საშინაო და საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის ამაღლება და **ექსპორტის წახალისება** ექსპორტიორების ინფორმირებით, დაბალი გადასახადებით, კრედიტებით და სხვა პრეფერენციებით. ამასთან, საჭიროა ექსპორტის **ოპტიმიზება,** ანუ რესურსებთან შედარებით უპირატესობა მიენიჭოს მზა პროდუქტის გატანას. ასევე, უნდა განხორციელდეს სავაჭრო პარტნიორებისა და საექსპორტო პროდუქციის **დივერსიფიკაცია (გამრავალფეროვნება)**.

**სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ექსპორტის ზრდაზე მართლაც უარყოფითად იმოქმედა რეგიონში გაუარესებულმა მდგომარეობამ,** მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ საქართველოს ხელისუფებას არ უნდა ჰქონდეს რისკ-მენეჯმენტის რაღაც გეგმა ამ საფრთხეების შემცირებისათვის. მაგალითად, აზერბაიჯანში ავტომობილების რეექსპორტის შემცირებასთან დაკავშირებით (2014 შედარებით 2015 წელს 63.6 მლნ დოლარით შემცირდა მსუბუქი ავტომობილების რეალიზაცია), ბიზნესი აცხადებს, რომ მთავრობას უბრალოდ ინფორმირება უნდა მოეხდინა აზერბაიჯანში შემოღებული რეგუალაციების შესახებ. უნდა ვაღიარით, რომ ინფორმაციისა და კომუნიკაციის მიმართულებით მთავრობას მართლაც სერიოზული პრობლემები აქვს. საავტომობილო ბიზნესი დღესაც გაურკვეველ მდგომარეობაშია და არ იცის საით წავიდეს.

როგორც ეტყობა, საქართველოს მთავრობას უფრო ადრე უნდა განეხორციელებინა ე.წ. ტექდათვალირება. ამით გაიცხრილებოდა ოც წელზე მეტი ხნის ავტომობილები და ავტოპარკი უფრო გაახალგაზრდავდებოდა. ეს რომ თავის დროზე არ გაკეთდა, ამიტომაა ქვეყანა ეკოლოგიური კატასტროფისა და ტოტალური „საცობების“ წინაშე. პირდაპირ უნდა ითქვას, რომ მარჯვენასაჭიანი ავტომობილების აკრძალვით საერთოდ შეწყდება იმპორტი იაპონიიდან. ცნობილია, რომ 2016 წლის დასაწყისში მარჯვენასაჭიანი ავტომობილების იმპორტი გაიზარდა და მთლიანი ავტოპარკის თითქმის 50%-ს მიაღწია, თუმცა 2017 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდა რეგულაცია, რომელიც მარჯვენასაჭიანი ავტომობილების შემოყვანაზე სამმაგი ოდენობის აქციზის გადახდას გულისხმობს. პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების დაწყების ეტაპიდან საჭის გადატანა აიკრძალება. რაც შეეხება უკვე საჭეგადატანილ

ავტომობილებს, ასეთი ავტომობილებიც ისევე გაივლიან ტექნიკურ ინსპექტირებას, როგორც სხვა ნებისმიერი, თუ ისინი ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებულ პარამეტრებს დააკმაყოფილებენ. ამასთან, მარჯვენასაჭიან ავტომობილებს არავითარი დამატებითი სირთულეები არ შეექმნებათ. მათ მოუწევთ მხოლოდ მაშუქი ფარების დახრილობისა და სინათლის ნაკადის მიმართულების ცვლილება [26] [26] . ეს გადაწყვეტილება, ალბათ, უფრო პოლიტიკური მოტივით არის განპიროებებული, რადგანაც საქართველოს განვითარების ვექტორი ევროპისკენ იხრება. ვფიქრობთ, უკეთესი იქნებოდა რეფორმა პირდაპირ „ევრო ოთხით“ დაგვეწყო და არა მარჯვენასაჭიანი სტანდარტით. თუ გავხედავთ მეზობლებს, რომელთაც ჩამოვრჩით. ეს ძალიან ცუდია. მაგალითად, გაცილებით ჩვენზე ადრე უკრაინა და რუსეთი გადავიდა „ევრო 5-ზე“. ევროპაში უკვე „ევრო 6-ია.“ აზერბაიჯანმა ჩვენზე ადრე გადავიდა „ევრო 4-ზე“. დღეს ეგ პრობლემა ჩვენთანაც გვარდება, ნელ - ნელა ვერგებით რეგიონის სტანდარტებს, ოღონდ დაგვიანებით. წლების მანძილზე საქართველოში საწვავის ბაზარი ჩაკეტილ წრეს წარმოადგენდა და ახალი კომპანიის შემოსვლა, პრაქტიკულად შეუძლებელი იყო. 2012 წლის არჩევნების შემდეგ, ბაზარზე მდგომარეობა მეტ-ნაკლებად შეიცვალა და ახალი კომპანიები გამოჩნდნენ. კომპანია "ჯდ ოილ"-ი, ბაზარზე 10 თვის წინ შემოვიდა და კომპანიამ დედაქალაქის გარდა, რეგიონების ათვისებაც აქტიურად დაიწყო. კომპანია "ჯდ ოილის" დამფუძნებელის დავით ჯაშიტაშვილი თქმით, მათი კონტრაქტორი კომპანია არის შვეიცარული კომპანია. მათი საწვავი არის ევრო 5-ის სტანდარტის. იგი სრული პასუხისმგებლობით მინდა განვაცხადო, რომ "ჯდ ოილ"-ს საქართველოში შემოაქვს ზუსტად იმ ხარისხის საწვავი, რომელიც სრულად აკმაყოფილებს ევრო სტანდარტს. ისინი ახორციელებენ ევრო დიზელის, პრემიუმის, რეგულარის და ევრო რეგულარის შემოტანას საქართველოში. "ჯდ ოილ"-ი ეწევა, როგორც საცალო გაყიდვას ავტო გასამართ სადგურებზე, ასევე საბითუმო რეალიზაციას ბაზებიდან. ეს ინფორმაცის იმედისმომცემია. შემცირდება ატმოსფეროს დაბინძურება, შედეგად ადამიანთა ავადობა და უცხოური კლინიკების საჭიროება მკურნალობისათვის. რაც იწვევს

[26] https://www.allnews.ge/s მარჯვენასაჭიანი ავტომობილების იმპორტის შესახებ
2017 წლის მონაცემები;

ფულადი სახსრების გაზიდვას ჩვენი ქვეყნიდან [27][27]. თუმცა ეს ერთი კომპანია გაზაფხულს ვერ მოიყვანს.

მაგალითად, ნორვეგია, მართალია, არ არის ევროკავშირის წევრი, მაგრამ ევროპარლამენტის მიერ როგორც კი რაღაც ახალი კანონი მიიღება, უკვე ორი კვირის შემდეგ, ყოველგვარი შესწორების გარეშე, ნორვეგიის პარლამენტი იღებს ოსლოში, რათა ნორვეგიის საკანონმდებლო რეგულაციები მოერგოს ევროკავშირისას და მისგან არ გაუცხოვდეს [28, გვ.215].

შევნიშნავთ, რომ გლობალიზაცია, ეკონომიკური ღიაობა, ანუ სავაჭრო-ეკონომიკური ინტეგრაცია შეიძლება იყოს კარგიც და ცუდიც. სავაჭრო-ეკონომიკური ინტეგრაცია განვითარების სხვადასხვა დონის მქონე ქვეყნებს შორის სულ სხვაგვარად ვითარდება და ეს ავტომატურად ყველასათვის მომგებიანი თამაში ვერ იქნება. ეკონომიკური თეორიის თანახმად (მაგალითად, რამოდენიმე ხნის წინ პოლ კრუგმანის მიერ შემუშავებული თეორიიის თანახმად) სავაჭრო-ეკონომიკური ინტეგრაციის შედეგები დადებითია მხოლოდ მაშინ, როდესაც საწყისი უთანაბრობა მცირეა. დიდი სხვაობების შემთხვევაში, ყველაზე სუსტი პარტნიორისთვის შედეგები შეიძლება ნეგატიური იყოს. მაგალითად, აღმოსავლეთ გერმანიის სწრაფმა ინტეგრირებამ დასავლეთ გერმანიასთან, განვითარების შედარებით მაღალი დონის მიუხედავად, დიდი ზიანი მიაყენა ყოფილ გდრ-ს, რომელმაც სამუშაო ადგილების 50% დაკარგა: აღმოსავლეთ გერმანიის ფირმები, რომლის პროდუქტიულობა 3-ჯერ დაეცა, ვერ უწევდნენ კონკურენციას დასავლეთ გერმანიის ფირმებს [29, გვ.128-129]. ჩვეულებრივ, როდესაც პარტნიორ ქვეყნებს შორის საწყისი უთანაბრობა დიდია, მაშინ განვითარებული ქვეყნები განვითარებადი ქვეყნებისაგან იაფად იძენენ რესურსებს (იმპორტი) და მზა პროდუქციას ყიდიან (ექსპორტი) ძვირად. შესაბამისად, განვითარებული ქვეყნები სულ უფრო მდიდრდებიან, ხოლო განვითარებადი ქვეყნები კი სულ უფრო ღარიბდებიან.[28][28]

**საინტერესოა საგარეო სავაჭრო ურთიერთოებების ლიბერალიზაციის ფონზე როგორ განვსაზღვროთ საქართველოში წარმოებული საქონლის შეფარდებითი**

[27] https://www.bpn.ge ქართულ ბაზარზე ევრო 5 - ის სტანდარტის დაბალფასიანი საწვავი გამოჩნდა;

[28] გრიშიკაშვილი ა. ჩვენ ევროპელები. თარგმანი პოლონურიდან, თბ.,2007წ;

**უპირატესობა?-** საჭიროა შევხედოთ საქართველოსა და საერთაშორისო ბაზრებს და ამის მიხედვით ვივარაუდოთ უნდა გავიდეს თუ არა ესა თუ ის რესურსი და საქონელი საგარეო ბაზარზე. მაგალითად, **ვაშლის** დაბალი საშინაო ფასი მეტყველებს იმაზე, რომ საქართველოს აქვს შეფარდებითი უპირატესობა ამ საქონლის წარმოებაში და ვაჭრობის განთავისუფლების შემდეგ ექსპორტიორი გახდება. **საწვავზე** მაღალი საშინაო ფასი კი იმაზე მეტყველებს, რომ დანარჩენ მსოფლიოს აქვს შეფარდებითი უპირატესობა ამ საქონლის წარმოებაში და საქართველო იმპორტიორი გახდება.

ლიბერალიზაციისას, როდესაც საქართველოს ვაჭრობის საშუალება ეძლევა ის ვაშლის ექსპორტიორი ხდება, ამ საქონლის მწარმოებლების მდგომარეობა უმჯობესდება, ხოლო მომხმარებლებისა უარესდება, რადგანაც ვაშლი ძვირდება. როდესაც საქართველო საწვავის იმპორტიორი ხდება, მომხმარებლის ეკონომიკური მდგომარეობა უმჯობესდება, რადგანაც საწვავი იაფდება, მწარმოებლისა - უარესდება. ორივე შემთხვევაში, ვაჭრობის სარგებლიანობა დანაკარგებზე მეტია. სხვაგავარად, საგარეო ვაჭრობის ლიბერალიზაციისას საშინაო ფასები უნდა გამოუთანაბრდეს მსოფლიო ფასებს. თუ ეროვნული ფასი დაბალია მსოფლიოზე-აიწევს და პირიქით. თუ წახალისდა ექსპორტი, ქვეყანაში შეიძლება იგივე პროდუქციის დეფიციტი შეიქმნას და ფასებმა აიწიოს. [29][29]

ამასთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ სამწუხაროდ, წარმოების დიდი მოცულობების მიღწევას, რაც აუცილებელია მასშტაბის ეფექტისათვის (აწარმოე ბევრი და იაფად) და შესაბამისად, საფასო ბრძოლაში მოსაგებად, თითქმის ვერც ერთ დარგში შევძლებთ. პრობლემატურია მუშახელის კვალიფიკაციაც, რაც, აგრეთვე, ხარისხიანი პროდუქტის და მომსახურების წარმოების შესაძლებლობას დიდი ხნით, ასევე, თითქმის ვერც ერთ დარგში მოგვცემს. საქართველო შეზღუდული რესურსების ქვეყანაა და ყველა სახის ნედლეული არ აქვს. **სწორედ ამიტომ, სჯობს აქცენტი გაკეთდეს ქართული სურსათის უვნებლობასა და პროდუქციის უსაფრთხოებაზე,**

---

[29] I. Samson. And Olena Vasylchenko. EU PCA and ENP Policies for Georgia: How Economic integration with the European Unioun May Ease the Reform process and Economic Development in Georgia. Georgian Economic Trends,. 2004 No.4;

**საავტოროობაზე, ტრადიციულობაზე, ეკოლოგიურობაზე, ბიოპროდუქტზე და ამით მოხდეს მომხმარებლის ცნობიერებაში მისი პოზიციონირება.**

**საინტერესოა განვითარებით ჩვენზე წინმდგომმა ქვეყნებმა ეკოლოგიური, ბიოპროდუქტების წარმოებაზე რატომ გააკეთეს არჩევანი და რა იღონეს ამ მიმართებით?**

**-მათ ამოძრავებდათ:** ექსპორტის სტიმულირება და ამით ეკონომიკური სარგებლის ანუ ეფექტის მიღება; სოფლის მეურნეობისა და მთლიანად სოფლის ეკონომიკის განვითარება; სოფლად ინფრასტრუქტურის განვითარება და დემოგრაფიული მდგომარეობის გამოჯანსაღება, ანუ - გლეხის დამაგრება სოფლად, სამუშაო ადგილების გაჩენა და დემოგრაფიული სიტუაციის გამოსწორება.

ყველა ამ მიზნის მიღწევა ეკოლოგიურ ბიოპროდუქტს შეუძლია. "ეკო", "ბიო" პროდუქტი აღნიშნავს ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტს, როცა მისი წარმოებისას არ გამოიყენება შხამ-ქიმიკატები და ჯანმრთელობისათვის მავნე კონსერვანტები. მისი წარმოებით, დარეგისტრირებითა და ბრენდირებით, ანუ მომხმარებელთათვის გაცნობითა და მოწონებით. ამ საქმეში მნიშვნელოვანია გეოგრაფიული აღნიშვნა, რაც იმას ნიშნავს, რომ მხოლოდ იმ რეგიონში უნდა იყოს ის ნედლეული, რომლისაგანაც დამზადებულია კონკრეტული დასახელების პროდუქტი. თავდაპირველად საქართველოს სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ სურსათის ადგილწარმოების დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის რეგისტრაციისათვის დასკვნა გაცემული აქვს ოთხ შემთხვევაში. ესაა: ქუთაისის მწვანილი, მაჭახელას თაფლი, ტყიბულის მთის ჩაი და ახალქალაქის კარტოფილი.

დღეისათვის საქართველოში ბიოპროდუქტების მწარმოებელი 20-ზე მეტი ფერმერია სერტიფიცირებული, სამომავლოდ, 50-ზე მეტი მიიღებს აღნიშნულ სერტიფიკატს [44].

**თავის დროზე, „დააბანდე საქართველოში (Invest in Georgia)“** კამპანიაზე, ბევრი ფული და დრო დაიხარჯა, თუმცა, გონივრული განხორციელების შემთხვევაში, ქვეყნის ეკონომიკისათვის ბევრად უფრო ეფექტიანი შეიძლება აღმოჩნდეს სწორედ კამპანია -**„წარმოებულია საქართველოში**“, რომელიც თვით ინვესტორებისთვისაც კი გაცილებით უფრო საინტერესოს გახდის საქართველოს, ვიდრე პირველი. ვინაიდან ფულის დაბანდება იქ, სადაც მხოლოდ იურიდიული პროცედურებია გამართული და

ნაკლები ბიუროკრატიული ბარიერები არსებობს, შეიძლება ნაკლებად საინტერესო აღმოჩნდეს, ვიდრე იქ, სადაც ამასთან ერთად წარმოებული პროდუქციის გასაღების უკეთესი შესაძლებლობებიც იქნება, ვთქვათ, ევროკავშირში, თურქეთში და სხვაგან [30][30].

არც თუ იშვიათად საზღვარგარეთ ადგილობრივი საწარმოების ჩამოყალიბება ერთადერთი ხერხია ეროვნულ ბაზარზე შეღწევისა. ასე მაგალითად, იაპონური ფირმები, ქმნიან რა საწარმოებს დიდ ბრიტანეთში და მექსიკაში, ამით ხელფეხი ეხსნებათ, ერთი მხრივ, ევროგაერთიანებისა და, მეორე მხრივ, თავისუფალი ვაჭრობის ჩრდილო ამერიკული ბაზარზე შეღწევისათვის. არადა, ექსპორტირებით ამ ბაზრებზე შეღწევა მათ ერთობ გაუჭირდებოდათ [31,გვ.38][31].

ამასთან დაკავშირებით ლოგიკურია გავიხსენოთ როგორ იწყება ქუთაისის თავისუფალი ინდუსტრიული ზონის ფუნქციონირება. შემოდის გაზქურების მწარმოებელი ეგვიპტური კომპანია "ფრეშ ჯორჯია", რომლის საქმიანობის სფერო სხვადასხვა მოდიფიკაციის გაზქურებისა და ელექტროტექნიკის გამოშვება-რეალიზაციაა. რომელსაც, როგორც გაირკვა, ევროკავშირში შესატანი გაზქურების კვოტები ამოეწურა და კიდევ ჰქონდა გარკველი გამოუყენებელი შესაძლებლობანი დამატებითი გაზქურების წარმოებისა. საქართველო იმხანად ევროკავშირთან სარგებლობდა GSP+ (გენერალიზებული პრეფერენციების სისტემით) და ეს პროდუქცია შედიოდა სწორედ პრეფერენციების ნუსხაში. ამდენად, კომპანია "ფრეშ ჯორჯიამ", გამოიყენა ეს გამოუყენებელი შესაძლებლობანი, აწარმოა საქართველოში გაზქურა, დაუსვა დამღა „წარმოებულია საქართველოში“ და ისე გაიტანა ევროპაში [32][32].

---

[30] http://strategy.ge/2009/08/31/madeingeorgia/;

[31] სამადაშვილი უ., გედევანიშვილი მ. საერთაშორისო ბიზნესი, ეთიკა და სოციალური პასუხისმგებლობა, თბ., 2012;

[32] ქუთაისის თავისუფალი ინდუსტრიული ზონა ამოქმედდა. ჟურნ. “აუდიტი, აღრიცხვა და ფინანსები“, №1 (25), 2010;

ჩვენი აზრით, ეს უნდა იყოს მიმზიდველი სომხეთის, აზერბაიჯანის, ცენტრალური აზიის ქვეყნებისა და ჩინეთისთვისაც. მწარმოებლურობაში რომ საქართველო ჩინელ მწარმოებლებს ვერ აჯობებს, აქ ორი აზრი არ არსებობს. მაშ, რაშია ჩვენი უპირატესობა? -ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების გაფორმების შემდეგ საქართველოს ძირითადი კონკურენტუპირატესობაა ევროკავშირის ბაზარზე სატარიფო ბარიერებისაგან თავისუფალი დაშვება, რომელსაც გონივრული და ეფექტიანი გამოყენება ესაჭიროება.

სავაჭრო დივერსიფიკაცია სხვა არაფერია თუ არა ბაზრების გეოგრაფიული არეალისა და პროდუქციის დივერსიფიკაცია ანუ გამრავალფეროვნება. შესაბამისად, საქართველომ უნდა მოახდინოს არა მხოლოდ ტრადიციული საქონლის, არამედ მრავალი ახალი შეფარდებითი უპირატესობის საქონლის ექსპორტირება როგორც ტრადიციულ, ასევე პოტენციურ და სტრატეგიულ გეოგრაფიულ ბაზრებზე. მაგალითად, ბოლო დრომდე ქართული ღვინისა და მინერალური წყლების ექსპორტის 85% მოდიოდა რუსეთზე, 10% უკრაინაზე და 5% ევროკავშირზე. ამიტომაც იყო, რომ რუსეთის მიერ 2006 წელს საქართველოს მიმართ გამოცხადებული ემბარგოს შემდეგ საქართველოს ექსპორტის 85% ჰაერში გამოეკიდა. აღნიშნულმა სავაჭრო სანქციებმა თვალნათლივ დაგვანახა, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოებისთვის საგარეო ვაჭრობის, ანუ ექსპორტისა და იმპორტის დივერსიფიცირება, ანუ მისი გეოგრაფიული არეალის და სასაქონლო სტრუქტურის გაფართოება [33] [33] . ნათქვამია -"ზოგი ჭირი მარგებელიაო" და სწორედ ამავე "ემბარგომ" უბიძგა საქართველოს ეზრუნა ახალი ბაზრების (ევროკავშირი, თურქეთი, აშშ, ჩინეთი და სხვა) მოძიებაზე და მათი მოთხოვნების შესატყვისი პროდუქციის წარმოებაზე, ანუ დივერსიფიკაციაზე, რის შედეგადაც ექსპორტმა დაიწყო ზრდა რუსეთის გარეშეც. თუმცა, 2012 წელს, ქვეყნის მმართველობაში "ქართული ოცნების" მოსვლის შემდეგ, რუსეთთან ურთიერთობა გარკვეულწილად დარეგულირდა,

---

[33] კაკულია მ. ქართული ექსპორტის ევროპული ჰორიზონტი. გაზეთი "24 საათი", 2007 წ. 11 ივნისი.

ჩრდილოელი მეზობლის მხრიდან მოიხსნა ემბარგო და რუსეთთან სავაჭრო ბრუნვა, განსაკუთრებით ექსპორტის ნაწილში, მნიშვნელოვნად გაიზარდა. ამაზე მეტყველებს საქართველო-რუსეთს შორის ექსპორტ-იმპორტის მაჩვენებლები 2012-2015 წლების იანვარ-აპრილში მლნ დოლარებში. 2012 წელი: ექსპორტი 7,5 და იმპორტი 149; 2013 წელი: ექსპორტი 72 და იმპორტი 146; 2014 წელი: ექსპორტი 87 და იმპორტი 164,5; 2015 წელი: ექსპორტი 40 და იმპორტი 179 [20]. 2015 წელს, წინა წელთან შედარებით ექსპორტის დაახლოებით ორჯერ შემცირების ძირითადი მიზეზია რუსეთ-უკრაინის ომი, ნავთობზე მსოფლიო ფასების შემცირება და მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების მიერ რუსეთის მიმართ დაწესებული საბაჟო და სავიზო სანქციები. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, საქართველომ განახორციელა ღვინის ბაზრების გეოგრაფიული დივერსიფიცირება და ორიენტაცია მოახდინა შედარებით სტაბილურ პერსპექტიულ და სტრატეგიული მნიშვნელობის ბაზრებზე.

შესაბამისად, 2015 წლისთვის დაფიქსირდა ღვინის, **როგორც ტრადიციული ბაზრების დივერსიფიკაცია:** რუსეთი - 14 660 981 ბოთლი, ყაზახეთი - 4 004 586 ბოთლი, უკრაინა - 2 569 ბოთლი, ყირგიზეთი - 172 536 ბოთლი; ასევე პერსპექტიული ბაზრების დივერსიფიკაცია: პოლონეთი- 1 260 870 ბოთლი, ლატვია - 924 792 ბოთლი, ესტონეთი - 389 274 ბოთლი, გერმანია - 211 236 ბოთლი, ნიდერლანდები - 47 232 ბოთლი და საფრანგეთი - 29 100 ბოთლი და სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ბაზრების დივერსიფიკაცია: ჩინეთი - 1 807 955 ბოთლი, აშშ - 209 339 ბოთლი, იაპონია - 126 686 ბოთლი, კანადა - 147 636 ბოთლი, ისრაელი - 33 720 ბოთლი, სამხრეთ კორეა - 24 054 ბოთლი და სხვა [34].[34]

რამ განაპირობა ქართულ ღვინოზე მოთხოვნის ზრდა ტრადიციულ, პერსპექტიულ და სტრატეგიულ ბაზრებზე? -ზოგადად საზღვარგარეთის ტრადიციულ და ახალ ბაზრებზე **ქართულ ღვინოზე ცნობადობის ამაღლებამ,** რასაც მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი გამოფენებში, კონფერენციებსა და ღვინოსთან დაკავშირებულ სხვადასხვა ღონისძიებებში მონაწილეობამ. იმისათვის, რომ

[34] Commersant.ge 05.11.2015;

ქართულმა ღვინომ ახალი ბაზრებიც აითვისოს და მისმა ცნობადობამაც მოიმატოს, უნდა ჩატარდეს მეტი მარკეტინგული და პიარკამპანიები, დეგუსტაციები, ფესტივალები, სხვადასხვა სახის სარეკლამო კამპანიები და ჩვენი უნიკალურობა ვაჩვენოთ მსოფლიოს. ქვევრი არის ყველაზე უნიკალური, რაც ჩვენ გაგვაჩნია მეღვინეობის სფეროში, ეს არის ჩვენი ქვეყნის სახე, ჩვენი ისტორია, ჩვენი ტრადიცია. ესაა ნიშა, რომლითაც შეგვიძლია დავაინტერესოთ, წარვსდგეთ და ჩვენი მნიშვნელოვანი განაცხადი გავაკეთოთ მსოფლიოს ღვინის ბაზარზე.

საბჭოთა კავშირის პირობებში ქართველი გლეხი ვაშლით დატვირთული სატვირთო მანქანით მიდიოდა რუსეთში და იქიდან ცინცხალი "ჟიგულითა" და სოლიდური შემოსავლით ბრუნდებოდა. ახლა კი, ქართველ გლეხს თითქმის დაკარგული აქვს რუსული ბაზარი, შესაბამისად, შემოსავალი და ამ ბაზარზე მისი ადგილი მოლდავურ, პოლონურ და ჩინურ ვაშლს უჭირავს. აღნიშნულის გამო, ქართველმა მეხილემ თავის გადარჩენის მიზნით შეამცირა ვაშლის სავარგულები და მის მაგიერ კარტოფილისა და სხვა ბოსტნეულის მოყვანა დაიწყო, ანუ არსებითად ხელი მიჰყო ნატურალურ მეურნობას, რამაც საბაზრო ურთიერთობების განვითარებაზე უარყოფითად იმოქმედა. იმისათვის, რომ ქართველმა მეხილეებმა შეძლონ საერთაშორისო ბაზრზე ჯეროვანი მეტოქეობა გაუწუიონ მოლდოველ, პოლონელ და ჩინელ მწარმოებლებს, მათ ხილის მოყავნისა და ხეხილის ბაღების მოვლა-პატრონობის თანამედროვე მეთოდები უნდა აითვისონ, რათა მსხვილი, ხრაშუნა, არომატული და ლამაზი შეფერილობის ვაშლი აწარმოონ. ასევე, ვაშლი ცივ საცავებში თვეების მანძილზე უნდა შეინახონ, რათა წელიწადის ნებისმიერ დროს ბაზრის მოთხოვნების დაკმაყოფილება შეძლონ. ამასთან, აუცილებელია თანამედროვე ვაშლის ჯიშების მოყვანა, საერთაშორისო ბაზარზე კონკურენტუნარიანობის ამაღლების მიზნით.

არც ისე შორეულ წარსულში დამკვიდრებული იყო მოსაზრება, რომ საქართველოს მთავარი საექსპორტო ბაზარი რუსეთია, ხოლო მთავარი საექსპორტო პროდუქტი ღვინო და მინერალურ წყლებია. ცხადია, რუსეთის ბაზრის ღიაობა და მასშტაბი საინტერესოა ნებისმიერი ქვეყნის საექსპორტო მიზნებისთვის, თუმცა, რუსეთის მხრიდან იძულებითმა შეზღუდვებმა

საქართველოს საგარეო ვაჭრობაში ახალი მოთამაშეები და, რაც მთავარია - ახალი პროდუქცია წამოწია წინა პლანზე.

საქართველოს საგარეო ვაჭრობის 2015 წლის სტატისტიკური მონაცემებიც კი ცხადყოფს, რომ ქვეყნის ეკონომიკას, ერთი შეხედვით, საკმაოდ მოულოდნელი სავაჭრო ბაზრები და რესურსი აქვს ათვისებული, კერძოდ: სავაჭრო ბრუნვის მიხედვით 2015 წლის საქართველოს მთავარ სავაჭრო პარტნიორთა ათეულში შედის: თურქეთი -1 517 მლნ დოლარი, რუსეთი- 788 მლნ დოლარი, აზერბაიჯანი -783 მლნ დოლარი, ჩინეთი - 713 მლნ დოლარი, უკრაინა- 515 მლნ დოლარი, გერმანია - 507 მლნ დოლარი, ირლანდია- 458 მლნ დოლარი, ბულგარეთი - 382 მლნ დოლარი და სომხეთი- 352 მლნ დოლარი [36][35].

დსთ-ს და მეზობელ ქვეყნებთან ერთად, საქართველოსთან გეოგრაფიულად სხვადასხვა მანძილზე დაშორებული თურქეთის, ჩინეთის, გერმანიის, ირლანდიისა და ბულგარეთის გამოჩენა საქართველოსთვის ერთ-ერთი მთავარი მიღწევაა ბაზრების გეოგრაფიული არეალის დივერსიფიკაციის თვასაზრისით. ბაზრების გეოგრაფიული დივერსიფიცირების დამადასტურებელია, ასევე ის, რომ თუ რუსეთის მიერ 2006 წელს საქართველოს მიმართ გამოცხადებულ ემბარგომდე და რუსეთ-საქართველოს ომამდე საგარეო ვაჭრობაში ნომერი პირველი პარტნიორი რუსეთი იყო, მერე მას თურქეთი ჩაენაცვლა. ეს არის სავსებით ბუნებრივი მოვლენა, რადგანაც ნებისმიერი ქვეყანა საერთაშორისო ვაჭრობას, პირველ რიგში, მეზობელ ქვეყანასთან ავითარებს. რუსეთთან დაძაბულმა პოლიტიკურმა ურთიერთობამ ხელი შეუწყო საქართველო-თურქეთის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის განვითარებასა და გაღრმავებას [35. გვ.173][36].

საექსპორტო საქონლის დივერსიფიცირებაზე კი მეტყველებს ის, რომ არც ისე შორეულ წარსულში (2004-2009წწ) საქართველოს ექსპორტულ პროდუქციაში №1 მუხლი **"გაჭირვების ექსპორტი",** ანუ "ჯართის ექსპორტი" იყო, რომლის დროსაც

---

[35] მღებრიშვილი დ. მარკეტინგის აქტუალური თეორიული და პრაქტიკული საკითხები. თბ., 2012;

[36] ზირაქიშვილი ლ., ქართული პროდუქცია მსოფლიო ბაზრებზე გასასვლელ პოტენციალს ვერ იყენებს. ჟურნ. „ბიზნესი და კანონმდებლობა", აპრილი, 2010;

საწარმოს მფლობელი მოკლევადიანი მიზნების მიღწევისათვის ინვენტარებსა და მანქანა-დანადგარებს ყიდდა. როგორც იქნა "ჯართი" აღარ არის უპირველესი მუხლი. იგი ჩაანაცვლა შედარებით „**ნაკლები გაჭირვების ექსპორტმა**" - მსუბუქი ავტომანქანების რეექსპორტმა, რომელმაც 2014 წლიდან, ასევე, დაკარგა პოზიცია პარტნიორ ქვეყნებში (სომხეთი, აზერბაიჯანი, ყაზახეთი) ახალი საბაჟო რეგულაციების შემოღების გამო. ამჟამად ექსპორტში სჭარბობს **„იძულებითი ექსპორტი",** ანუ დაბალი დამატებული ღირებულების შემცველი რესურსები-თხილი და კაკალი, ნედლი ნავთობი, მინერალური და ქიმიური სასუქები. უფრო კონკრეტულად, 2015 წელს სასაქონლო ჯგუფებიდან, საექსპორტო ათეულში **პირველი ადგილი** სპილენძის მადნებმა და კონცენტრატებმა დაიკავა- 270.6 მლნ დოლარი და მთელი ექსპორტის 12.3% შეადგინა. **მეორე ადგილზეა** ფეროშენადნობების ექსპორტი 194.5 მლნ დოლარი და 8.8%. **მესამე ადგილზეა** მსუბუქი ავტომობილები, ამ სასაქონლო ჯგუფის ექსპორტმა 179.6 მლნ. აშშ დოლარი და მთელი ექსპორტის 8.2% შეადგინა. ავტომობილების აღმოჩენა საქართველოს მთავარ საექსპორტო ჯგუფში, ცხადია, აბსოლუტურად მოულოდნელი იყო XX საუკუნის 90-იანი და თუნდაც 2000-იანი წლების დასაწყისის გადმოსახედიდანაც, თუმცა, საკანონმდებლო გარემომ, ტრანზიტის პირობებმა და საქართველოს ხელსაყრელმა გეოგრაფიულმა მდგომარეობამ ეს ჯგუფი უკვე რამდენიმე წელია მყარად დაამკვიდრა საექსპორტო პროდუქციის ლიდერთა რიგებში.

ამ თვალსაზრისით საინტერესოა თხილი და კაკალი, რომლის ექსპორტის მოცულობა 2014 წლის მონაცემთან შედარებით შემცირებულია, თუმცა, საბოლოო ანგარიშით ეს პროდუქცია საექსპორტო ათეულში შედის - ბოლო წლების მანძილზე უკვე ტრადიციულად; ასევე ძალიან საინტერესოა საქართველოს სამ მთავარ სავაჭრო პარტნიორთან - აზერბაიჯანთან, თურქეთსა და უკრაინასთან ვაჭრობის დინამიკა. თუ უკრაინასთან საესპორტო პროდუქციის ხუთეულში, კვლავ ღვინო და მინერალურ წყლები შედის, აზერბაიჯანთან და თურქეთთან სავაჭრო დინამიკა ახალი საექსპორტო პროდუქციის გამოჩენაზე გვამცნობს: 2015 წელს საქართველოდან თურქეთში ექსპორტირებული პროდუქციის პირველ ხუთეულში, ტრადიციულ ფეროშენადნობებთან ერთად, შედის - ფქვილი ხორცის ან ხორცის სუბპროდუქტებისგან, ტრიკოტაჟი და ქალის კოსტუმები და

კომპლექტები; აზერბაიჯანში განხორციელებული ექსპორტიდან კი პირველ ადგილზე მსუბუქი მანქანებია, ხუთეულში ასევე გვხვდება სატვირთო ავტომანქანები და ცოცხალი მსხვილფეხა პირუტყვი.

რუსეთსა და უკრაინაში ღვინის ექსპორტის ბაზრის ალტერნატიული ბაზრების ძიებასთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ ევროკავშირი, ალბათ, ასეთ ალტერნატივად ვერ გამოდგება, რამდენადაც იმიტომ, რომ ევროკავშირის ბაზარზე ქართულ ღვინოს ჰყავს საკმაოდ ძლიერი კონკურენტები კალიფორნიის შტატის (აშშ), ჩილეს, არგენტინის, ურუგვაის, სამხრეთ აფრიკის, ავსტრალიის პორტუგალიის, იტალიის, საფრანგეთის, ჩეხეთის, უნგრეთისა და მოლდოვას ღვინოების სახით. ქართული ნაწარმის ევროკავშირის ბაზარზე დამკვიდრება გართულებულია იმის გამოც, რომ ამ ბაზარზე ჩეხეთის ღვინო 6-ჯერ, ხოლო მოლდავური ღვინო სამჯერ უფრო იაფია [36. გვ. 5]. აღნიშნულის გამოა, რომ 2015 წლის მონაცემებით, ქართული ღვინო ევროკავშირის ბაზარზე ექსპორტირებული საქონლის ათეულის ბოლოში მოექცა, ხოლო მინერალური წყლები ათეულშიც კი ვერ მოხვდა [37][37].

“ახალი სამყაროს” (ავსტრალია და ახალი ზელანდია, კალიფორნიის შტატი, ჩილე, არგენტინა, ურუგვაი და სამხრეთ აფრიკა) ღვინოები რუსეთშიც იყიდება. საქართველომ რუსეთში ელიტარული ღვინოების ნიშა სწორედ მაშინ დაკარგა, როცა იქ ევროპიდან და “ახალი სამყაროდან” ელიტარული ღვინოების აქტიური შემოტანა დაიწყო. ქართულზე უფრო დაბალი ხარისხის ღვინოები რუსეთში ბულგარეთიდან, რუმინეთიდან და გერმანიიდან შედის. თუმცა, გერმანიიდან დაბალი ხარისხის ღვინოებთან ერთად ელიტარული ღვინოებიც შედის. ცხადია, რომ, ვინც ბაზარზე ელიტარული ღვინოების ნიშას ირჩევს, ძვირადღირებულ ღვინოებს დაამზადებს, რომელთა ფასიც შედარებით მაღალი იქნება. ვინც მასობრივ ნიშას ირჩევს, ღვინის ფასი, შესაბამისად, უფრო დაბალი იქნება. არ არის აუცილებლი, ელიტარული ღვინო ძვირი ღირდეს. ის საავტორო ღვინოა,

---

[37] ვინსენტზი ვ. სავაჭრო პოლიტიკა და საქართველოს ექსპორტი. საქართველოს ეკონომიკური ტენდენციები. 2006წ. ოქტომბერი;

რომლის მწარმოებელიც არ ფიქრობს პროდუქციის რაოდენობაზე და ღვინოს თავისი უნიკალური სტილით ამზადებს. ის ლიმიტირებული რაოდენობით მზადდება [38][38].

ხშირად აპელირებენ, რომ რუსეთი არასტაბილური და არაპროგნოზირებადი სავაჭრო პარტნიორია და მიანიშნებენ 2006 წლის 28 მარტს მის მიერ საქართველოს მიმართ გამოცხადებულ ემბარგოზე, როდესაც რუსეთმა აკრძალა საქართველოს სოფლის მეურნეობის პროდუქციის, ღვინისა და მინერალური წყლების იმპორტირება. ხაზგასასმელია, რომ მაშინ რუსეთი არ იყო WTO-ს (მსოფლიო სავაჭრო ოგანიზაციის) წევრი და არც ამ აკრძალვას ჰქონდა ოფიციალური ხასიათი, რადგანაც იმხანად ამის მარეგულირებელი კანონმდებლობა რუსეთს არ გააჩნდა [39.გვ.53].

ამჟამად კი, საქართველოს მთავრობამ რუსეთის ბაზარზე ქართული ფირმების დაბრუნებასა და აქტიურ ოპერირებას ხელი არ უნდა შეუშალოს. თვით ფირმებმა კი რუსეთის მთავარი სანიტარიული ექიმის სამსახურს უნდა წარუდგინონ თავიანთი წარმოებული პროდუქციის ხარისხის, უვნებლობისა და უსაფრთხოების დამადასტურებელი აუცილებელი დოკუმენტაცია, რომელსაც უნდა დაურთონ ამ საქონლის მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ბაზარზე (აშშ, ევროკავშირის ქვეყნები, ჩინეთი, იაპონია და სხვ.) დაშვების მოწმობები. რუსეთის ბაზარზე მათი პროდუქციის დაშვებაზე მორიგი უარის შემთხვევაში კი, საქართველოს მთავრობას ამ ფირმების ინტერესების დაცვა უკვე მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის ფარგლებში მოუწევს [40. გვ. 11-12][39] .

ინფორმაციისათვის, ვიტყვით იმასაც, რომ მსოფლიოს მასშტაბით ემბარგოს (ეკონომიკური სანქციების) დაწესებაში აშშ ლიდერობს, რომლის ანგარიშზეც მოდის ბოლო 40 წლის განმავლობაში დაწესებული ემბარგოების ორი მესამედი [39,გვ.53][40].

---

[38] ევროპელები მიხვდნენ, რომ გააქტიურების დროა. გაზ. „24 საათი“. 2006წ. 8 ივნისი, №125;

[39] A. Uzagalieva. Economic Sanctions and Exports in Georgia. Georgian Economic Trends, April, 2007;

[40] პაპავა ვ. პოსტკომუნისტური საქართველოს ეკონომიკური განვითარების ვექტორის შესახებ. საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი, 2013;

მაგრამ, მის როგორც სავაჭრო პარტნიორის, არასაიმედოობასა და არაპროგნოზირებულობაზე, რატომღაც არავინ ლაპარაკობს.

**ქართული ღვინის შესვლა გარკვეულად გართულებულია აშშ-იც,** რადგანაც ამ ბაზარზე ძალინ პოპულარულია ადგილობრივი-კალიფორნიული ღვინოები, მათი ბაზარი გაჯერებულია ჩილეს, არგენტინის, ავსტარალიის ღვინოებით. ამ ბაზარზე, ვთქვათ, იგივე „საფერავის“ ფასი დაახლოებით სამი დოლარია, მსგავსი ტიპის ადგილობრივი ღვინო კი 70 ცენტი ღირს [41, გვ.22].[41]

**სამაგიეროდ, ღვინის ბაზრის საკმაოდ დიდი პოტენციალია ჩინეთში,** რომელიც თავად ღვინის უმსხვილესი მწარმოებლების ხუთეულშია. აქ წელიწადში 3 მლრდ ლიტრი ღვინოზეა მოთხოვნა. აქედან საქართველომ 1%-იც რომ მოიპოვოს, ეს არის 30 მლნ ლიტრი ღვინო. თუმცა, გასათვალისწინებელია, ისიც რომ ჩინეთში ღვინის შეტანაზე მაღალია ტარიფი, ასევე დაბალია ქართული ღვინის ცნობადობა. მიუხედავად ამისა, ჩინეთი ქართული ღვინის ექსპორტიორი ქვეყნების ხუთეულში მეოთხე ადგილს იკავებს რუსეთის, ყაზახეთისა და უკრაინის შემდეგ [42].[42]

აღნიშნულიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულება, რომელიც 2017 წლის 13 მაისს პეკინში საქართველოს მთავრობასა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობას შორის გაფორმდა.

დოკუმენტს ხელი საქართველოს მთავრობის სახელით საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა გიორგი გახარიამ და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელით ჩინეთის კომერციის მინისტრმა ჟონგ შანმა მოაწერეს. საქართველო რეგიონში პირველი ქვეყანაა, ვისთანაც ჩინეთმა თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება გააფორმა.

საქართველო არის პატარა და ღია ეკონომიკის ქვეყანა, ჩინეთი არის ის სახელმწიფო, რომელთანაც ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში ექსპორტი

---

[41] ჟურნალი „კაპიტალი“, 2006 წ. № 1;

[42] ქართული ღვინო - ჩინეთის მილიონიანი ქალაქებისთვის. კვირის პალიტრა. 23 დეკემბერი, 2014; ყოველკვირეული ეკონომიკური დაიჯესტი - 10-14.03.2014;

პერმანენტულად გვეზრდება. ჩვენ ძალიან დიდ პოტენციალს ვხედავთ მსგავს დიდ ეკონომიკებთან თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმების გაფორმებაში, რადგან ვთვლით, რომ საქართველო უნდა გახდეს ყველაზე ხელსაყრელი, კომფორტული და მიმზიდველი პლატფორმა დიდ ეკონომიკებს შორის ვაჭრობისთვის. ასევე ობიექტურად გვესმის, რომ ჩვენი საექსპორტო პოტენციალი გარკვეულწილად შეზღუდულია და ამ ხელშეკრულების მნიშვნელობას ჩვენ არ ვაფასებთ მხოლოდ ექსპორტის მიმართულებით, ჩვენ ვსაუბრობთ იმაზე, რომ ვიყოთ ეფექტური სავაჭრო პლატფორმაც. ამისთვის დღეს გაფორმებულ ხელშეკრულებას აქვს ძალზედ დიდი მნიშვნელობა და ჩვენ ეფექტურად უნდა გავაგრძელოთ მათი გაფორმებისთვის მუშაობა სხვა ქვეყნებთანაც“ – აღნიშნა გიორგი გახარიამ.

ჩინეთთან თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების ამოქმედების შემდეგ საქართველოში წარმოებულ საქონელსა და მომსახურებას გაეხსნება მსოფლიოს უმსხვილესი ბაზარი, რომელიც აერთიანებს დაახლოებით 1,4 მილიარდ მომხმარებელს. ქართველ მწარმოებლებს შესაძლებლობა ექნებათ, პროდუქცია ჩინეთის ბაზარზე დამატებითი საბაჟო გადასახადის გარეშე შეიტანონ.

ხელშეკრულების ფარგლებში ჩინეთში იმპორტისას ქართული პროდუქციის დაახლოებით 94 პროცენტი გათავისუფლდება საბაჟო გადასახადისგან. საექსპორტო პროდუქციას შორისაა ღვინო, თხილი, თაფლი, მინერალური წყალი, ლუდი, უალკოჰოლო სასმელები, ჯემები, წვენები, ბოსტნეული, ხილი, შოკოლადის ნაწარმი, ჩაი, თევზი და სხვა ზღვის პროდუქტები, მარცვლეული, სამკურნალო საშუალებები, კაბელები, პლასტმასის პროდუქცია, აზოტოვანი და მინერალური სასუქების სახეობები, ფეროსილიკომანგანუმი, ლოკომოტივები და ა.შ.

ჩინეთი საქართველოს მნიშვნელოვანი სავაჭრო პარტნიორია. საქართველოსა და ჩინეთს შორის ბოლო სამი წლის განმავლობაში ორმხრივი სავაჭრო ურთიერთობები ზრდის ტენდენციით გამოირჩევა. 2016 წლის მონაცემებით, ჩინეთი საქართველოს უმსხვილეს პარტნიორ ქვეყნებს შორის ბრუნვის მიხედვით მე-4 პოზიციაზეა, ხოლო ექსპორტის მიხედვით მე-3 ადგილზეა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთი პროდუქციის ექსპორტის ზრდა, როგორიცაა: ღვინო, სპირტიანი სასმელები, ლუდი, მინერალური წყლები და სხვა.

ჩინეთს სულ გაფორმებული აქვს 14 თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმება მსოფლიოს 24-ზე მეტ სახელმწიფოსა და რეგიონთან და ამ სიას საქართველოც დაემატა. საქართველოს თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებები გაფორმებული აქვს ევროკავშირთან, თურქეთთან, დსთ-ს ქვეყნებთან, ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციასთან და ჩინეთთან. [43][43].

ჩინეთს შეუძლია შეასრულოს ერთგვარი ლოკომოტივის როლი საქართველოს საგარეო სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების დივერსიფიკაციის საქმეში. ასევე, გაზარდოს უცხოური კაპიტალის მოცულობა ეროვნულ ეკონომიკაში. ვფიქრობთ, ჩინური ინვესტიციები განხორციელდება საექსპორტო წარმოებებში. ჩინელი ინვესტორებისათვის საქართველოში წარმოების ორგანიზება ძალზე მოსახერხებელი და მომგებიანი იქნება ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობის, იაფი მუშახელის, ლიბერალური საგადასახადო სისტემის, მოგების რეპატრიაციის სიმარტივის და სხვა მიზეზთა გამო. თუმცა, უმთავრესია ის, რომ აღნიშნული ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, მათ ექნებათ ევროკავშირის ბაზარზე დაუბეგრავად შესვლის შესაძლებლობა.

ამავდროულად, „საერთაშორისო თამაშის წესების“ დაცვით, **მიზანშეწონილია ადგილობრივი წარმოების ხელშეწყობით არაგონივრული იმპორტის ჩანაცვლებაც** (მით უფრო, რომ ეროვნული ვალუტის გაუფასურების დროს, იმპორტი უფრო ძვირი ჯდება, ვიდრე იმპორტშემცვლელი პროდუქციის ადგილზე წარმოება). იმპორტის გონივრულ ჩანაცვლებას ბევრი სიკეთის მოტანა შეუძლია საქართველოსთვის: შეიქმნება ახალი ბიზნესები, გაიზრდება სამუშაო ადგილები და ექსპორტის შესაძლებლობები, შემცირდება იმპორტი და მოთხოვნა უცხოურ ვალუტაზე, მოსახლეობაში ჩამოყალიბდება იმპორტულთან შედარებით სამამულო პროდუქციის უპირატესობის მინიჭების მენტალურობა, წახალისდება ინოვაციური მიდგომები და ტექნოლოგიები. [44][44]

**ასევე, გონივრულად უნდა იქნეს გამოყენებული რეექსპორტი.** რეექსპორტის ხელშეწყობისათვის საჭიროა საქართველოს ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობის, ტრანზიტის პირობებისა და საკანონმდებლო გარემოს გონივრული

[43] უშანგი სამადაშვილი. მრავალვექტორიანობა-საქართველოს ეკონომიკური ზრდის კატალიზატორი. „უნივერსალი“თბ;2016 წ

[44] უშანგი სამადაშვილი. საქართველოს სავაჭრო ბალანსის დეფიციტი და მისი დაძლევის გზები. ჟურნ. “ეკონომიკა და ბიზნესი”, 2016წ. ტომი IX №3 თბილისი. გვ.176-196

გამოყენება. სავაჭრო დეფიციტის მქონე საქართველოს უნდა გააჩნდეს, ასევე, საერთაშორისო სავალუტო რეზერვები, არანაკლებ ერთი თვის იმპორტის სამმაგი ოდენობისა, რომელიც საჭიროების შემთხვევაში იქნება გამოყენებული.

ჩატარებული ანალიზიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საქართველოს უარყოფითი სავაჭრო სალდოს (დეფიციტის) დაძლევისთვის მიზანშეწონილია სამამულო პროდუქციის საშინაო და საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის ამაღლება და ამით მასზე საშინაო და საგარეო მოთხოვნის ზრდა, ანუ მეტი: ექსპორტი, დივერსიფიკაცია, ოპტიმიზაცია, რეექსპორტი, გონივრული იმპორტი, ასევე, მეტი: პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, ფულადი გზავნილები და საერთაშორისო ტურისტი. სავაჭრო ბალანსის გაჯანსაღების ეს რეცეფტი უნდა კორექტირდეს ყოველი პარტნიორი ქვეყნის სპეციფიკის გათვალისწინებით. ყოველივე ამის შედეგად, ვფიქრობთ, ეტაპობრივად შემცირდება უარყოფითი სალდო და მივიღებთ დადებით სავაჭრო ბალანსს.

# დასკვნა

მოგეხსენებათ საქართველო ისტორიულად უდიდესი კულტურის და ცივილიზაციის ქვეყანაა. ვიდრე საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში მოხვდებოდა საქართველოს გარკვეული გამოცდილება ჰქონდა მსოფლიო ბაზრის მოთხოვნების დაკმაყოფილების კუთხით. ანექსიის შემდეგ ჩვენმა ქვეყანამ დაკარგა მსოფლიო ბაზრის მოთხოვნების დაკმაყოფილების და ამ მხრივ განვითარების შესაძლებლობა და საბჭოთა კავშირში არსებულ ცენტრალურ დაგეგმვას დაექვემდებარა. თუ ბევრი ქვეყნისთვის ერთ დიდ ქვეყანად გაერთიანება იყო წინ გადადგმული ნაბიჯი, საქართველოსთვის, როგორც ქვეყნისთვის ეს იყო დამუხრუჭება და პოზიციების დათმობა. წლების განმავლობაში დაგროვილი გამოცდილება დაიკარგა. სამაგიეროდ ჩავერთეთ საერთო მარათონში. ვაწარმოებდით ერთად და მოვიხმარდით ერთად. საქართველოს გამოსვლა საბჭოთა კავშირის შემადგენლობიდან რა თქმა უნდა უდიდესი მოვლენა იყო, რასაც მტკივნეული ბრძოლის შედეგად მივაღწიეთ. თუმცა ჩვენ აღმოვჩნდით მსოფლიო ბაზრის წინაშე მოუმზადებელნი და გამოცდილების არმქონენი. ძველი გამოცდილება აღარ არსებობდა ახალი კი არ გაგვაჩნდა, რადგან მას შემდეგ 70 წელი გასულიყო. მსოფლიო ბაზარზე შეცვლილიყო მოთამაშეები, მოთხოვნები და პოზიციები. რაც მთავარია ჩვენ აღარ ვიცოდით რა და როგორ გვეწარმოებინა. არ გაგვაჩნდა არც შესაფერისი საწარმოები და არც მანქანა მექანიზმები. საბჭოთა დროინდელი კი მოძველებული სისტემის იყო. შეიცვალა პრინციპი, ახლა საკუთარი თავისთვის კი არა სხვისთვისაც უნდა გვეწარმოებინა. და ეს ყველაფერი იმ პირობებში როცა საბჭოთა კავშირის მთავარ ქვეყანასთან დაძაბული და საომარი ურთიერთობა გვქონდა, ჩვენი ტერიტორიების დიდი ნაწილი მის მიერ იყო და არის მიტაცებული. საქართველო მას შემდეგ ცდილობს აწარმოოს და თავი მოაწონოს ევროპის ქვეყნებს კულტურით, ტრადიციული სამზარეულოთი, ღვინით, უნიკალური მინერალური წყლებით და საქართველოს განუმეორებელი ლანდშაფტით, რაც ტურიზმის განვითარების, ინვესტიციების მოზიდვის და ახალი ურთიერთობების დამყარების საშუალებას იძლევა. ასეთ პირობებში კი ლიბერალური პოლიტიკა არც თუ სახარბიელოა აღმშენებლობის გზაზე დამდგარი და ვაჭრობის კუთხით განვითარებადი ქვეყნისათვის. ჩვენს მოქალაქეებს სახელმწიფოს მხრიდან მხარდაჭერა

ესაჭიროებათ, რათა ისწავლონ და განვითარდნენ. იმისათვის, რომ ჩვენმა ქვეყანამ სავაჭრო ბალანსი შეინარჩუნოს, საჭიროა მოვემზადოთ ექსპორტისთვის.

მსოფლიო ბაზარზე პოზიციების შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის აუცილებელია საწარმოებს გაეწიოთ დახმარება, რათა მათ დაამყარონ პირდაპირი საწარმოო და სავაჭრო-ეკონომიკური კავშირები თანამეგობრობის ქვეყნების საწარმოებთან, ვგულისხმობთ კომერციულ წინადადებათა ინფორმაციული ბანკის შექმნას, ხელშეკრულებების დადებას (მათ შორის სამინისტროების დონეზე) მსხვილ რეგიონებთან და უშუალო მომხმარებლებთან და ა.შ. ტრადიციული ეკონომიკური კავშირების თვისებრივად ახალ დონეზე განვითარებასთან ერთად გაგრძელდება ქვეყნის მსოფლიო საბაზრო მეურნეობაში ინტეგრირების კურსი. საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს აქტიურ ინტეგრაციაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ FAO-ს ევროპის სოფლის მეურნეობის კომისიის 31-ე სხდომა 1999 წლის სექტემბერში საქართველოში ჩატარდა. სხდომას ესწრებოდნენ FAO-ს ევროპის რეგიონალური და ცენტრალური და აღმოსავლეთ და ევროპის ქვერეგიონული ოფისების, ევროკავშირისა და FAO-ს ევროპის რეგიონის წევრი და მეთვალყურე ქვეყნების წარმომადგენლები, აგრეთვე გაეროსა და სხვა საერთაშორისო სპეციალიზირებული ორგანიზაციები. საერთაშორისო მომსახურების სფეროში ჩართვა გულისხმობს საბანკო და საფინანსო მომსახურების განვითარებას, ინფორმაციისა და ინფორმაციული მომსახურების როლის ამაღლებას, სატელეკომუნიკაციო და კომპიუტერული ქსელების, კავშირგაბმულობისა და ფოსტის დარგის განვითარებასა და სრულყოფას. საგარეო კავშირების განვითარების ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა ტურისტულ-საკურორტო მომსახურების სფერო. უახლოეს პერიოდში უნდა განხორციელდეს საგრძნობი ინვესტიციები ამ დარგის სავალუტო-საშემოსავლო პოტენციალის მაქსიმალურად ამოქმედებისათვის. ეკონომიკური კრიზისის პირობებში ქვეყნის სასიცოცხლო სანედლეულო და სასურსათო მოთხოვნილებების პროგრამების დამუშავებასა და რეალიზაციასთან ერთად აუცილებელია გაძლიერდეს ზრუნვა ეკონომიკის რეალურად განვითარებასა და მისი საექსპორტო პოტენციალის ამაღლებაზე. კრიზისმა გვიჩვენა, თუ რა შედეგამდე შეიძლება მიგვიყვანოს მრეწველობის და აგრარული სექტორის, უკანა პლანზე გადაწევამ

რადგან იგი მთელი ეკონომიკის ხერხემალია. როგორც ცნობილია, ბოლო პერიოდამდე ქვეყნის მშპ-ის ყოველწლიურ მატებას თან სდევს მისი სტრუქტურის გაუარესება, უმთავრესად მეურნეობის ორი ძირითადი შემოსავალტევადი დარგის – მრეწველობის და სოფლის მეურნეობის ხვედრითი წილის შემცირების მიმართულებით (მრეწველობა 9,5%-დან გაიზარდა 12,7%, ხოლო სოფლის მეურნეობა 41,7-დან 18,3%-მდე შემცირდა). მრეწველობა და სოფლის მეურნეობის დარგი არ უნდა მივიჩნიოთ დაბალკონკურენტუნარიან დარგებად და მათ მიმართ უნდა გატარდეს სათანადო სარეაბილიტაციო, მასტიმულირებელი ზომები. უპირველეს ყოვლისა, არ უნდა გაგვიტაცოს ზედმეტად ლიბერალურმა სავაჭრო პოლიტიკამ. როგორც უკვე აღინიშნა, თავისუფალი ვაჭრობის პრინციპი მომგებიანია ძლიერია და ლიდერი ქვეყნისათვის. იგი ანგრევს განვითარებადი ქვეყნების სუსტ, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ახლად ფეხადგმულ დარგებს. ეს უკანასკნელნი აუცილებლად საჭიროებენ თავდაპირველი "სათბურის პირობების" შექმნას, აქტიური პროტექციონისტული პოლიტიკის გატარებას სახელმწიფოს მხრიდან. ღია ეკონომიკის ჩამოყალიბება არ უნდა გავაიგივოთ სახელმწიფოს საგარეო ეკონომიკური კავშირების უკონტროლობასთან, საზღვრების გამჭვირვალობასთან. პირიქით, ღია ეკონომიკა, მით უმეტეს მსოფლიო საბაზრო მეურნეობაში ინტეგრირების პროცესში, მოითხოვს სახელმწიფოს გონივრულ ჩარევას საგარეო ეკონომიკური კავშირების განხორციელების მექანიზმში. სტიქიურობა, აქ არათუ ხელს არ უწყობს ეკონომიკურ განვითარებას, არამედ, პირიქით, მნიშვნელოვნად უთხრის ძირს ეკონომიკურ უსაფრთხოებას. ეკონომიკის კომპლექსურად განვითარებისა და ეფექტიანი შიდა ბაზრის ჩამოყალიბების საქმეში გადამწყვეტი მნიშვნელობა საგადასახადო-საბაჟო რეგულირებას ენიჭება. საბაჟო გადასახადისადმი მხოლოდ ფისკალური ფუნქციების დაკისრებამ ჩვენ არ უნდა დაგვავიწყოს მისი ძირითადი ფუნქცია – საშინაო ბაზრის და ეკონომიკური უსაფრთხოების დაცვა. სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ განხორციელებულმა ტექნიკური დახმარების პროექტებმა უნდა მოგვცეს აგროინდუსტრიის განვითარებისათვის სიცოცხლისუნარიანი გარემოს შექმნის საშუალება, რაც მოითხოვს შესაბამისი იურიდიული და საკანონმდებლო ბაზის ფორმირებას. პროექტებმა გამოავლინა სოფლის მეურნეობის სხვადსხვა დარგების

ორგანიზაციის აუცილებლობა, რაც განვითარების შემაფერხებელი ფაქტორების დაძლევის ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა. (მაგალითად, FAO-ს მიერ განხორციელებული „მეთესლეობის ეროვნული პროგრამის მომზადების“ პროექტმა ცხადყო, რომ აუცილებელია ამ სექტორის რეორგანიზება და მისი ნაწილობრივი პრივატიზება. ამისათვის მან მოამზადა რეორგანიზაციის გეგმა და შესაბამისი კანონპროექტები, რომლებიც განსახილველად წარედგინა პარლამენტს). საქართველოს საგარეო ეკონომიკური პოლიტიკის მნიშვნელოვანი მიმართულებაა ურთიერთობების გაფართოება და გაღრმავება განვითარებულ ქვეყნებთან. ამ მხრივ დიდი მნიშვნელობა ენიჭება საქართველოსთვის მონიჭებულ სავაჭრო პრეფერენციების ეფექტიანად გამოყენებას. საქართველოს ეკონომიკური ურთიერთობები ევროკავშირთან ვითარდება, მათ შორის პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ დადებული ხელშეკრულების ბაზაზე, რომლის სავაჭრო ეკონომიკური ბლოკი მოქმედებაში შევიდა 1997 წლიდან. 2006 წლისათვის საქართველოში სავაჭრო ურთიერთობები ევროკავშირთან, მთლიანი სავაჭრო ბრუნვის 31%-ს შეადგენდა და 15 ქვეყანას მოიცავდა, აღსანიშნავია, რომ ექსპორტი წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 60,4%-ით გაიზარდა, იმპორტის მატება კი 50% შეადგინა. მიუხედავად ამისა, მინიმალურ გამოსახულებაში იმპორტის ზრდა გაცილებით უფრო მაშტაბური იყო, ვიდრე ექსპორტისა. საანალიზო პერიოდში ევროკავშირის ქვეყნებიდან საქართველოში შემოსული პირდაპირი ინვესტიციები 2-ჯერ და მეტად აღემატებოდა გასული წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელს. ამ სფეროში კვლავ დიდი ბრიტანეთი ლიდერობდა, რაც სამხრეთ კავკასიური გაზსადენის მშენებლობაში ბრითიშ პეტროლიუმის ინვესტიციებთან იყო დაკავშირებული. ამ ქვეყნის წილად მოდიოდა ევროკავშირის ინვესტიციების 46,3 პროცენტი, ხოლო მთლიანი ინვესტიციების 14,5 პროცენტი. ამავე პროექტში იტალიის მონაწილეობა კი მის მიერ უმსხვილეს ინვესტორთა შორის მეორე ადგილის დაკავებას გამაპირობებდა. წამყვან ინვესტორთა სიაში კვლავ მოხვდა კვიპროსი, საიდანაც განხორციელდა 16,8 მლნ აშშ დოლარის კაპიტალდაბანდება ყულევის ტერმინალში. ამავე სიაში ჩეხეთის გამოჩენა ამ ქვეყნის რეზიდენტების მიერ ენერგოკომპანიების პრივატიზაციის პროცესში მონაწილეობას უკავშირდება. აღნიშნული ქვეყნების

ოთხეული უქზრუნველყოფდა საქართველოში ევროკავშირის ინვესტიციების 79,4 პროცენტს.

ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება საქართველოსთვის ძალიან მნიშვნელოვანია. კერძოდ:

- საექსპორტო მიმართულებით საქართველოს გაეხსნება ძალიან დიდი პოტენციალი;
- გაადვილდება საქართველოდან ნებისმიერი სახეობის პროდუქციის ექსპორტი ევროკავშირში;
- საქართველოში გაცემულ ხარისხის შესაბამის სერთიფიკატს ავტომატურად აღიარებენ ევროკავშირის ტერიტორიაზე.

ასეთი ლიბერალური საგადასახადო რეჟიმშიც კი არ იცვლება ეკონომიკური სურათი, ამის მიზეზად რამდენიმე გარემოება შეგვიძლია დავასახელოთ:

- ლიბერალურმა საგადასახადო რეჟიმმა მიმზიდველი გახადა იმპორტიორებისთვის. ჩვენს ქვეყანაში მრავალნაირი პრუდუქტი შემოდის და ეს პროცესი თანდათან იზრდება;
- ლიბერალური საგადასახადო რეჟიმი მართალია ხელს უნდა უწყობდეს ქვეყნის ექსპორტს, მაგრამ არსებობს უფრო მძლავრი ხელისშემშლრლი ფაქტორები, რის გამოც ექსპორტის გაზრდა რთულია. ჩვენს ქვეყანაში არ არსებობს სურსათის უვნებლობის დამადასტურებელი მექანიზმი. ამიტომაც ჩვენი პროდუქცის ევროპის ქვეყნებისათვის მიმზიდველი არ არის.

ევროკავშირის ბაზარზე შესატანად ქართული სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია სურსათის უვნებლობის მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს. დაბალი რისკის სურსათი (მაგალითად, სხვადასხვა ხილი და ბოსტნეული) შედარებით უფრო მარტივად შევა ევროკავშირის ბაზარზე, ვიდრე მაღალი რისკის (მაგალითად, ხორცისა და რძის პროდუქტები) სურსათი. გადამუშავებული და მაღალი რისკის სურსათის გასატანად საქართველომ სამი მთავარი მოთხოვნა უნდა დააკმაყოფილოს:

- პროდუქტის შემადგენლობა უნდა შეესაბამებოდეს ევროკავშირის მოთხოვნებს;

- ექსპორტის მსურველს უნდა ჰქონდეს ინფორმაცია როგორც პროდუქტის წარმოების სრული ჯაჭვის, ასევე საკუთარი პროდუქტის უვნებლობის დასადგენად ჩატარებული შესაბამისი ლაბორატორიული კვლევების შესახებ;
- საქართველოში უნდა ფუნქციონირებდეს ევროკავშირში არსებული კონტროლის მექანიზმის (ინსპექტირება, ზედამხედველობა, მონიტორინგი და ა.შ.) მსგავსი სისტემა [11].

## გამოყენებული ლიტერატურა:


1. თეა ბიძინაშვილი, საქართველოს საექსპორტო პოტენციალის ამაღლების გზები მსოფლიო მეურნეობრივი კავშირების გლობალიზაციის პირობებში, დისერტაციის ავტორეფერატი, თბილისი 2016 წ;
2. ნატო ზავრადაშვილი, საქართველო-ევროკავშირის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები, სამაგისტრო ნაშრომი, თბილისი 2018 წ;
3. ლია ძებისაშვილი, საქართველოს საგარეო - სავაჭრო ურთიერთობების სტატისტიკური შესწავლა, დისერტაცია, თბილისი 2012 წ;
4. http://www.economy.ge/?page=ecopolitic&s=12, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, საგარეო ვაჭრობა;
5. გურამ ჯოლია, საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები, ევროპის სასწავლო უნივერსიტეტი, თბილისი 2015;
6. http://mfa.gov.ge/MainNav/ForeignPolicy/ForeignPolicyStrategy საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო, ორმხრივი ურთიერთობები;
7. https://ka.wikipedia.org/wiki ფრანგულენოვანი ქვეყნები;
8. http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=5&t=1623. ვიშეგრადის ჯგუფი, ენციკლოპედიური ლექსიკონი;
9. https://imedinews.ge/ge/saqartvelo, უორდროპის სტრატეგიული დიალოგი
10. https://ka.wikipedia.org/wiki, ბენილუქსი;
11. http://www.economy.ge/uploads/files/2017/foreign_trade/2018_trade_turnover_2018_12.pdf, საქართველოს საგარეო ვაჭრობა 2018 წელი;
12. www.geostat.ge/ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. 19.04.2019 წელი;
13. https://ka.wikipedia.org/wikicite_note-Europa_Internal_Market-1. ევროპის კავშირი;
14. http://infocenter.gov.ge/euinfo-free-trade/#1 საქართველო და ევროკავშირი, თავისუფალი ვაჭრობა;
15. http://www.ghn.ge/news/206842, საქართველოსა და ევროკავშირს შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება;
16. თ.შენგელია, გლობალური ბიზნესი. თბილისი 2010

17. https://www.gfsis.org/ge/blog/view/874. საქართველოს საგარეო ვაჭრობა, როგორ გავამყაროთ დადებითი ტენდენციები;
18. http://mfa.gov.ge/MainNav/ForeignPolicy/ForeignPolicyStrategy ორმხრივი ურთიერთობები რეგიონის ქვეყნებთან;
19. კონლი ჯ. იმპორტის ჩანაცვლებას საქართველოსათვის ბევრი სასიკეთო შედეგის მოტანა შეუძლია – 24 საათი. 4 ნოემბერი, 2009;
20. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური http://www.geostat.ge/?action=page&p_id=133&lang=geo;
21. commersant.ge. 20.01.2016;
22. Civil Georgia, Tbilisi / 4 იანვარი, 2016 /. საწარმოთა მხოლოდ 5%-მა იცის სად უნდა ნახოს ინფორმაცია ევროკავშირის მოთხოვნების შესახებ .Commersant.ge 08.11.2015;
23. საწარმოთა მხოლოდ 5%-მა იცის სად უნდა ნახოს ინფორმაცია ევროკავშირის მოთხოვნების შესახებ .Commersant.ge 08.11.2015;
24. ტყეშელაშვილი გ., ტყეშელაშვილი ვ. საქართველოს პორტები გლობალურ ეკონომიკურ პროცესებში. ეკონომიკისა და ეკონომიკური მეცნიერების აქტუალური პრობლემები. 27-28 ივნისი, 2014 28 ივნისი;
25. ჩინეთის ეკონომიკური სასწაულის 7 მიზეზი, 25.10.2015. commersant.ge;
26. https://www.allnews.ge/s მარჯვენასაჭიანი ავტომობილების იმპორტის შესახებ 2017 წლის მონაცემები;
27. https://www.bpn.ge ქართულ ბაზარზე ევრო 5 - ის სტანდარტის დაბალფასიანი საწვავი გამოჩნდა;
28. გრიშიკაშვილი ა. ჩვენ ევროპელები. თარგმანი პოლონურიდან, თბ.,2007წ;
29. I. Samson. And Olena Vasylchenko. EU PCA and ENP Policies for Georgia: How Economic integration with the European Unioun May Ease the Reform process and Economic Development in Georgia. Georgian Economic Trends,. 2004 No.4;
30. http://strategy.ge/2009/08/31/madeingeorgia/;
31. სამადაშვილი უ., გედევანიშვილი მ. საერთაშორისო ბიზნესი, ეთიკა და სოციალური პასუხისმგებლობა, თბ., 2012;

32. ქუთაისის თავისუფალი ინდუსტრიული ზონა ამოქმედდა. ჟურნ. “აუდიტი, აღრიცხვა და ფინანსები“, №1 (25), 2010;
33. კაკულია მ. ქართული ექსპორტის ევროპული ჰორიზონტი. გაზეთი ”24 საათი”, 2007 წ. 11 ივნისი.
34. Commersant.ge 05.11.2015;
35. მღებრიშვილი დ. მარკეტინგის აქტუალური თეორიული და პრაქტიკული საკითხები. თბ., 2012;
36. ზირაქიშვილი ლ., ქართული პროდუქცია მსოფლიო ბაზრებზე გასასვლელ პოტენციალს ვერ იყენებს. ჟურნ. „ბიზნესი და კანონმდებლობა“, აპრილი, 2010;
37. ვინსენტზი ვ. სავაჭრო პოლიტიკა და საქართველოს ექსპორტი. საქართველოს ეკონომიკური ტენდენციები. 2006წ. ოქტომბერი;
38. ევროპელები მიხვდნენ, რომ გააქტიურების დროა. გაზ. „24 საათი“. 2006წ. 8 ივნისი, №125;
39. A. Uzagalieva. Economic Sanctions and Exports in Georgia. Georgian Economic Trends, April, 2007;
40. პაპავა ვ. პოსტკომუნისტური საქართველოს ეკონომიკური განვითარების ვექტორის შესახებ. საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი, 2013;
41. ჟურნალი „კაპიტალი“, 2006 წ. № 1;
42. ქართული ღვინო - ჩინეთის მილიონიანი ქალაქებისთვის. კვირის პალიტრა. 23 დეკემბერი, 2014; ყოველკვირეული ეკონომიკური დაიჯესტი - 10-14.03.2014;
43. უშანგი სამადაშვილი. მრავალვექტორიანობა-საქართველოს ეკონომიკური ზრდის კატალიზატორი. „უნივერსალი“თბ;2016 წ
44. უშანგი სამადაშვილი. საქართველოს სავაჭრო ბალანსის დეფიციტი და მისი დაძლევის გზები. ჟურნ. “ეკონომიკა და ბიზნესი”, 2016წ. ტომი IX №3 თბილისი. გვ.176-196